ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილი

ვახტანგ გორგასალი

პოლიტიკური ორიენტაცია და სეპარატიზმი

თბილისი 2013

უაკ(UDC) 94(479.22)+32(479.22)+323.17

ღ-97

ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილი

ვახტანგ გორგასალი
პოლიტიკური ორიენტაცია და სეპარატიზმი

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი

თბილისი, 2013

სამეცნიერო რედაქტორი – **იულონ გაგოშიძე**
რედაქტორი, გაფორმება – **მაია ჩოლოყაშვილი**
ოპერატორი და კორექტორი – **ნორა თიგიშვილი**
ინგლისური ტექსტის თარგმანი – **ნინო მაისურაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გოილაძე თანახმაა ეს ნაშრომი გამოქვეყნდეს

წიგნი ილუსტრირებულია: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ დაწერილი ხატით – "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი," ბორის ჯიმშირაულის, მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევრებით.

წიგნში გამოყენებული ფოტოების ავტორებს მადლობას ვუხდით ფოტოების ინტერნეტში განთავსებისა და თავისუფალი სარგებლობის ნებართვისთვის.

ყდაზე გამოყენებულია: ლევან კიკალიშვილის ნახატი „მეფე ვახტანგ გორგასალი”

ISBN 978-9941-0-5925-4

წინათქმა

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალებიდან (491 წ.) უკვე 15 საუკუნეზე მეტი გავიდა. და, მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის კვლავ აქტუალურია ქვეყნის მთლიანობის იგივე პრობლემა, რაც V საუკუნის ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინაშე იდგა.

"არადა ისევ დგას დღის წესრიგში
ბედი ქართლისა
და ქართლის ჭირი".

ეს სტრიქონები მუხრან მაჭავარიანმა 1970 წელს დაწერა.

ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის კურსის ცვლა, ანუ სახელმწიფოს მმართველი გუნდის მიერ ქვეყნის წარმართვა ახალი ორიენტირისკენ, ახლებური პოლიტიკური გეზი, სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ პატარა სახელმწიფოს მმართველებისაგან უზარმაზარ გამბედაობას მოითხოვს, რადგან თავისუფალი პოლიტიკური კურსის არჩევის საშუალებას, პოლიტიკური ორიენტაციის ცვლის უფლებას პატარა სახელმწიფოების (ჩვენს შემთხვევაში ქართლის – საქართველოს) მესვეურებს მეზობლად მდებარე დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელები არ აძლევენ. ისინი პროვოცირებენ შიდა სახელმწიფოებრივ დაპირისპირებებს, შიდა განხეთქილებებს, ძმათამკვლელ ომებსა და ზოგადად სეპარატისტულ მოძრაობებს.

ახალი რეალიებიდან გამომდინარე, ასევე დიდ რისკთან არის დაკავშირებული სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელობის მიერ ქვეყნის დაბრუნება ძველ ორიენტირზე, მაგ.: გიორგი ბრწყინვალემ, თავის მმართველ გუნდთან ერთად, დააბრუნა საქართველო ძველ პოლიტიკურ ორიენტირზე და დავით VIII მიერ არჩეული ქვეყნის განვითარების ჩრდილოური კურსი კვლავ სამხრეთულით შეცვალა. ამ ცვლილებამ (სახელმწიფოებრივი განვითარების გეზის შეცვლამ) ქვეყანაში უამრავი პრობლემა შექმნა, რომელთა გადაწყვეტაც გიორგი ბრწყინვალემ რეპრესიებით სცადა. მან 1329 წელს, ჩრდილოეთ ულუსის პოლიტიკური კურსის მქონე ქართველი დიდებულები კახეთში, ცივის მთაზე დაახოცინა, თუმცა, მეფის ამ ქმედებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო და გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ბოლოს საქართველო კვლავ დაშლილ-დანაწევრებული გახლდათ [62: 82-83].

ქართული სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, საქართველოს მმართველები განსხვავებულად ებრძოდნენ სეპარატიზმს. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა, იმ პერიოდის საერთაშორისო რეალიებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყანა სხვა, ვახტანგ V კი სრულიად სხვა ქმედებებით გააერთიანა. ვახტანგ V სეპარატისტი ფეოდალები – ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი და ზაალ არაგვის ერისთავი კახეთის განმათავისუფლებლებად (1660 წ.) გამოაცხადა, რითიც

ირანის სამეფო კარისგან მოიპოვა მათი დასჯის უფლება. სეპარატისტთა დამარცხების შემდეგ ვახტანგ V ძალაუფლება ვრცელდებოდა ქართლზე, კახეთსა და დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე [62: 172-213]. მათ შეძლეს ის, რაც ბევრმა მეფემ, მათ შორის ვახტანგ გორგასალმა, ვერ შეძლო.

სომხეთის გაერთიანება, არსენ საფარელის მიხედვით, შემდეგი მეთოდით მოხდა: "V საუკუნეში – "სპარსეთმა სომხეთი დაიპყრო... მაშინ გამოძებნეს ღონე სომხებმა, შეუთანხმდნენ სპარსეთს, რომ მისი მოხარკე გახდებოდნენ, დაარწმუნეს სპარსთა მეფე დიდი ფიცით და თავისდებით, რომ კავშირს გაწყვეტდნენ ბერძნებთან და შეუერთდებოდნენ მათ. ძლიერ გაიხარა სპარსთა მეფემ და სომხებს სომხეთი დაუბრუნა საჩუქრებთან ერთად. რამდენიმე ხანს სომხები მშვიდობით ცხოვრობდნენ მართალი სარწმუნოებით ანუ ბერძნული რჯულით" [63: 78; 37: 318].

ქართული სახელმწიფოს ხელისუფალთა მიერ ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლა და ძველი მპყრობელი (გნებავთ მფარველი) სახელმწიფოს მიერ სეპარატისტული მოძრაობის დაფინანსება, ახალ პოლიტიკურ კურსზე გადასულ ქვეყნის ხელისუფალთა წინააღმდეგ, კარგად აპრობირებული მეთოდია მსოფლიო ისტორიაში, თუმცა შედარებით ნაკლებად შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით – სეპარატიზმი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სწრაფვას გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ [51: 347].

წინამდებარე მონოგრაფიაში, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ვცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ სჯის მპყრობელი იმპერია, ამ შემთხვევაში ირანი, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის გამო ქართლის სახელმწიფოს. როგორ აქეზებს და განაწყობს ქართლის სახელმწიფოს ერთი რეგიონის დიდებულებს დედასამშობლოს წინააღმდეგ, როგორ უქმნის მათ "სახელმწიფოს" და როგორ ცდილობს ამ "სახელმწიფოს" გაძლიერებას. მოკლედ რომ ვთქვათ, როგორ იბრძვის სეპარატიზმის დასაძლევად სეპარატიზმით (სეპარატიზმს-სეპარატიზმით).

რა შედეგებს იღებს სახელმწიფოს გაძლიერების თვალსაზრისით, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის შემდგომ ქართლის სახელმწიფო. საერთოდ, რამდენად არის შესაძლებელი პატარა სახელმწიფოსთვის (ქართლისთვის), რომელიც დიდ სახელმწიფოთა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზეა აღმოცენებული, დამოუკიდებლად აირჩიოს სახელმწიფოებრივი განვითარების გზა.

თავი I

1. ვახტანგის გამეფება

მემატიანე ჯუანშერ ჯუანშერიანის თანახმად, ვახტანგი შვიდი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა [1: 143], მკვლევარ ვახტანგ გოილაძის აზრით – 438 წელს [3: 56]. ამ პერიოდისათვის ქართლი ძირითადად ირანის, ხოლო ეგრისი ბიზანტიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. 438 წელს ირანის სამეფო კარზე მოხდა მმართველი შაჰების მონაცვლეობა. გარდაიცვალა შაჰი ბაჰრამ V და ტახტზე ავიდა მისი შვილი იეზდიგერდ II (438-457 წწ.) [6: 30-31]. ბაჰრამ V-ის მეფობის პერიოდში ირანის სამეფო კარის კურსი ამიერკავკასიის ქვეყნებში მეფეთა ინსტიტუტების გაუქმებას მოიაზრებდა. კერძოდ, 428 წელს მეფობა გააუქმეს სომხეთში (ცოტა მოგვიანებით ალბანეთშიც), სავარაუდოა, ქართლის სამეფო კარი ინფორმირებული იყო ირანის გეგმების შესახებ – ქართლში მეფობის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამიტომ ვახტანგის დედა – დედოფალი საგდუხტი გაემგზავრა ბარდავში მამასთან – ბარზაბოდთან, რომელიც გახლდათ რანის პიტიახში და რომელსაც ექვემდებარებოდა ალბანეთი, სომხეთი და ქართლი. "წარვიდა ბარდავს მამისა თჳსასა თანა. განიღო თავი, და უყარნა მუჴლნი, და აღმოიყარნა ძუძუნი მისნი, დავარდა პირსა ზედა და დადვა პირი თჳსი ფერჴთა მისთა ზედა... და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფესა წინაშე" [1: 144]. მართალია, წყაროში პირდაპირ მითითებული არ არის, რომ დედოფალი საგდუხტი ქართლში შვილისათვის – ვახტანგისათვის მეფობის შენარჩუნებას სთხოვდა მამას, რანის პიტიახშს, თუმცა გარკვეული მინიშნება არსებობს: "ევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა" [1: 144].

რანის პიტიახშმა ბარზაბოდმა წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ქალიშვილის – საგდუხტის სასოწარკვეთილ თხოვნა-ვედრებას, შეცვალა გადაწყვეტილება და 438 წ. ვახტანგს ქართლის მეფობა უბოძა. "მაშინ ბარზაბოდ, განმზადებულმან ბოროტის ყოფად ქართველთათჳს, შეიწყალა ასული თჳსი" [1: 144]. ბარზაბოდს ქართლში მეფობის გაუქმება გადაწყვეტილი რომ არ ჰქონოდა, მემატიანე ასე არ დაწერდა – "მაშინ ბარზაბოდ, განმზადებულმან ბოროტის ყოფად ქართველთათჳს". ამ დროს, ვახტანგი მცირეწლოვანი იყო. ქვეყნის მართვა-გამგეობას კი "საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა" [1: 145]. ამდენად, რანის ერისთავმა მეფობა არ გააუქმა ქართლში, თუმცა რეალური ძალაუფლება მაინც თვითონ, მისმა ქალიშვილმა საგდუხტმა და ვაჟიშვილმა ვარაზ-ბაკურმა დაიტოვეს [15: 154].

შემდეგში კიდევ ორჯერ დაადგამენ სამეფო გვირგვინს ვახტანგს. ე.ი. ქართლის მეფის გვირგვინი ვახტანგს სამჯერ დაადგეს: პირველად, როგორც უკვე აღვნიშნე, რანის ერისთავმა, ვახტანგის პაპამ ბარზაბოდმა; მეორედ – ბიზანტიის კეისარმა, რო-

დესაც ვახტანგმა უარყო ირანული პოლიტიკური ორიენტაცია და გადავიდა ბიზანტიურ პოლიტიკურ ორიენტაციაზე; ხოლო მესამედ – ირანის შაჰმა, როცა ბიზანტიელთა რჩევით, ქართლის სამეფო კარმა ირანთან მიმართებაში მშვიდობიან თანაარსებობის პრინციპს, რომელიც არ იყო მიმართული ბიზანტიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, მიანიჭა უპირატესობა (ამის შესახებ ქვემოთ).

სარწმუნოებასთან დაკავშირებით ბარზაბოდმა განაცხადა: "იძულებით არცა-ვის ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნე ცეცხლისმსახურნი ქალაქსა თქუენსა და იყვნენ მუნ ეპისკოპოსნი მათ ზედა სჯულისა ჩუენისანი. და ვინც ქართველი ნებითი თვისითა აღირჩევდეს სჯულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ" [1: 144-145]. ხელისუფალთა განცხადების თანახმად, რწმენის მიხედვით ადამიანები არ უნდა ედევნათ. ყველას: ქრისტიანსა თუ მაზდეანს თანაბარი უფლებებით უნდა ესარგებლა, თუმცა რეალობა სხვაგვარი შეიქნა. "მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას" [1: 145]. "მოგუთა" – მცხეთის ერთ-ერთ უბანს ერქვა [12: 2], რომელშიც კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი მოგვები, ანუ ზოროასტრული რელიგიის კულტის მსახურნი, რომელნიც ემორჩილებოდნენ ირანის ქურუმთა წოდების უმაღლესი თანამდებობის პირებს – მობედებს. მობედები, თავის მხრივ, ემორჩილებოდნენ მობედან-მობედებს, რომელნიც შაჰის შემდეგ პირველი პირნი იყვნენ. საერთოდ, ირანში წოდებათა შორის უაღრესად რთული იერარქია დამკვიდრებულიყო [6: 36], ასევე რთული წოდებათაშორისი იერარქია იყო ქართლშიც.

"არსებობს ვარაუდი," – წერს ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, – "რომ ჯუანშერის ეს ბინქარან ეპისკოპოსი" უნდა იყოს "ქართლის მოქცევის" გლონოქორ მთავარეპისკოპოსი" [5: 77] "და მერე მეფობდა მირდატ და მთავარებისკოპოსი იყო გლონოქორ. და ესე მთავარებისკოპოსი ერისთავადცა იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს" [28: 325]. ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ვარაუდს ვეთანხმები, რადგან სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა მემატიანის შემდეგი ფრაზა: "წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის მსახურებასა" [1: 145]. ამდენად, ბინქარან ეპისკოპოსს ჰქონდა მეორე თანამდებობაც. იგი ქართლისა და ჰერეთის ერისთავი იყო და, მაშასადამე, ხელეწიფებოდა "წურილი ერისაგან" გადასახადების როგორც ამოღება ისე, პატიება. ჩემი აზრით, "წურილი ერიდან" ყველა ის, ვინც მიიღებდა ცეცხლთაყვანისმცემლობას თავისუფლდებოდა გარკვეული სახის გადასახადისაგან. გადასახადებისაგან თავის დაღწევის სურვილი უნდა ყოფილიყო ის სტიმული, რომელიც უბიძგებდა "წურილ ერს" ცეცხლთაყვანისმცემლობის აღიარებისაკენ – "და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის-მსახურება" [1: 145]. აქ აშკარა წინააღმდეგობაა: დეკლარირებულ ნებაყოფლობითობასა – "იძულებით არცა ვის ქართველსა სხუასა

დაგაგდებინებ სჯულსა ქრისტესსა" და არსებულ რეალობას შორის – "წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის მსახურებასა" [1: 145].

შედარებისათვის: საინტერესო ეპიზოდი აქვს დაფიქსირებული ლეონტი მროველს ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, ქართლის მთიანეთში "სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღება" [1: 126].

ბინქარან (გლონოქარ) ეპისკოპოს-ერისთავის მიერ "წურილი ერისათვის" საგადასახადო შეღავათების დაწესებას უნდა გამოეწვია ის, რომ "შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის მსახურება" [1: 145].

ამდენად, სასულიერო და საერო ხელისუფლება ხელთ ეპყრა ბინქარან (გლონოქარ) ეპისკოპოს-ერისთავს.

ბინქარანმა (გლონოქარი) გამოიყენა ეს ძალაუფლება ცეცხლთაყვანისმცემლობის იძულებით გასავრცელებლად "და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის მსახურება" [1: 145]. ამას კი, როგორც ჩანს, უკურეაქცია მოჰყვა ქართლის სამღვდელოებასა და მთლიანად ქრისტიანულ მოსახლეობაში, რომელთა პროტესტის პასუხი უნდა იყოს ბარზაბოდის განცხადება – იძულებით არავის დავატოვებინებ ქრისტიანულ სჯულსაო.

ბარზაბოდის ამ განცხადების შემდგომ უნდა გაეთავისუფლებინათ ბინქარან (გლონოქარ) მთავარ-ეპისკოპოსი ერისთავობისაგან. შატბერდის კრებულის X ს. "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, გლონოქარ მთავარეპისკოპოს ერისთავის შემდგომ მთავარეპისკოპოსად მოხსენიებულია იოველი. "მეფობდა დიდი ვახტანგ გოლგასარი, და მთავარებისკოპოსი იყო იოველი" [28: 325]. იოველის მთავარეპისკოპოსობას არ ადასტურებს ქართლის ცხოვრება. შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ იოველის მთავარეპისკოპოსობის პერიოდი ხანმოკლე იყო.

2. ვახტანგის აღზრდა

ქართლის სამეფო კარზე, როგორც ჩანს, კარგად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია. აშკარა იყო, სპარსეთი ცეცხლთაყვანისმცემლობის დანერგვით მტკიცედ იკიდებდა ფეხს ქართლში. იმავე ქმედებას ახორციელებდნენ ირანელები სომხეთში [6: 30]. ანუ, ქართლში რელიგიური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა ფარული პოლიტიკური ჭიდილი – თუ რომელი სახელმწიფოებრივი ღირებულებები უნდა გამხდარიყო ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტირი – ბერძნული თუ ირანული. ქართლის პოლიტიკურმა ელიტამ უპირატესობა ბერძნულს მიანიჭა. უარყოფილ იქნა მო-

ბიდან ეპისკოპოსი, რომლის შესახებაც ჯუანშერი გადმოგვცემს: "არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ეს იყო ნათესავად სპარსი, და აჩუენებდა იგი მართლმადიდებლობასა ესე დიდებულობასა. ხოლო იყო ვინმე მოგჯ უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ, და ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოველისა საცთურებისასა" [1: 142]. ქართლის პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებით, იდეოლოგიური მუშაობის გასააქტიურებლად, შერყეული რწმენის განსამტკიცებლად მოიყვანეს "მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით – სახელით მიქაელ, და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა, რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვალებული იყო" [1: 145]. როგორც ჩანს, ქართლის სამეფო კარის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს ბიზანტიის სამეფო კარზე, წარადგინეს შესაფერისი პიროვნების – მიქაელის კანდიდატურა და წარგზავნეს ქართლში. სამეფო კარის მიერ მიქაელის ეპისკოპოსად დადგენის, კურთხევის შემდეგ, მიქაელმა ომი გამოუცხადა მობიდან ეპისკოპოსის სამოქმედო კურსს, ცეცხლს მისცა მობიდანის მიერ დაწერილი წიგნები "დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ" [1: 142]. თ. მგალობლიშვილს, ალ. აბდალაძის მსგავსად, მიაჩნია, რომ მობიდან ეპისკოპოსი ქართლის საეპისკოპოსო ტახტზე დასმული იყო სპარსეთის სამეფო კარის მოთხოვნით [38: 184]. რასაც მეც ვეთანხმები. მობიდან ეპისკოპოსის ფუნქცია, როგორც ჩანს, სპარსეთის სამეფო კარის დავალების შესაბამისად, ქართული ქრისტიანული ზნეობისათვის ძირის გამოთხრა გახლდათ ("იყო ვინმე მოგჯ უსჯულო და შემშლელი წესთა" [1: 142]). მობიდან ეპისკოპოსი ქართულ სახელმწიფოებრიობას ფარულად უთხრიდა ძირს ("ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულობა"). ფაქტობრივად მობიდან ეპისკოპოსის შეხედულებათა უარყოფამ და ბიზანტიურ (ევროპული), ქრისტიანული ფასეულობების დანერგვა-განმტკიცებამ უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა ვახტანგზე. "ვახტანგი იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა" [1: 146].

არსებული წესის (სასანური აღზრდის წესი) თანახმად, უფლისწულის ფიზიკური აღზრდა ევალებოდა სპასპეტს – "მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან" [1: 143]. აღზრდის პერიოდში "აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მყარდებოდა მეტად მჭიდრო ურთიერთკავშირი, სისხლით ნათესაობაზე უფრო ძლიერი. აღმზრდელი ყოველგვარ სიტუაციაში იცავდა აღზრდილს განსაცდელისა და ხიფათისაგან, თავის მხრივ, როცა აღზრდილი მიაღწევდა მაღალ თანამდებობას არ იშორებდა გამზრდელს... და გამზრდელი... იღებდა მაღალ თანამდე-

ბობებს" [17: 11]. "ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა შვილების აღზრდაც იყო მრავალმხრივი, გულისხმობდა ფიზიკურსა და მეცნიერულ მომზადებას" [17: 45]. მემკვიდრე-აღსაზრდელი ზოგადად საბრძოლო, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ეუფლებოდა. სწავლობდა ხმლით, ოროლით, შუბით, მშვილდ-ისრით ბრძოლის, თავდაცვისა და შეტევის წესებს. ის, რომ ვახტანგი კარგად ფლობდა ბრძოლის შეტევით თუ თავდაცვით ილეთებს, მემატიანის მონათხრობში ჩანს. კერძოდ, მოწინააღმდეგე ხაზარ თარხანთან შებრძოლებისას – "მოუტევნეს ურთიერთას, და პირველსავე შეკრებასა სცნა ვახტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა; და ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და განვლო ზურგით და მოკლა" [1: 153]. ბაყათართან ბრძოლის დროს "გამოვლო მდინარე ბაყათარ, და უწყო სროლად ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხითა თუალთათა, და სიმახჳლითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა მისისათა ირიდებოდა ისარსა: რამეთუ შორსვე იხილოს ისარი მომავალი, და უხდებოდა და სიმარჯჳთ მიეხლებოდა, ... და ვერა ჰკრა ისარი, ორისა ისრისაგან მეტი, ბაყათარ ფარსა ვახტანგისსა, და ვერ ჰკუეთა ყოვლად. და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენსა ვახტანგისსა, და გააგდო შიგა და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუჴთა ზედა და უხუთქნა ჴრმალი მჴარსა ბაყათარისსა, და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე" [1: 156].

მომავალ მეფეს ასწავლიდნენ ადამიანებთან ურთიერთობას, მმართველობას – მართვას, ასევე: ფილოსოფიას, ისტორიას, რელიგიის ისტორიას – "მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, ..." [1: 147].

ქართლის სამეფო კარის ბერძნული პოლიტიკური ორიენტაციის მიმდევარმა ელიტამ და უპირველესად, მიქაელ ეპისკოპოსმა ვახტანგს გააცნეს, შეასწავლეს და შეაყვარეს ქართულ-ბერძნული კულტურა, შთაუნერგეს ქართულ-ბერძნული ცნობიერება, დაანახეს ბერძნულ და სპარსულ ფასეულობათა ავ-კარგი, რის შედეგადაც ვახტანგმა კარგად გააცნობიერა ბერძნულ ფასეულობათა სიახლოვე ქართულ ფასეულობებთან და ირანელთა ზრახვანი ქართლის მოსახლეობის ცეცხლთაყვანისმცემლებად მოქცევასთან დაკავშირებით. "მწუხარე იყო იგი (ვახტანგი. ვ.ღ.) ამისთჳს, რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლის-მსახურება" [1: 146].

ვახტანგის აღზრდამ ქართულ-ბერძნული მორალით, ქრისტიანული სჯულის კანონების ცოდნამ, შემდგომში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა მეფის ბერძნულ (ბიზანტიურ) პოლიტიკურ ორიენტაციაზე მოქცევაში.

3. ჰუნ-ოსთა თავდასხმა და საპასუხო ლაშქრობა

441 წლისათვის ქართლს, ჩრდილოეთ კავკასიიდან თავს დაესხა ჰუნთა ჯარი [3: 94-98], რომლის შემადგენლობაში იყვნენ ოსები. მომხდურებმა ააოხრეს ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაარბიეს კასპი. გაიტაცეს მეფე ვახტანგის და, სამი წლის მირანდუხტი და დარუბანდის გზით დაბრუნდნენ ოსეთში. "ეს მომთაბარეთა ტიპური ხასიათის ლაშქრობა იყო, რომლის მიზანს უმთავრესად დავლა და ალაფი შეადგენდა" [5: 41].

ჰუნ-ოსთა დამარბეველი ლაშქრობის შემდეგ ქართველებმა დაიწყეს აქტიური სამზადისი საპასუხო ღონისძიების გასატარებლად. ეს სამზადისი დაახლოებით 6 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მიზანმიმართულმა სამხედრო სწავლებებმა შესაბამისი შედეგი გამოიღო. ლაშქრობისას, რომელიც განხორციელდა ჰუნ-ოსების მიერ ქართლის დარბევის საპასუხოდ, მეფე ვახტანგმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა, შესანიშნავმა ორატორმა, ღვთის მორწმუნე (მოშიში) ქრისტიანმა და დიდებულმა მებრძოლმა. ლაშქრობის წინ მეფემ მოიწვია და ჩაატარა სახელმწიფო საბჭოს სხდომა. საბჭოზე ლაშქრობის დეტალურად განხილვისას წამოიჭრა საკითხი, თუ ვინ უხელმძღვანელებდა ჯარს. ჯუანშერ სპასპეტის აზრით, მეფეს უნდა დაესახელებინა ღირსეული პიროვნება, რომელიც გაუძღვებოდა ლაშქარს, თვით მეფე კი მცხეთაში დარჩენილიყო. ჯუანშერის აზრს, როგორც ჩანს, იზიარებდა საბჭოზე დამსწრეთა დიდი ნაწილი, "ესე თქუა ჯუანშერ სპასპეტმან და დაემოწმნენ ყოველნი წარჩინებულნი და ერისთავნი ზრახვასა მისსა" [1: 149]. მაგრამ ჯუანშერის იდეა მეფემ უარყო. ვახტანგს ოსეთზე საპასუხო ლაშქრობის ხელმძღვანელობა თავად სურდა. "მე არა ვარ მორჩილი ზრახვისა მაგის შენისა, ... არამედ მინდობითა ღმრთისათა და წინამძღურობითა ჯუარისა, მის პატიოსნისათა თავითა ჩემითა წარვალ, და ვესავ მრავალმოწყალებათა მისთა, – არა გამწიროს და მომცეს ძლევა" [1: 150]. ვახტანგის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ საბჭოზე მყოფმა წარჩინებულებმა შეიცვალეს აზრი და დაეთანხმნენ მეფეს – "მაშინ ვითარ ვერღარა დაუშლიდნეს, მიემოწმნეს ყოველნი იგი წარჩინებულნი" [1: 150].

უაღრესად საინტერესოა საბჭოზე სხდომის წესიც: "განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა (სამეფო ტახტი) ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე (სავარძელი), და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასის-თავნი და ასის-თავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე" [1: 147].

ამავე დროს საყურადღებოა ისიც, რომ ამ პერიოდისათვის – 447 წლისთვის, როგორც ჩანს, წესად იყო დადგენილი, ქართლის სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხები განეხილათ სახელმწიფო საბჭოზე. ამ საბჭოზე თანაბარი ხმის უფლებით

სარგებლობდნენ (სავარძლების მიხედვით ასე ჩანს): სპასპეტი, ქრისტიანი ეპისკოპოსი და ცეცხლთაყვანისმცემელთა ეპისკოპოსი.

ლაშქრის შეკრების ადგილად გამოაცხადეს მუხრანისა და ხერკის მიდამოები, მდინარე არაგვის მიმდებარე ტერიტორიები. ქართლის ლაშქარში გაერთიანებული იყო რანის ერისთავის ვარაზ-ბაკურის სპა "თორმეტი ათასი მჴედრით" [1: 150]. ამ დროისათვის "შესლვასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა" [1: 151]. ე.ი. 431+16=447 წ. მემატიანე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ვახტანგის ღვთის მოყვარეობაზე, საბრძოლო გულოვნებასა და გაწვრთნილობაზე, რაც ასე კარგად გამოჩნდა ბრძოლის მიმდინარეობის დროს. "დადგა ლოცვად, და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა, ... ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა, ... უშიში იყო ვითარცა უჴორცო, და იმედი ჰქონდა ღმრთისაგან და ძალისა თჳსისაგან" [1: 152].

პირველივე შერკინების დროს ვახტანგმა სასიკვდილოდ დაჭრა ხაზარი გოლიათი თარხანი, შემდეგ გადმოხტა ცხენიდან "დავარდა მიწასა ზედა, თაყუანის-ცა ღმერთს და თქუა "კურთხეულ ხარ შენ, უფალო რომელმან მოავლინე ანგელოზი შენი და დაეც მტერი ჩემი"... [1: 153]. ვახტანგი განსაკუთრებით განსწავლული იყო თეოლოგიაში და ყველაფერში ღვთის ნებას ხედავდა. ეს ჩანს მის სიტყვებსა და ქმედებებში. სანიმუშოდ მოვიყვან ვახტანგის პასუხს ოსთა გოლიათ ბაყათარისადმი: "არა ძალითა ჩემითა ვსძლე თარჴანს, არამედ ძალითა დამბადებლისა ჩემისათა და არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისაგან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა, და ჯუარი მისი პატიოსანი საჭურველ ჩემდა" [1: 154]. ბაყათარის მოკვლის შემდეგ მეფე ვახტანგი "პირველ დავარდა ქუეყანასა ზედა, და თაყვანის-ცა ღმერთსა, და შეწირა მადლობა უმეტეს პირველისა" [1: 155]. შემდგომ დაბრუნდა თავის ჯართან და შესძახა "მჴნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩუენ-კერძო არს" (იქვე).

მოგვიანებით დიდი შოთა რუსთაველი დაწერს: „რაცა ღმერთსა არა სწადდესბ არა საქმე არ იქნების“. (ვეფხის-ტყაოსანი „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე ოდეს გაიპარა“).

„არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“ (იქვე).

ვახტანგ მეფის მიერ განხორციელებული საპასუხო ლაშქრობა ოსეთზე ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ამ წარმატებას ვახტანგი აღიქვამდა, როგორც ღვთის მადლს, ღვთის წყალობას ქართველებისა, რაც კარგად აისახა ქართულ ფოლკლორში:

"ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა
ოსებში გადაიარა

ჩერქეზები გადარეკა."

მეფე ვახტანგის ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებულ ლაშქრობასა და მის მიერ ოს ბაყათარის მოკვლას ადასტურებს ჩრდილოეთ ოსეთში ნუზალის XII-XIII სს. საყდარზე არსებული ქართული წარწერა:

"ქართველ მეფეს და მოვტაცე,
არ დავაგდე ჩემი გვარი
მომწვდა, ფიცით მიღალატა
მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბაყათარ წყალსა მიეცა
აღიხოცა ოსთა ჯარი.
ვინცა ეს ლექსი იხილოთ
მცირედ ბრძანეთ შენდობანი" [55:241].

ოსთა დამარცხების შემდეგ ვახტანგმა ჩაკეტა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზა-ბილიკები და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. "ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთიულნი. არა ჭელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა" [1: 156]. სხვა ქართველ ტყვეებთან ერთად გამოიხსნა და მცხეთას გამოგზავნა ოსთა ტყვეობაში მყოფი და – მირანდუხტი, თვითონ კი ქართლის დიდი ჯარით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლები ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. როგორც ჩანს, სპარსეთი დაინტერესებული იყო ბიზანტიისთვის დასავლეთ საქართველოში მეორე ფრონტი გაეხსნა და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენა ქართლის ჯარი მეფე ვახტანგის ხელმძღვანელობით. "უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელი იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს. და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი, ვიდრე ციხე-გოჯამდე და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოს, მცხეთას" [1: 157]. ფაქტობრივად, სამი წლის განმავლობაში 447+3=450 წ. ვახტანგმა შეძლო თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს დამორჩილება (ციხე-გოჯის გარდა) და მშვიდობიანად დაბრუნდა მცხეთაში. ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებულმა ვახტანგმა, მადლიერებისა და მორჩილების დასტურად გაუგზავნა ძღვენი დედის ძმას – ვარაზ-ბაკურს. "მონა ათასი, ცხენი საჭედარი ათასი, ჭდალი ცხენი ათასი" [1: 158]. მეტად შთამბეჭდავია ვახტანგ მეფის მიერ ირანის შაჰისათვის ამავე მიზნით (მორჩილებისა და მადლიერების გამოხატვა) და, იმავდროულად, გამარჯვების მისალოცად გაგზავნილი ძღვენიც. "წარსცა წინაშე სპარსთა მეფისა მონა ათი ათასი, ცხენი საჭედარი ათი ათასი, ცხენი ჭდალი ათი ათასი" [1: 158]. ფაქტობ-

რივად, ეს ლაშქრობა განხორციელებული იყო ვახტანგის მიერ, ირანის შაჰის სახელით, ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამავე დროს, იმის გამო, რომ ქართლი ირანს ექვემდებარებოდა, ვახტანგ მეფის წარმატება ირანის წარმატებად ითვლებოდა.

"ვახტანგმა ისე დასაჯა ქართლში ლაშქრობის მსურველი ოსები და ისე ჩაკეტა საქართველოში შემოსასვლელი კარები, რომ მათ კარგა ხანს აღარ გასჩენიათ სურვილი კავკასიონის ქედის სამხრეთით გადმოსვლისა და საქართველოს დალაშქვრისა" [54: 134].

დარიალის ციხესიმაგრე ჩრდილოეთიდან [64]

ამ წარმატებული ლაშქრობების შემდეგ ვახტანგის ავტორიტეტი მკვეთრად გაიზარდა როგორც ქართლში ისე, ირანის სამეფო კარზე. სწორედ ამიტომ 450-451 წლების ანტიირანულ აჯანყებაში ქართლის სამეფო კარს, მეფე ვახტანგის ხელმძღვანელობით მონაწილეობა არ მიუღია. ამ პერიოდში ვახტანგ მეფე ირანული პოლიტიკური ორიენტაციის პოლიტიკოსი გახლდათ და არ უპირისპირდებოდა ირანს. სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარპეცის მიხედვით – "ქართველთა ქვეყნიდან წავიდნენ ბდეშხი აშუშა და ამ ქვეყნის სხვა ტანუტარები" [21: 218], ანუ ისინი, ვინც ქვეყნის მომავალს ირანთან ერთობაში ვერ ხედავდნენ.

თავი II

1. ირანელებთან ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ

ირანის მმართველი გუნდი დაინტერესებული იყო ქართლთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური კავშირით და როგორც ჩანს, ვახტანგს შესთავაზეს სპარსთა მეფის ასულზე დაქორწინებულიყო. ვახტანგმა მიიღო ეს წინადადება, თხოვნით მიმართა ირანის შაჰს მიეთხოვებინა მისთვის ასული. "სპარსთა მეფემან მოსცა ასული მისი ცოლად რომელსა ერქვა ბალენდუხტ და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად და... მოუწერა მან. ბრძოლა კეისრისა, რამეთუ კეისარი განსრულ იყო ბრძოლად სპარსთა" [1: 158]. ამდენად, ირანის სამეფო კარს სურდა ვახტანგი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად ექცია, ამიტომ დაამყარა მასთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირი, რაც გააძლიერა დინასტიური ქორწინებით: მზითვად გადასცა სომხითი "და ყოველნი მეფენი კავკასანნი ზითვად..." შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნა ვახტანგ მეფის ბიძა, რანის პიტიახში, ვარაზ-ბაკური [3: 124].

მემატიანე გვიამბობს, რომ ვახტანგმა ჰუნ-ოსებზე ლაშქრობის წინ ჩაატარა სახელმწიფო საბჭოს სხდომა, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ მოიწვია თუ არა მეფე ვახტანგმა სახელმწიფო თათბირი ბიზანტიის წინააღმდეგ გალაშქრებამდე. მატიანეში არაფერი წერია არც იმის შესახებ, თუ რა აზრისანი იყვნენ ქართლის სამეფო კარზე ქართველთა ანტიბიზანტიურ გეგმებთან დაკავშირებით ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსები. როგორ აღიქვა გადაწყვეტილება ბიზანტიის წინააღმდეგ ირანის დაგეგმილ ომში ქართველთა მოსალოდნელი მონაწილეობის შესახებ "ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა მიქაელმა." თუმცა, შემდგომი მოვლენები გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მიქაელს პროტესტი არ გამოუთქვამს, არ დაუფიქსირებია უარყოფითი აზრი ბიზანტიის წინააღმდეგ დაგეგმილ კოალიციურ ლაშქარში ქართველთა მოსალოდნელ მონაწილეობასთან დაკავშირებით. ანუ, "ჭეშმარიტ ეპისკოპოს მიქაელს" გამომდინარე თავისი სოციალური მდგომარეობიდან (მეფის შემდეგ პირველი პირის – სპასპეტის თანასწორი გახლდათ), ევალებოდა თავისი აზრი გამოეთქვა – ეთანხმებოდა თუ არა ბიზანტიის წინააღმდეგ დაგეგმილ კოალიციურ ლაშქარში ქართველთა მონაწილეობას. მან არ შეასრულა საკუთარი მოვალეობა, არ იღვაწა ბიზანტიის ინტერესების სასარგებლოდ. ჯუანშერის თანახმად, მიქაელი ქართლის სამეფო კარზე ღირსეულად არ იცავდა ბიზანტიის სახელმწიფო ინტერესებს, რის გამოც ბიზანტიის საერო და სასულიერო ხელისუფლება ეპისკოპოს მიქაელზე განაწყენებული უნდა ყოფილიყო.

2. დაპირისპირება

453 წლისთვის ირანის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყო მოქმედება ბიზანტიის სამხედრო ძალების წინააღმდეგ. ქ. პონტოსათვის სამთვიანი ბრძოლების დროს, სავარაუდოდ, 455 წლის მეორე ნახევარაში, ან 456 წლის დასაწყისში ვახტანგ მეფე დაუპირისპირდა ირანის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას, რაც გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: "სპარსნი (მებრძოლები. ვ.ღ.) რომელ ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა, დაჰკვლიდეს; ხოლო ვახტანგ მეფემან ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა სპარსთა (მეფე ვახტანგის დაქვემდებარებაში მყოფებს), რათა არავინ ჰკვლიდენ მოწესეთაგანსა, არამედ ტყუედ ჰყოფდენ" [1: 160]. უდანაშაულო მონაზონთა კვლამ, ქრისტიანულ მორალზე აღზრდილ ვახტანგზე ცუდად იმოქმედა. პროტესტი, რომელიც ვახტანგ მეფემ გამოთქვა დაფუძნებული იყო ქრისტიანულ მორალსა და სპარსულ რეალობას შორის არსებულ შეუთავსებლობაზე. ვახტანგ მეფემ მიმართა მისდამი დაქვემდებარებულ ეთნიკურ სომეხ და ეთნიკურ სპარსელ მებრძოლებს (ქართველებთან ეს, როგორც ჩანს, არ სჭირდებოდა), რომ ბერ-მონაზონთაგან არავინ მოეკლათ. თავის მიმართვა გააძლიერა შემდეგი არგუმენტით: ადრეულ წლებში, როდესაც მცირერიცხოვანი ბერძნები მრავალრიცხოვან სპარსელებს ებრძოდნენ, მსგავსი სიტუაცია შეიქმნა "ესევითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა, და იძლივნეს ბოროტითა ურიცხვნი სპანი მცირეთა ლაშქართაგან"... [1: 160]. მჭერმეტყველური არგუმენტების მოხმობის შემდეგ, როგორც ჩანს, მთავარსარდლობასთან შეთანხმების გარეშე "განავლინა ქადაგი, რათა ყოველნი მოწესენი გამოვიდნენ სამალავთაგან მათთა და ტყუენი განუტევნენ, და სადაცა ენებოს წარვიდენ და გამოვიდა სიმრავლე მღვდელთა და დიაკონთა, მოწესეთა მონაზონთა და ენკრატოსთა (ქალი მონაზონი) [2: 147], ქუაბებით და მთათაგან, და უმრავლესნი პონტო ქალაქით. და მათთანა იყვნეს ორნი კაცნი: პეტრე მღვდელი... და სამოელ მონაზონი" [1: 163-164]. სახეზეა აშკარა განხეთქილება, დაპირისპირება ირანის სამხედრო ძალებში. ქრისტიანულ მორალზე აღზრდილ და ქართულ-ბერძნული მენტალიტეტით განმსჭვალულ ქართლის მეფე ვახტანგს, აღარ სურდა სპარსეთის შეიარაღებულ ძალთა რიგებში ყოფნა. თავის სამეთვალყურეო ტერიტორიაზე თვითნებურად მოხსნა ქალაქ პონტოს ალყა და საშუალება მისცა ოთხთვიანი ალყის შემდეგ დაუძლურებულ ადამიანებს გასულიყვნენ ქალაქიდან. მხოლოდ ორი პიროვნება – მღვდელი პეტრე და მონაზონი სამოელი დაიტოვა თავისთან.

3. საუბრები პეტრესთან, გამოცხადება

ვახტანგ მეფესა და მღვდელ პეტრეს შორის იმართებოდა საუბრები. ერთ-ერთი საუბრის დროს "რქუა მეფემან: "აწ რა გნებავს შენ".

"რქუა მას პეტრე: "მნებავს, რათა შენ მიერ აღგზნებული ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა" [1: 166]. ჩემი აზრით, პეტრე მღვდელს ეს სურვილი ვახტანგ მეფისათვის თვითნებურად, დამოუკიდებლად არ შეიძლებოდა გამოეთქვა, რადგან შეთავაზება ითვალისწინებდა ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკში მყოფ სახელმწიფოს მეთაურთა დაახლოებას. "მნებავს მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა" [1: 166]. წინადადების ინიციატორი ბიზანტიის სამეფო კარი უნდა ყოფილიყო. მხედველობიდან არ შეიძლება გამოგვრჩეს, რომ ბიზანტია სპარსელებისაგან შეჭირვებული გახლდათ, ამიტომ, ამ პერიოდში საჭირო იყო სპარსელთა რიგებში განხეთქილების შეტანა და ამით სპარსელთა დასუსტება. ფაქტობრივად, პეტრე მღვდლის წინადადება ბიზანტიის სამეფო კარის მიერ შემოთავაზებული გარიგება გახლდათ ქართლის სამეფო ხელისუფალთათვის – პოლიტიკური ორიენტაციის ცვლასთან დაკავშირებით. ქართლის სამეფო კარს უარი უნდა ეთქვა სპარსეთის სამეფოს დაქვემდებარებაში ყოფნაზე. მას ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაცია უნდა გაეზიარებინა. მეფე ვახტანგმა, როგორც ჩანს, კარგად გაიაზრა შეთავაზებული წინადადების სირთულე და უთხრა პეტრე მღვდელს – "ესე მნებავს, რათა მიჩუენოთ ლოცვითა თქუნითა ამას ღამესა კეისარი და მე შეკრებულნი, და რომელ ზრახვად არს ჩუენ შორის სიყუარულისა ყოფა, და ვცნა ვითარმედ სთნავს ქრისტესა ზრახვა ესე" [1: 166].

მეფე ვახტანგის პასუხი მღვდელ პეტრესადმი – "მიჩუენოთ ლოცვითა თქუნითა ამას ღამესა კეისარი" [1: 166] თავისთავად მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ პეტრე მღვდელი ბიზანტიის საიმპერატორო კარის, უშუალოდ კეისრის დავალებას ასრულებდა და სწორედ მისი მოციქული გახლდათ ვახტანგ მეფესთან. ეს მომენტი შემდგომ განვითარებულ მოვლენებშიც იგრძნობა. "და წარვიდა პეტრე კეისრისა, ხოლო სამოელ დადგა წინაშე მეფისა" [1: 170]. თუ რიგით მღვდელს არ ექნებოდა განსაკუთრებული რწმუნება ბიზანტიის კეისრისაგან, ის ვერ მოახერხებდა კეისართან შეხვედრაზე წასვლას. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოა V ს. ბიზანტიის სახელმწიფო მოხელისა და ისტორიკოსის პრისკე პანიონელის მონათხრობი (ფრაგ. 25): "მის შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას; ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ; იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყოთ ომი და <u>წინასწარ პართელების მეფე მიემხროთ</u>" [43: 254]. (ხაზგასმა ჩემია. ვ.ღ.). ამდენად, პრისკე

პანიონელის მიხედვით V საუკუნეში ბიზანტიის სამეფო კარზე დამკვიდრებული ყოფილა მეთოდი – მოწინააღმდეგის დაჯგუფებაში განხეთქილების შეტანა, გამარჯვების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი მეთაურის ან მეთაურების გადაბირება, რასაც აკეთებდნენ კიდეც ბიზანტიელები. მეფე ვახტანგის მისამხრობად ("მისაქცევად") სპარსელებთან ომის დროს ამ მეთოდმა, როგორც შემდგომ დავინახავთ, ბიზანტიელებს გამარჯვება მოუტანა.

მეფე ვახტანგი იმ შემთხვევაში შეიცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას, თუ ეს საკითხი უშუალოდ კეისრის ინიცირებული იქნებოდა და, რასაკვირველია, თუ ამგვარი გახლდათ ნება უფლისა. მხოლოდ, ყოველივე ამაში თავად მეფე უნდა დარწმუნებულიყო და უზენაესისაგან ნიშანი მიეღო. მღვდელმა პეტრემ მეფის მოთხოვნა გარკვეულწილად გააპროტესტა და თქვა, რომ ამ მისიის შესრულება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. მონაზონმა სამოელმა დაამშვიდა პეტრე, უთხრა – ნუ განიკითხავთო ღმრთის საქმეს და ისინი თავის სამყოფელში წავიდნენ. შემდგომ, მეფე ვახტანგმა ხანგრძლივად ილოცა და დაწვა. მიძინებისას იხილა: გამოეცხადნენ წმინდა ნინო, გრიგოლ სასწაულმოქმედი, კეისარი, მღვდელი პეტრე და მონაზონი სამოელი. ჩვენებისას მონაზონმა სამოელმა მიმართა ვახტანგს: "შეუვრდი პირველად დიდსა იმას მთავარსა ზეცისასა გრიგოლს". მივიდა და თაყუანის-ცა და რქუა გრიგოლი: "რა ესე ჰყავ ბოროტი, კაცო, რამეთუ მოაოჭრე ბანაკი ჩემი და მჭეცთა შეაჭამენ საცხოვარნი ჩემნი, უკეთუმცა ორნი ეგე არა, რომელნი გუერდით გიდგან, და დედაკაცისა ამისთჳს, სათნოსა, რომელი მარადის იღუწის მარიამის თანა თქუენთჳს – შურ ვიგემცე შენგან, ვითარცა მამათა შენთაგან, რომელნი ესვიდეს ცეცხლსა შემწუელსა და არა ბრწყინვალებასა განმანათლებელსა ყოველთასა". და მისცა ჭელი და ამბორს-უყო, რეცა და მიჰყო ჭელი გჳრგჳნსა ნათლისასა, რეცა ეგევითარივე გჳრგჳნი მისცა ვახტანგს, და რქუა "დაარქუ ეგე პეტრეს". და აღიღო პეტრე მისვე გჳრგჳნისაგან რეცა უდარესი და დაარქუა სამოელს მონაზონსა და რქუა ნინო ვახტანგს: "აწ უკუე მივედ მეფისა და მიიღე ნიჭი შენი". მივიდა მეფისა, ამბორს-უყვეს ურთიერთას, და ადგილ-სცა საყდართა თჳსთა, და დაისუა იგი თანა. და მისცა ბეჭედი ჭელისა მისისაგან, რომლისა იყო თუალი ფრიად ნათელი და რქუა კეისარმან: "უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გჳრგჳნი, აღუთქუ ვინ ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰბრძოდი მტერთა მისთა და მიიღე მისგან გჳრგჳნი". მოიხილა ვახტანგ და იხილა ჯუარი, რომელსა ფრთეთა მისთა ზედა აქუნდა გჳრგჳნი, და უმეტეს ხილვამან ჯუარისამან დასცა შეძრწუნება, რამეთუ უსაშინლეს იყო ზარი მისი, და დაადუმნა. ხოლო აღდგა ნინო და მიხედნა პეტრეს კერძო და სამოელისა, და ერთითა პირითა თქუეს: ჩვენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტეს ყოველთასა, წარემართოს, ϩ ჯუარო უძლეველო და მიჰყო ჭელი კეისარმან, და მოიღო გჳრგჳნი ჯუარისაგან, და დაარქუა გჳრგჳნი იგი ვახტანგს თავსა...

და იწყეს გამოსვლად, რეცა ჴმა ყო ეპისკოპოსმან სამგზის, და თქუა: ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტეს მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავსა სპარსთასა". მეორედ: შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესნენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი" და მესამედ: გურგენიცა წამებისა მიიღო". და გამოვიდა, რეცა მოუწოდა ძილსავე შინა პეტრეს და სამოელს და უთხრობდა ძილსავე შინა ჩუენებასა, და იგინი აუხსნიდეს: "რომელი – იგი იხილე საყდართა ზედა გურგენოსანი ნათლითა, იგი არს დიდი მოძღუარი გრიგოლი; და მან რომელი მომცა მე გურგენისა მისგან, მომცა ეპისკოპოსთა მთავრობა; და მე რომელი მივეც გურგენისა ჩემისაგან მოყუასსა ჩემსა, ჩემ მიერ ყოფად არს ეპისკოპოსად; და რომელ ნახე გურგენითა ოქროსათა ჭურვილი, იგი არს კეისარი; და რომელ მოგცა შენ ბეჭედი, მოგცეს შენ ასული ცოლად, და ყოველი საზღვარი ქართლისა მისგან უკუმოღებული მოგცეს; ხოლო გურგენი ჯუარისაგან რომელ მოგცა, ვრცელნი ღუაწლნი გარდაიჴადენ შეწევნითა ჯუარისათა: ხოლო მოძღუარმან ჩუენმან რომელ სამგზის გიჴმო, სამნი ნიჭნი გითხოვნა ღმრთისაგან, რათა შენ მიერ ჭეშმარიტება დაემტკიცოს ქართლისა კათალიკოსთაგან და ეპისკოპოსთა და სძლევდე მტერთა ვიდრე დღემდე აღსრულებისა შენისა. ხოლო აღსრულებასა შენსა გურგენი წამებისა მიიღო ბრძოლასა შინა, ჴელთა მტერთასა არა შეჰვარდე. ესე ყოველი აღესრულოს ვიდრე მოუძლურებადმდე შენდა და სიბერედმდე" [I: 167-168].

ამ ვრცელ ამონაწერში წარმოდგენილია უზენაესის მიერ განსაზღვრული მეფე ვახტანგის ცხოვრებისეული კრედო და მიმდინარეობა. და მართლაც, მეფე ვახტანგის მთელი შემდგომი ცხოვრება, ღვთის მიერ შემოსაზღვრულ ამ ჩარჩოში თავსდება. ვახტანგმა მიიღო უზენაესისაგან ნიშანი, ანუ ის, რასაც ელოდა და ითხოვდა – "ესე მნებავს, რათა მიჩუენოთ ლოცვითა თქუენითა ამას ღამესა კეისარი..." [1: 166]. და ვახტანგმა ნახა კეისარი.

თუ თავიდან ბიზანტიის სამეფო კარმა პეტრე მღვდლის საშუალებით მეფე ვახტანგს შესთავაზა – "რქუა მას პეტრე: "მნებავს რათა შენ მიერ აღგზნებული ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა" [1: 166]. გამოცხადებისას ვახტანგმა გაცილებით მეტი რამ იხილა. ეს კი ნიშნავს, რომ ბიზანტიის სამეფო კარი გაცილებით მეტს თხოულობდა მეფე ვახტანგისაგან და, შესაბამისად, მეტსაც ჰპირდებოდა. კერძოდ, "გამოცხადების" თანახმად ჰპირდებოდნენ: ეპისკოპოსთა მთავრობის (ანუ, ქართლის ეკლესიაში) ცვლილებებს. ეკლესიათა მშენებლობას, ბიზანტიის კეისრის ასულთან შეუღლებას (პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით), ტერიტორიების დაბრუნებასა და ძლევამოსილ მეფობას სიბერემდე "ხოლო აღსრულებასა შენსა გურგენი წამებისა მიიღო ბრძოლასა შინა" [1: 168].

"გამოცხადებამ" მეფე ვახტანგზე უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა. ახლა უკვე საქმე უნდა აღესრულებინა. საჭირო იყო ვახტანგ მეფეს ისე ეღვაწა, რომ ბიზანტიელებს ადვილად დაემარცხებინათ ირანელები.

ზოგადად "გამოცხადება" მეფე ვახტანგზე მუდმივად ძლიერად ზემოქმედებდა. 491 წელს, უჯარმასთან მიმდინარე ბრძოლების დროს, პეტრემ, რომელიც იმ პერიოდში ქართლის კათოლიკოსის მოვალეობას ასრულებდა, შეახსენა მეფეს "გამოცხადება" – "რქუა მას პეტრე კათალიკოსმან: "გიხილვან საქმენი, რომელნი არავინ ნათესავთა შენთაგანმან იხილნა შეწევნენი ქრისტეს-მიერნი..." [1: 201], რითაც გაამხნევა და შეაგულიანა მეფე მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მკვლევარ ვახტანგ გოილაძის დათარიღების მიხედვით, რომელსაც მეც ვეთანხმები (ზოგადად, ბატონ ვ. გოილაძის ყველა დათარიღება ჩემ მიერ გაზიარებულია), ვახტანგ მეფის პირველი მეუღლე, ირანის შაჰის ასული ბალენდუხტი 455 წელს გარდაცვლილა [3: 85]. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს იცოდნენ, როგორც ვახტანგმა ისე, ბიზანტიის სამეფო კარის წარმომადგენლებმა. სწორედ ამიტომ შესთავაზეს ვახტანგს ბიზანტიის კეისრის ასულზე დაქორწინება. აქედან გამომდინარე, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეიძლება განვითარებულიყო 455 წლის მეორე ნახევარში ან 456 წლის დასაწყისში.

4. პოლიტიკური ორიენტაციის ცვლა
კეისარმა ვახტანგს სამეფო გვირგვინი უბოძა

ირანის შეიარაღებული კოალიციური ლაშქრის შემადგენლობაში მყოფი მეფე ვახტანგი დილემის წინაშე აღმოჩნდა: ის ისე უნდა გასულიყო ირანის შეიარაღებული ძალების დაჯგუფებიდან, რომ არ გაედიზიანებინა და არ დაეპირისპირებინა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა, რადგან "სპანი სპარსთანი სომხითისა და ქართლისა სპათა უმრავლეს არიან" [1: 169]. ამიტომ ვახტანგს ყველაფერი იმგვარად უნდა გაესაიდუმლოებინა, რომ მის გარშემო თავმოყრილ ირანის აგენტებს ეჭვი არაფერში შეეტანათ. ანუ, მანამ, სანამ მეფე თავისი ჯარით ირანის სამხედრო შენაერთს არ დატოვებდა, ირანელებს ვახტანგის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლის შესახებ არაფერი უნდა სცოდნოდათ. ვახტანგმა გადაწყვიტა როგორმე თვალი აეხვია ირანელებისთვის, ამიტომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვითომ ეახლა დესპანი, რომელმაც აუწყა – "ვითარმედ სპანი ბერძენთანი შემოვიდეს კოსტანტინეპოლედ. და მოუწოდა მეფემან ვახტანგ დედის ძმასა თჳსსა და ყოველთა მეფეთა, და რქუა: "რასა იტყჳთ, რამეთუ უწყით სიმრავლე სპათა ბერძენთა, და ვერაგობა წყობი-

სა მათისა, და სიმარჯუე ზღუათა შინა ნავებითა. ესერა შევიდეს იგინი სპარსეთს, ქუეყანასა გმირთა და გოლიათთასა, და მათ ვერ უძლეს წყობად. აწ მეშინის, ნუ უკუე სპანი ნავებითა მოვიდენ, შეიპყრან გზა ჩუენი და მოგუწყჳდნენ ჩუენ, ვითარცა ბაკსა შინა. არამედ აღვდგეთ აქათ და დავიბანაკოთ ზღუასა სამხრით კერძო, რათა გუაქანდეს ჩუენ გზა ჭირისა და ლხინისა" [1: 170]. ამ ხერხმა გაჭრა. ვახტანგს უფლება მისცეს მთელი თავისი სამხედრო ძალით გასცლოდა ირანის შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო ბანაკს და დაბანაკებულიყო ადგილზე, რომლის გავლასაც მთავარი სამხედრო ბანაკიდან ხუთი დღე სჭირდებოდა. ფაქტიურად ამ ტაქტიკური სვლით ვახტანგმა შეასუსტა ირანის სამხედრო ძალა და შეძლო ამ ძალების დეზორგანიზაცია, რითაც ხელი შეუწყო ბიზანტიას ზედმეტი გართულებების გარეშე დაემარცხებინა ირანის სამხედრო დაჯგუფება.

ამ პერიოდში, ე.ი. მანამ, სანამ ირანის სამხედრო დაჯგუფებას ვახტანგის დაქვემდებარებაში მყოფი ლაშქარი გამოეყო, მეფე ვახტანგი საიდუმლოდ შეხვდა ბიზანტიის კეისარს. შეხვედრის დროს კეისარმა ვახტანგს მეფობა უბოძა, გარდა ამისა, სპარსელებზე გამარჯვების შემთხვევაში, ქართლისა და თუხარის ციხის გადაცემას დაჰპირდა. "ხოლო საიდუმლოდ მოართუეს მას ჯუარი და გჳრგჳნი შუამდგომელად, და შესამოსელი ტანის მისისა, და თქუა: "რა შევკრბეთ, მოგცე ციხე თუხარისი და საზღვარნი ქართლისანი" [1: 171]. რაც შეეხება ქართლს, "დაწყებული 373 წლიდან ქართლის სამეფო ორ ნაწილად – სპარსეთისა და ბიზანტიის გავლენის სფეროებად იყო გაყოფილი და ეს უკანასკნელი ქართლის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებს მოიცავდა, რომელზედაც ვახტანგ გორგასლის ხელისუფლება ჯერჯერობით არ ვრცელდებოდა" [4: 146]. ამდენად, ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის კეისარი ვახტანგს ქართლის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების გადაცემას დაჰპირდა. ვახტანგ მეფემ კი საპასუხოდ აღუთქვა კეისარს, რომ ზედმეტი გართულების გარეშე "უმარჯუეს ადრე შევყარნე იგინი (სპარსელები. ვ.ღ.) ჴელსა შენსა" [1: 171]. ვახტანგ მეფემ შეასრულა დანაპირები – ძალზედ მოხერხებულად გააბა სპარსელები ბერძენთა მიერ დაგებულ ხაფანგში.

თავი III

1. ირანელების მიერ ვახტანგის დასჯა

დამარცხებულმა ირანელებმა, როგორც ჩანს, კარგად გააცნობიერეს მეფე ვახტანგის "ღალატი".

საყურადღებოა ვახტანგ მეფის დედის ძმის, ირანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ვარაზ-ბაკურის მრისხანე მიმართვა ვახტანგისადმი – "გუელო და ნათესავო ასპიტისაო: არა უწყი რამეთუ დედა მამისა შენისა ბერძენი იყო,... და გძლო შენ ბუნებამან მამის დედისა შენისამან, და სიყუარული ჯუარცმულისა მის კაცისა მომკუდარისა გიპყრიეს და გნებავს შეყენება ჩუენი ჴელსა ბერძენთასა" [1: 172]. როგორც ჩანს, სპარსეთის მთავარსარდლობამ კარგად გამოიძია და გაიაზრა ვახტანგის ქმედებები, რის შედეგადაც უაპელაციოდ დაადანაშაულა ღალატში – "გნებავს შეყენება (ჩაგდება [2: 93]) ჩუენი ჴელსა ბერძენთასა" [1: 172]. ჩემი აზრით, ვახტანგ მეფისათვის სამეფო რეგალიები ირანელებს სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩამოერთმიათ. გავიხსენოთ: რანის პიტიახშმა ბარზაბოდმა ანუ ვახტანგის დედის მამამ, წინააღმდეგობა ვერ გაუწია შვილის – საგდუხტის დამამცირებელ თხოვნა-ვედრებას და ვახტანგს მეფობა უბოძა. მკვლევარ ვახტანგ გოილაძის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 438 წელს [3: 83], რასაც მეც ვიზიარებ. ირანმა რომ ნამდვილად იმ დროისათვის – 456 წ. ჩამოართვა ვახტანგს მეფობა კარგად ჩანს შემდგომ განვითარებული მოვლენებიდანაც (იხილეთ ქვემოთ).

2. ირანელთა მარცხი

მას შემდეგ, რაც ირანელები ბიზანტიელებთან დამარცხდნენ და ვახტანგის ქმედებებიც გაცხადდა (მეფე გავიდა ირანის შეიარაღებული ლაშქრის კოალიციიდან), უარი თქვა ბრძოლაში მონაწილეობაზე – "მეფე ვახტანგ და ქართველნი განვიდეს ხედვად და დადგეს" [1: 172-173]. ანუ, მეფემ უგულებელყო ყოველგვარი დიპლომატია და უარი განაცხადა ბიზანტია-სპარსეთის ომში სპარსელთა სასარგებლოდ მონაწილეობაზე. გარდამტეხ სისხლისმღვრელ ბრძოლაში "მოკლეს დედის ძმა ვახტანგისი, ერისთავი სპარსთა. და მოკლეს იპაჯაჯ, მეფე ლეკთა და მრავალნი ერისმთავარნი, და იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა. იყო ბერძენთა სპასალარი პალეკარპოს ლოღოთელი, დისწული მეფისა. და იყო იგი ძლიერი და მას მოეკლნეს ძლიერად მბრძოლნი სპარსთანი და ესეცა ერისთავი მანვე მოკლა" [1: 173].

სპარსელთა დამარცხების შემდეგ ვახტანგ მეფემ კვლავ გამოავლინა უდიდესი მოწიწება უფლისადმი, მან თქვა: "არა რომელი ჩუენ გჳნდა, გარნა (არამედ [2: 91]) რომელი ღმერთსა სთნდა... სილაღემან სპარსთამან აგინა ღმერთსა, და ღმერთმან შური იგო, და მოკლეს ერისთავი რანისა... აწ დამდაბლდა სილაღე სპარსთა, მოიყვანეთ ჯუარი წარვიძღუანოთ, რათა რომლითა გუძლევდენ მითივე იძლივნენ, და იქმნენით ძედ ძლიერებისად" [1: 173].

ვახტანგმა თავისი ქმედებებით კიდევ უფრო აშკარად გამოხატა და დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ირანთან მიმართებაში. ის ცდილობდა განეიარაღებინა ირანული ორიენტაციის ცეცხლთაყვანისმცემელი მებრძოლები და თუნდაც იძულებით თაყვანი ეცათ ჯვრისთვის. "ხოლო ბორზო მოვაკნელმან მეფემან თქუა: "არა დაუტეონ ნათელსა შემწუელსა, და არა თაყუანისვცემ ძელსა მაშმელსა, რომელი განშუენებულ არს ოქროთა და ანთრაკითა," და სცა მას ლახუარი ჯუანშერ სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი. მიერითგან არღარავინ იკადრა გმობად ჯუარისა და აღთქმით ეტყოდა ერი იგი მეფესა ვახტანგს: "უკეთუ შემეწიოს ჩუენ ჯუარი, არღარა იყოს ჩუენდა სხუა ღმერთი გარნა ჯუარცმული" [1: 174]. ამით ვახტანგმა ღიად დააფიქსირა, რომ აღარ გახლდათ ირანის სამეფო კარის სამსახურში.

ჩემი ვარაუდით, ვახტანგის ამ ქმედებებს ირანის სამეფო კარზე განიხილავდნენ, როგორც სეპარატისტულ ღონისძიებებს. (სეპარატისტული – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განკერძოებულს, განცალკევებულს, ხოლო სეპარატული ზავი გულისხმობს ომის დროს კოალიციაში მყოფ სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგესთან მიღწეულ შეთანხმებას თავისი მოკავშირეს დასტურის გარეშე).

3. ბიზანტიელთა მარცხი

ბიზანტიელებმა, პალეკარპოს ლოღათელის ხელმძღვანელობით, დაამარცხეს ირანელები და შემდგომ იერიში მიიტანეს განცალკევებით მდგომ მეფე ვახტანგის დროშის ქვეშ გაერთიანებულ დაჯგუფებაზე. ამ შეტევას გაუკვირვებია მეფე ვახტანგი, რადგან ბიზანტიელთა იერიში ქართველთა ჯარის წინააღმდეგ წინასწარი მოლაპარაკებების დროს გათვალისწინებული არ იყო. მაგრამ მეფეს მალე დაუძლევია გაოცება და "მაშინ თქუა ვახტანგ: "არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმან მოსცის ძალი. ..., რამეთუ ესეცა (ბიზანტიელები. ვ.ღ.) მაყუედრებელად და შეურაცხებით მოუჴდა ჯუარსა შენსა; რაჟამს იხილა ჯუარი აღმართებულად ძალად ჩუენდა, არა ილტვოდა მისგან" [1: 174-175]. და ქართველებმა სწრაფად განაწყეს საბრძოლველად ჯარი "აღმოიჴადა ჴრმალი (ვახტანგ მეფემ. ვ.ღ.) და შეამთხჳა ჯუარსა,

და განვიდა... და მოეტევა პალეკარპოს... და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა... მიეტევა პირისპირ, (მეფე ვახტანგი. ვ.ღ.) და სცა ჴმალი ჩაბალახსა ზედა და განაპო თავი მისი ვიდრე ბეჭთამდე... და მიეტევნეს სპანი ვახტანგისნი სპათა ბერძენთასა, და აოტნეს იგინი" [1: 175].

ქართველთა მიერ ბიზანტიელებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ვახტანგმა წერილი გაუგზავნა კეისარს: "სიბრძნე ღმრთისა, მიუწდომელ არს, და სიბრძნესა კაცთასა ნებასა სძლევს ნება ღმრთისა. მე უწყი, რამეთუ არა არს ნება შენი საქმესა ამას, რომელი ესე იქმნა პალეკარპოსისაგან, არც თუ იყო ნება ჩემი, რომელი – ესე ქმნა დედის ძმამან ჩემმან, და ორნივე ესე ძჳრის-მოქმედნი ძჳრმანვე მოინადირა... აწ მწუხარება ესე დედის ძმისა ჩემისა, დისწულისა თქუენისა მიერ ნუგეშის-ვეც, რაჟამს ვიძიე შური მკვლელთა მისთა, ხოლო თქუენ ნუგეშინის-გეცით ერისა ამისთჳს, რომელ იჴსნა ღმერთმან შჳდას ოთხმოცი ათასი. უკეთუ ბრძანებდე მიმთხუევად ჩემდა, გამოისწრაფე; და უკეთუ არა მოციქულითა განაგე საქმე ჩუენი. რამეთუ დამძიმდა დგომა ჩუენი ქუეყანასა ამისთჳს მოოჴრებულისა" [1: 176-177]. წერილის დასაწყისში (შესავალში) იგრძნობა ვახტანგ მეფის ღრმა რწმენა ღმრთისადმი. ძირითად ტექსტში კი, მეფე დიპლომატიურად მიანიშნებს კეისარს, რომ პალეკარპოსის ბრძოლები, ვარაზ-ბაკურისა და ვახტანგის წინააღმდეგ ხელდასხმული იყო ბიზანტიის სამეფო კარის მიერ და რომ არ არსებულიყო სამეფო კარის უმაღლესი პოლიტიკური ნება, პალეკარპოსი ვახტანგ მეფის წინააღმდეგ დამოუკიდებლად ვერ გაილაშქრებდა. როგორც ჩანს, ბიზანტიის სამეფო კარზე ვარაუდობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ვახტანგ მეფის დახმარებით შეძლეს ირანის სამხედრო დაჯგუფების გაყოფა და ვარაზ-ბაკურის დაქვემდებარებაში მყოფი დიდი სამხედრო შენაერთის განადგურება, ადვილად მოახერხებდნენ ვახტანგ მეფის შედარებით მცირე სამხედრო ნაწილის განადგურებასაც, რადგან "სპანი სპარსთანი სომხითისა და ქართლის სპათა უმრავლეს არიან" [1: 169]. ეს კი, ვახტანგ მეფის დამარცხება, ბიზანტიას გაათავისუფლებდა ადრე აღებული ვალდებულებისაგან (ამის შესახებ ქვემოთ) – გადაეცა ვახტანგ მეფისთვის დაპირებული ტერიტორიები. ვახტანგმა შეასრულა ყოველივე, რაც აღუთქვა ბიზანტიის კეისარს, მან აღასრულა ღვთის ნება. "სიბრძნე ღმრთისა მიუწდომელ არს, და სიბრძნესა კაცთასა ნებასა სძლევს ნება ღმრთისა" [1: 176]. ბიზანტიის ჯარების სარდალმა პალეკარპოსმა ვერ შეძლო ღვთის ნების უგულებელყოფა და ვახტანგ მეფესთან ორთაბრძოლაში დამარცხდა. ბიზანტიის ჯარის დიდი ნაწილი დაიღუპა, ხოლო გარკვეული ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს ქართველებმა. ვახტანგმა ბოლო დროს დატყვევებული ბერძნები წინა ბრძოლებში დატყვევებულებთან ერთად "იყო ერთრიცხვად ყოველი მამაკაცი და დედაკაცი შჳდას ოთხმოცი ათასი" [1: 176], ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაუგზავნა ბიზანტიის კეისარს და მათთან ერთად წერილიც აახლა.

4. ქართლის მეფისა და ბიზანტიის კეისრის შეხვედრა

ბიზანტიელი მხედართმთავრის, პალეკარპოსის დამარცხების შემდეგ, როგორც აღვნიშნე, ვახტანგ მეფემ ბრძოლების დროს დატყვევებული ბიზანტიელი მეომრები გაუგზავნა კეისარს, აგრეთვე წერილიც აახლა იმპერატორს.

წერილის მიღებისთანავე ბიზანტიის კეისარი დაუყოვნებლივ გაემართა დათქმული ადგილისკენ ვახტანგ მეფესთან შესახვედრად. შეხვედრა შედგა. "ყვეს ურთიერთ აღთქმა და ფიცი, და განაგეს საქმე წინდობისა. და უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღუთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჭევნი რომელნი მოსდგამანან ღადოთა.

და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღუს პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: "ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგეცა და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა". და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა" [1:177].

თუკი ჩვენ, საქართველო-ბიზანტიის უმაღლესი დონის ორივე შეხვედრას ერთ სივრცეში მოვიაზრებთ, დავინახავთ, რომ პირველი შეხვედრის დროს ბიზანტიის იმპერატორი ვახტანგ მეფეს ტერიტორიების გადაცემას შეჰპირდა: "მოგცე ციხე თუხარისი და საზღვარნი ქართლისანი" [1: 171].

მეორე შეხვედრისას კი: "და უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღუთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჭევნი რომელნი მოსდგამანან ღადოთა" [1: 177]. ე.ი. კეისარმა ვახტანგს იმაზე მეტი მიწები უბოძა, ვიდრე შეჰპირდა. ეს კი იმის შესახებ მეტყველებს, რომ კეისარი იძულებული გახდა მიეღო ამგვარი გადაწყვეტილება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდო, რომ უმაღლესი დონის პირველი შეხვედრისას, გაცხადებულის გარდა საიდუმლო შეთანხმების სხვა პუნქტებიც არსებობდა, რომელთა შესრულება ბიზანტიას გარკვეულ დრომდე (სანამ სპარსელები ამარცხებდნენ ბიზანტიელებს) არ უჭირდა, ხოლო, როდესაც სპარსეთის ჯარი ვახტანგ მეფის დახმარებით გაიყო და დამარცხდა, ბიზანტიის სამეფო კარზე უმჯობესად ჩათვალეს გაენადგურებინათ ვახტანგ მეფის დაჯგუფება და არ შეესრულებინათ აღებული ვალდებულებები. სწორედ ამიტომ მიიტანა იერიში ბიზანტიელთა მხედართმთავარმა პალეკარპოსმა ვახტანგის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ჯარზე, რამაც პირველ წუთებში ქართველთა დაბნეულობა გამოიწვია. მაგრამ ქართველები სწრაფად გამოერკვნენ, მათ საპასუხო იერიშს

კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძენთა დამარცხება და პალეკარპოსის სიკვდილი მოჰყვა.

ბიზანტიის იმპერატორის მიერ ვახტანგ მეფისათვის "უკუმოცემული" ტერიტორიების მდებარეობა კარგად აქვს წარმოჩენილი აკად. დ. მუსხელიშვილს – "ვახტანგს დაუბრუნებია არა მხოლოდ კლარჯეთი, არამედ აჭარა, სამცხე და არტაან-ჯავახეთის მიტაცებული ნაწილიც და ამდენად... ასი წლის წინ ბერძენთა ექსპანსიის შედეგად წაღებული ტერიტორია "დასავლეთი ქართლისა" კვლავ შემოუერთებია ქართლის სამეფოსათვის" [4: 163].

ბიზანტიის იმპერატორისა და ქართლის მეფის შეხვედრები, როგორც მოგახსენეთ, საიდუმლო ვითარებაში იმართებოდა, რასაც არაერთგზის აღნიშნავს ჯუანშერი: "ჰქონდა სიტყუა საიდუმლო" ... "საიდუმლოდ მოართუეს მას ჯუარი" [1: 171]. როგორც ჩანს, ბიზანტიის კეისარი არ სჯერდებოდა გასაიდუმლოებულ შეხვედრებს. ის საკუთარ თავს სხვა ალიბითაც იზღვევდა "გარდაცვალებამდე (ე.ი. 457 წ 26 იანვრამდე) ხუთი თვე იმპერატორი (ბიზანტიის. ვ.ღ.) მწოლიარე ავადმყოფი ყოფილა" [3: 142. შენიშვნა 64]. აქედან გამომდინარე, მკვლევარები გამორიცხავენ კეისრის შეხვედრებს ვახტანგთან, რასაც მე ვერ დავეთანხმები. ცნობილია, რომ მოწინააღმდეგეთა თვალის ასახვევად მსგავსი და უფრო დახვეწილი სცენების გათამაშება პოლიტიკოსებისთვის უჩვეულო არ არის. ამის კარგი მაგალითი თავად ჯუანშერსაც აქვს მოყვანილი. ჯუანშერი გვიამბობს, თუ როგორ ოსტატურად მოატყუა ვახტანგმა დედის ძმა და როგორ აიძულა, დათანხმებოდა ვარაზ-ბაკური ირანის შეიარაღებული ძალების ორ ნაწილად გაყოფას, ე.ი., ჯარის დასუსტებას, რათა ბერძნებს სპარსელებთან ბრძოლა გაადვილებოდათ. ჯუანშერის მონათხრობს ეთანხმება სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი, რომლის მიხედვითაც მეფე ვახტანგი ჰბაძავდა ალექსანდრე მაკედონელს, შეჰყავდა მოწინააღმდეგე შეცდომაში და ამ შეცდომის წყალობით აღწევდა გამარჯვებას – "ალექსანდრე მაკედონელის ეშმაკობის მსგავსად" [21: 250], ანუ ამგვარი ტაქტიკა – ტყუილი და სიცრუე საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, პოლიტიკოსებისთვის არ იყო უცხო. "პეროზმა ჰეპტალიტებთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით მათ მეფეს ცოლად შესთავაზა თავისი ასული, მაგრამ გაუგზავნა სხვა ქალიშვილი, რომელმაც სინამდვილე გაამჟღავნა. განრისხებულმა ჰეფტალიტების მეფემ პეროზს სთხოვა სარდლების გაგზავნა თითქოს ჯარის ინსტრუქტაჟისათვის. როდესაც სარდლები მივიდნენ ჰეფტალიტებთან, მეფემ მათი ნაწილი დაახოცინა, ნაწილი დაასახიჩრა და გაუგზავნა პეროზს იმის შესატყობინებლად, რომ ეს მისი შურისძიებაა. ომი განახლდა" [6: 33]. იგივე ლაზარ ფარპეცის ჩვენებით, ვახტანგმა ვერაფრით მიიღო ჰუნთაგან შეპირებული ჯარი, მიუხედავად ამისა, მეფე გამუდმებით არწმუნებდა სომხებს, რომ ჰუნთა ჯარი სულ მალე გამოჩნდებოდა, ე.ი. ატყუებდა.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს თემურლენგის ცხოვრებიდან (კ. ტაბატაძის წიგნი "ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე"): ესპანეთის ელჩის რუი გონსალეს დე "კლავიხოს გადმოცემით თემური ისე დაბერებული და დაჩაჩანაკებული იყო, რომ უჭირდა თვალის ქუთუთოების აწევაც კი. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კლავიხომ მეორედ რომ ინახულა, თემური კიდევ უფრო მოტეხილი იყო და თვალის ჩინიც დაკარგული ჰქონდა. მოსალოდნელი საბოლოო შეხვედრა კი თემურთან აღარ შედგა, რადგან 1404 წ. 21 ნოემბერს კლავიხო, სხვა უცხოელ ელჩებთან ერთად სიკვდილის მუქარით ისე მოულოდნელად დაითხოვეს სამარყანდიდან, რომ თავისი ხელმწიფის გამოტანებულ ეპისტოლეზე ოფიციალური პასუხიც კი ვერ მიიღო.

ჯერ კიდევ სამარყანდში ყოფნისას კლავიხომ საიდუმლოდ შეიტყო, რომ თემურს ენაც წართმეოდა და ჩავარდნილი იყო ლოგინად. სამარყანდიდან ასე მოულოდნელი დათხოვნა კი კლავიხომ იმით ახსნა, რომ თემურის კარისკაცებს არ სურდათ უცხოელი ელჩები გამხდარიყვნენ თემურის სიკვდილის მოწმე, რათა მათ უკან დაბრუნების დროს ეს ამბავი არ შეეტყობინებინათ დაპყრობილი ხალხებისთვის, რომლებიც შეიძლება აჯანყებულიყვნენ.

სინამდვილეში კი ეს თემურის მორიგი სამხედრო ხრიკი იყო.

თემურმა კლავიხოსა და სხვა უცხოელ ელჩებს განგებ მოაჩვენა თავი დაჩაჩანაკებულ ბებრად ... ამ დროს თემური, საღ-სალამათი, სალახანა, ჩინეთისაკენ მიუძღოდა მრავალრიცხოვან ჯარს" [8: 212-214].

სპარსული პოლიტიკური ორიენტაციის უარყოფისა და ბერძნულ-ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის მიღების შემდეგ, ვახტანგ მეფის მიერ ბიზანტიელთათვის გაწეული აქტიური სამხედრო დახმარების შედეგად, ბიზანტიამ სპარსეთის დამარცხება მოახერხა და ვახტანგს უბოძა როგორც აღმოსავლეთ ისე, დასავლეთ ქართლის მეფობა ტერიტორიებითურთ.

მკვლევარ ვახტანგ გოილაძეს ზემოაღწერილი მოვლენები დათარიღებული აქვს 456 წლით [3: 144].

ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, ანუ მოტყუება ერთგვარი საომარი ტაქტიკა გახლდათ, როგორც ადრე შუა საუკუნეებში ისე, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში. შოთა რუსთაველი "ვეფხისტყაოსანში," ქაჯეთის ციხის აღების წინ გამართულ თათბირზე ტარიელის, ფრიდონისა და ავთანდილის (ქაჯთა ციხის აღების) სრულიად განსხვავებულ გეგმებს წარმოაჩენს. მაგალითად, ავთანდილი აპირებდა ვაჭრის ტანსაცმელგადაცმული შესულიყო ციხეში. იარაღი კი ჯორით შეეტანა და შიგნიდან გაეღო ციხის კარი და ა.შ.

რა ვითარება იყო ამ 456 წლისთვის დასავლეთ საქართველოში? ადასტურებს თუ არა ჯუანშერის მიერ გადმოცემულ რეალიებს სხვა წყაროები?

V საუკუნის ბიზანტიის სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი პრისკე პანიონელი მოგვითხრობს: (ფრაგ. 25) "მის შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისთვის მზადებას" [43: 254]. ამ ხანას ბატონი ნოდარ ლომოური 450-458 წლებით ათარიღებს [7: 167]. ჩემი აზრით, ეს პერიოდი კიდევ უფრო უნდა დაკონკრეტდეს: კერძოდ, ბიზანტია-ირანის ომი მიმდინარეობდა 453-456 წლებში; ირანს უნდა გადაებირებინა დასავლეთ საქართველოს მეფე გუბაზი ომის დაწყებამდე ან ომის დაწყების დროს, დაახლოებით 453 წლისთვის. ზოგადად, მოწინააღმდეგის გადაბირებაც ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. იგივე პრისკე პანიონელის მიხედვით, ბიზანტიის სამეფო კარის ვეზირები მსჯელობდნენ, "წინასწარ პართელების მეფე მიემხროთ" [43: 254].

შემდგომ (ფრაგ. 34) პრისკე პანიონელი გვიამბობს – "კოსტანტინეპოლში ჩამოვიდნენ გობაზი და დიონისე. გობაზს სპარსული ტანსაცმელი ეცვა და მიდიური წესის და მიხედვით მეშუბენი ახლდნენ" [43: 259]. კოსტანტინეპოლში ოფიციალურ მიღებაზე ჩასვლა სპარსული ტანსაცმლით, გუბაზის სპარსულ ორიენტაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს. როგორც ჩანს, სპარსეთ-ბიზანტიის ომის წინ სპარსელებმა იმისთვის, რომ ბიზანტიის შეიარაღებული ძალები დაექსაქსათ, გუბაზ მეფე გადაიბირეს, რითაც მიაღწიეს კიდეც დასახულ მიზანს. შემდგომ ბიზანტიის სამეფო კარმა გუბაზს მეფობა ჩამოართვა და ვახტანგ მეფეს უბოძა. სავარაუდოა, რომ ბიზანტიელთა გადაწყვეტილებას მეფობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით, გუბაზი მშვიდად არ შეხვდებოდა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გამეტებით იბრძოლებდა ბიზანტიის სამეფო კარის მიერ გამოგზავნილი სადამსჯელო ექსპედიციების წინააღმდეგ. მოგვიანებით გუბაზმა მოახერხა ბიზანტიელებთან საერთო ენის გამონახვა.

ბიზანტიელთა ამგვარი პოლიტიკა ახლად დანერგილი არ იყო, რაც კარგად ჩანს ბერძენი მწერლის ამიანე მარცელიანეს მონათხრობში:

"წიგნი XXI

რომის მთავრობისაგან იბერიის მეფის მერაბინისა და არმენიის მეფის არშაკის მოქრთამვა.

"6.7. ვინაიდან ეშინოდათ, რომ კარგი ამინდის დადგომისთანავე უფრო ძლიერ თავდასხმას (მოაწყობდა) სპარსეთის მეფე (შაბურ II – 361 წ.), რომელიც გაჭირვებით იქნა უკან დახევინებული ზამთრის დროის სიძნელეების გამო, იგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასთვის მოეწოდებინათ და ჩაეგონებინათ, ჩვენთვის თანა ეგრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა ღალატს ცდილიყვნენ. 8. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი (სომხეთის მეფე არშაკ II – 345-367), არმენიისა და იბერიის მეფეები, ბრწყინვალედ შემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინ-

დელ საეჭვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს" [43: 101-102].

ჯუანშერის მიერ აღწერილ ვახტანგ მეფის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლას – "მიიქცია ვახტანგ ბერძენთა კერძ" [1: 178] ადასტურებს "მოქცევაჲ ქართლისაჲ", X ს. შატბერდის კრებული – "მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა, და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ" [28: 325].

აღწერილი მოვლენებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ბიზანტიელთათვის გაწეული ღვაწლისათვის ვახტანგ მეფე უაღრესად დაუფასებიათ ბიზანტიის სამეფო კარზე. ბიზანტიელთა მადლიერება ჩანს შემდგომ განვითარებულ მოვლენებშიც, კერძოდ, 460 წლისთვის ვახტანგთან ჩასულმა ბიზანტიის მეფის ნაცვალმა, ლეონმა განაცხადა – "დიდ არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა, უფროს მეფეთა მათ, რომელნი სხენან საყდართა მათთა, რამეთუ შენ დასცევ ქალაქი პონტოსა შემუსვრისაგან, და შენ მიანიჭე შჯდას ოთხმოცი ათასი სული"... [1: 184].

ფაქტობრივად, ვახტანგის "მოქცევამ" ბიზანტია გადაარჩინა ირანთან აშკარა მარცხს.

5. დაბრუნება

კეისართან შეხვედრის შემდეგ, ვახტანგ მეფე სამშობლოში დაბრუნდა. "წარვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა და სპანი მისნი განუტევნა გზასა სომხითისასა" [1: 177]. როგორც ტექსტიდან ჩანს, ვახტანგმა სამშობლოსკენ ლაშქრის ძირითადი ნაწილი სომხითის გზით გაუშვა. თვითონ კი, ჯარის მეორე ნაწილთან ერთად კლარჯეთის გავლით დაბრუნდა.

ჯარის ორად გაყოფა, ვფიქრობ, ვახტანგ მეფის ტაქტიკური სვლა გახლდათ, რომლის საშუალებითაც თავიდან აიცილა ირანის ჯართან უთანასწორო შეტაკება. სავარაუდოდ, ირანის ხელისუფლება, ამ პერიოდში ფიქრობდა, რომ ქართლის ჯარი კი არ იყო ირანის მოწინააღმდეგე, არამედ მხოლოდ მეფე ვახტანგი. ამავე დროს "კლარჯეთის გზა" მრავალრიცხოვანი ჯარისთვის ნაკლებ მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. "კლარჯეთის გზით" წამოსულმა ვახტანგმა, როგორც ჩანს, არანაირი მიზეზი არ მისცა ირანელებს საამისოდ, რომ უშუალოდ მეფისთვის შეეტიათ.

არტანუჯის ციხის ფრაგმენტები

როგორც კი მეფე ვახტანგმა ბიზანტიის კეისრის მიერ ბოძებულ ტერიტორიაზე შედგა ფეხი – "ვითარ მოიწია თუხარისად, მიხედნა და შეუყუარდა ციხე, და თქუა: "ჭეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე. და ვითარცა წარმოვიდა, იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი. და მოუწოდა არტავაზს, ძუძუმტესა მისსა და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა: და უბრძანა, რათა გამონახოს ჴევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი. და რქუა არტავაზს: "უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს" [1: 177-178] (ხაზგასმა ჩემია, ვ.ღ.).

ამ სიტყვებიდან ვიგებთ, რომ ირანს დაწყებული ჰქონდა რიგი პოლიტიკური ქმედებების განხორციელება ვახტანგის წინააღმდეგ და რომ თავად ვახტანგ მეფემ შესანიშნავად იცოდა ეს. "უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა" და ჩვენ ვერ შევძლოთ მათი მოგერიება ქართლის ტერიტორიაზე, მაშინ "საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს" [1: 177-178] – თქვა ბერძნულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე მოქცეულმა ვახტანგმა.

მეფის დავალება არტავაზმა სწორად გაიგო და სასწრაფოდ დაიწყო თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა – "არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა,... განაახლა ციხე ახიზისა, და ქმნა იგი ქუაბად" [1: 178]. ციხეთა მშენებლობის პარალელურად, არტავაზმა ააშენა "მონასტერი რომელი არს ოპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა" [1: 178]. ვფიქრობთ, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ამ დროიდან ფართოდ უნდა გაშლილიყო ქართლში, ანუ იქ, სადაც ვახტანგის ძალაუფლება ვრცელდებოდა.

ბიზანტიის მიერ ვახტანგისათვის მეფობისა და ტერიტორიების გადაცემასთან დაკავშირებით, ჯუანშერისადმი კრიტიკულად განწყობილი ბატონი ნ. ლომოური წერს: "შედარებით უფრო რეალურად გამოიყურება ვახტანგ გორგასლის დროს კლარჯეთის უკან დაბრუნება ქართლისათვის ... მემატიანეს იმდენად ნიშანდობლივი ცნობები აქვს ვახტანგისა და მისი ერისთავის არტავაზის კლარჯეთში მოღვაწეობის შესახებ, რომ ძნელია აქ ყველაფერი არარეალურად მივიჩნიოთ. აქაა არტანუჯის ციხის აშენება, ოპიზის მონასტრის დაბა მერის, შინდობისა და ახიზის ეკლესიათა აგება, ახიზის ციხის განახლება და ბოლოს კლარჯეთში ახიზის საეპისკოპოსოს დაარსება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგ გორგასლის დროს კლარჯეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა" [20: 48].

ახიზის ციხე

თავი IV

1. თავდაცვითი ღონისძიებები

მცხეთაში დაბრუნებისთანავე ვახტანგმა დაიწყო ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ხელისუფლების განსამტკიცებლად. "მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსვლასა: ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, და ჰკაზმიდა მჴედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა" [1: 178]. ჯუანშერის მიხედვით ეს პერიოდი განსაზღვრულია სამი წლით. "მეფემან სპარსთამან ვითარცა ცნა, ვითარმედ მიიქცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა. და დაჯდა მეფედ ძე მისი, და ვიდრე მოიწიფებოდა იგი, წარვიდა ამას შინა წელიწადი სამი" [1: 178]. ბატონი ვახტანგ გოილაძე, ჯუანშერის მიერ დაფიქსირებულ სამ წელს ითვლის 457 წლიდან (შაჰ იეზდიგერდ II-ის გარდაცვალებიდან) – 460 წლამდე [3: 150].

როგორც უკვე აღვნიშნე, ვახტანგ მეფემ იცოდა, რომ ირანი აუცილებლად თავს დაესხმებოდა ქართლს. ირანელთა სავარაუდო მარშრუტიც ცნობილი იყო. ამიტომ ვახტანგმა დაიწყო თავდაცვითი ნაგებობების – ციხესიმაგრეთა შეკეთება, ციხეთა სათანადოდ აღჭურვა და რეზერვუარების სურსათ-სანოვაგით შევსება. რადგან ამ პერიოდში დედაქალაქი იყო მცხეთა და ირანელთა შემოსევა ივარაუდებოდა ძირითადად სამხრეთიდან, ამიტომ ყველაზე მთავარი თბილის-ქალაქის, როგორც მცხეთის ერთერთი ფორპოსტთაგანის, ციხესიმაგრეთა შეკეთება გახლდათ. მემატიანე არაფერს გვიამბობს ქვემო ქართლში არსებულ თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობასა და ციხესიმაგრეთა გასამაგრებელი სამუშაოების მიმდინარეობის თაობაზე, მაშინ როდესაც თბილისში არსებულ თავდაცვით ნაგებობათა გამაგრების შესახებ ამბობს – "ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა" [1: 178] და "მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი" [1: 179]. ამიტომ, ვვარაუდობთ, რომ ამ დროისათვის (460 წლამდე) ქვემო ქართლის გარკვეული ტერიტორიის მფლობელი პიტიახში ვარსქენი უკვე დანიშნული იყო რანის ერისთავად. რადგან ქვემო ქართლში ვახტანგის ძალაუფლება აღარ ვრცელდებოდა, მტერს სამხრეთ მხარის მორღვეული კარიბჭიდან წინააღმდეგობის გარეშე შეეძლო შემოსულიყო თბილისში და შემდგომ მცხეთაშიც.

ქვემო ქართლის საპიტიახშოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში [22: 55-91. 23: 16-41. 24: 50-71] აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენთვის უფრო მისაღებია ნ. ჯანაშიას შეხედულება. კერძოდ: "უძველეს პერიოდში ქართლისაგან სომხეთის მიერ მიტაცებული გოგარენე წარმოადგენდა ქართლის ყველაზე უფრო სამხრეთ თემს, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივად მიაჩნიათ" [22: 90]. ნ. ჯანაშია ვარაუდობს, რომ "გოგარენე ტაშირის სამხრეთით მდებარე კუთხეა... ახ. წ. II-III საუკუნეებში, ახერხებს სომხეთი კიდევ უფრო ჩრდილოე-

თით წაწევას. ახლად მიერთებული მიწები, ბუნებრივია, გუგარქის საპიტიახშოში შედიოდნენ. IV ს. 60-იან წლებში გუგარქის პიტიახში ახერხებს თავი დააღწიოს სომხეთის სამეფოს და თავისი სამფლობელოთი ქართლში შედის. ისპობა გუგარქის საპიტიახშო, მისი ნაწილი ცალკე სამთავროების სახით რჩება სომხეთში, ხოლო ჩრდილო ნაწილი კი ქვემო ქართლის ზოგიერთ თემთან ერთად (მაგ. ბოლნისი, ცურტავი და მათი მიდამოები. ვ.დ.) ქმნის ახალ პოლიტიკურ ერთეულს – ქვემო ქართლის საპიტიახშოს" [22: 90]. ქვემო ქართლი, თავის მხრივ, მოიცავდა სამ მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს: საპიტიახშოს, სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოებს, რომელნიც, ბუნებრივია, წვრილ სახევისთავოებად უნდა ყოფილიყო დაყოფილი.

ჩემი აზრით, რანის ერისთავად ვარსქენის დანიშვნასა და ვახტანგის "მოქცევას" ტერიტორიების გადანაწილება უნდა მოჰყოლოდა შედეგად. პოლიტიკური ვითარების ცვლილებიდან გამომდინარე, სამშვილდის ერისთავი – ადარნასე და ხუნანის ერისთავი – ნერსარან, მოსახლეობასთან ერთად, ქართლის ცენტრალური ტერიტორიებისაკენ უნდა გადმოადგილებულიყვნენ. ანუ ისინი გამოდევნილნი იქნებოდნენ მშობლიური ტერიტორიებიდან და მათთვის გამოიყოფოდა ახალი მიწები, რომლებზეც დასახლდებოდა სამშვილდისა და ხუნანის მოსახლეობა ერისთავებთან ერთად. ქვემო ქართლიდან ვახტანგ მეფის ერთგული მოსახლეობის იძულებით გადაადგილების შემდგომ, ქვემო ქართლში ვახტანგის ხელისუფლება აღარ ვრცელდებოდა და მეფე ვახტანგმა თბილისის ციხესიმაგრეები გაამაგრა. ვახტანგის ძალაუფლებას, როგორც ჩანს, ჰერეთის ნაწილი ემორჩილებოდა.

სავარაუდოა, რომ ვახტანგის მიერ ბიზანტიურ პოლიტიკური ორიენტაციის კურსზე გადასვლის შემდგომ, დამარცხებულმა ირანელებმა ვახტანგს მეფობა ჩამოართვეს და ბიზანტიელთა მიერ მოკლული რანის ერისთავი ვარაზ-ბაკური ქვემო ქართლის ამბიციური ვარსქენ პიტიახშით ჩაანაცვლეს.

ქვემო ქართლის პიტიახშის – ვარსქენის რანის ერისთავად დანიშვნას ("სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა" [1: 216; 9: 149]) ქართლის სამეფოსთვის ქვემო ქართლის ტერიტორიის ჩამოშორება მოჰყვა. ეს ქმედება ირანის მიერ გამიზნული იყო ვახტანგ მეფის ხელისუფლებაში შიდა განხეთქილების გამოსაწვევად. ამით ირანის სამეფო კარმა ქართლის სამეფოს მოქმედი ხელისუფლება ორ მტრულ ბანაკად გათიშა და ვახტანგ მეფეს თავისივე მოხელე დაუპირისპირა. ფაქტობრივად, ირანის სამეფო კარმა ისე იმოქმედა, როგორც ბიზანტიამ. კერძოდ, ბიზანტიამ შეძლო ის, რომ ირანს დაქვემდებარებულმა ქართლის მეფე ვახტანგმა ირანს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, ბიზანტიას დაექვემდებარა და დაუპირისპირდა ირანის ხელისუფლებას. ახლა ირანმა მოახერხა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მყოფი ქვემო ქართლის პიტიახშის ვარსქენის გათავისუფლება ქართლის სამეფოს დაქვემდებარებისგან, ირანის დაქვემდებარებაში მისი გადაყვანა ტე-

რიტორიითურთ და ქართლის სამეფოს ხელისუფლებისათვის დაპირისპირება. ეს პროცესი შემდგომ კიდევ უფრო გართულდა, მაშინ, როდესაც ქართული ქრისტიანული ეკლესიის მსახურთაგან გამხნევებულმა დედოფალმა შუშანიკმა წინააღმდეგობა გაუწია ვარსქენს. დედოფალმა არ ისურვა მხარში ამოსდგომოდა მეუღლეს და ცდილობდა ვარსქენისთვის ქრისტიანული ცნობიერება დაებრუნებინა. ჩემი აზრით, ბიზანტიის ხელისუფლება, ქრისტიანული რელიგიის მსახურთა მეშვეობით, ცდილობდა განხეთქილება შეეტანა ვარსქენის ოჯახში და შუშანიკის შეუპოვრობით, შუშანიკის საშუალებით, ეიძულებინა ვარსქენი დაბრუნებოდა უარყოფილ რწმენას.

ციხესიმაგრეთა შეკეთების, გასამაგრებელი სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად მეფე ვახტანგი "ჰკაზმიდა მჴედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა" [1: 178]. ამ პერიოდში ქართლში მკვეთრად გაუმჯობესდა რკინის დამუშავების ტექნიკა [10: 9].

სარკინეთში (მცხეთა) [12: 3] ადრეც ამზადებდნენ ლითონის იარაღსა და საჭურველს. ახლა კი ირანელებთან მოსალოდნელი ბრძოლების წინა პერიოდში, განსაკუთრებული ტემპით ამუშავებდნენ ხელოსნებს სარკინეთსა თუ სხვა სახელოსნოებში. ქართლში დამზადებული იარაღი და საჭურველი ბევრად სჯობდა სხვაგან დამზადებულს, როგორც ჩანს, ლითონის წრთობის ტექნოლოგია აქ უფრო დახვეწილი იყო. ჯერ კიდევ ჩრდილოეთ კავკასიაში საპასუხო ლაშქრობის დროს მეფე ვახტანგმა მოწინააღმდეგეს "პირველსავე შეკრებასა სცნა ვახტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა; და ვერა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და განვლო ზურგით და მოკლა" [1: 153]. მხედართან ერთად ხდებოდა ცხენის შეჭურვაც – "აღჯდა (ვახტანგი. ვ.ღ.) ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახჳლი" [1: 154]. ამგვარად აღჭურვილი მხოლოდ მეფე ვახტანგი რომ არ გახლდათ, კარგად ისახება შემდგომ მონათხრობში: "ხოლო სპანი (ქართველთა. ვ.ღ.) იგი წარემართნეს წინა კერძო და მათ უკან ქუეითნი" [1: 155]. შეიარაღების თვალსაზრისითაც სპის აღჭურვილობა სხვადასხვაგვარი იყო. "ასე რომ ლაშქარი წარმოგვიდგება: ცხენთოროსანი, ჯაჭვჩაბალახოსანი, მხედრები.

ქვეითნი – ("ჭურვილნი"),

მკვირცხლნი (მსუბუქად შეიარაღებულნი),

სოციალურად: წარჩინებულნი, სეფეწულნი (ცხენთოროსანნი),

ერი (მხედრები),

წურილი ერი,

გლეხები [18: 30].

საბრძოლო იარაღის გამოჭედვა, გაუმჯობესებული ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ხდებოდა. "ჰკაზმიდა მჴედართა და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა". ანუ, მიმდინარეობდა ახალი იარაღის დამზადება და მოლაშქრეთა განუწყვეტელი

წვრთნა-ვარჯიში. საბრძოლო გადაიარაღებამ და სადღეღამისო წვრთნებმა შემდგომში შესაბამისი შედეგი გამოიღო (ამის შესახებ ქვემოთ). საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა, შეკეთების, საბრძოლო ტექნიკის, გადაიარაღებისა და ინტენსიური საბრძოლო წვრთნების პარალელურად ვახტანგმა ბრძოლა გამოუცხადა ირანული პოლიტიკური ორიენტაციის მიმდევარ მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც არ სურდათ პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა და იდეოლოგიურად კვლავ ირანის სახელმწიფოს ემსახურებოდნენ. ამ ირანის მეხუთე კოლონას, ქართლის სამეფო კარმა მძლავრად შეუტია – "მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლის მსახურთა, და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა" [1: 178].

გავიხსენოთ: ეს ის ბინქარანია, რომელიც 438 წლისთვის ქართლში გამოგზავნა რანის ერისთავმა ბარზაბოდმა ირანის სასარგებლო იდეოლოგიის გასატარებლად. "მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან" [16: 145]. ანუ, ეს ის ეპისკოპოსია, რომელიც ქართლის სამეფო კარზე დიდი უფლებით სარგებლობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის დასამტკიცებლად გამართულ სახელმწიფო საბჭოს თათბირზე მეფე სამეფო სავარძელზე დაჯდა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსი – მიქაელი და ბინქარან, შედარებით მცირე სავარძლებზე დასხდნენ. დანარჩენი ერისთავები კიდევ უფრო მცირე სავარძლებზე. ხოლო ჯარის ხელმძღვანელობა ათასისა და ასის თავები და თათბირის ყველა სხვა მონაწილე ფეხზე მდგომნი ისმენდნენ მეფის სიტყვას. ამდენად ჯუანშერის მიხედვით ეპისკოპოსი ბინქარანი და ეპისკოპოსი მიქაელი ვახტანგის გამეფებიდან ათიოდე წლის შემდეგ სოციალური სტატუსით ერთ საფეხურზე იმყოფებოდნენ. იერარქიულად ეს ასე წარმოგვიდგება – მეფე, სპასპეტი, ეპისკოპოსები,... მეფემ პოლიტიკური ორიენტაციის ცვლის შემდეგ ბინქარანი დააპატიმრებინა "და მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა" [1: 178]. ამით ფაქტობრივად უაპელაციოდ აღკვეთა ირანის სასარგებლოდ მომუშავე იდეოლოგთა გამხრწნელი ზეგავლენა ქართლის მოსახლეობაზე. ამ ქმედებით აღმოიფხვრა მოსახლეობის დემორალიზაციის მცდელობა. ირანის სახელმწიფო სამსახურში მყოფთათვის ლეგიტიმურობის გაუქმებით, ვახტანგ მეფემ ქვეყანაში შექმნა ქართლისათვის სასიკეთო ჯანსაღი ატმოსფერო. თუმცა, ეს სულაც არ იქნებოდა ადვილი, რადგან დასჯილნი უკვე გარკვეულწილად ინტეგრირებულნი უნდა ყოფილიყვნენ ქართლის მოსახლეობასთან და მათი უბოდიშოთ სიკვდილით დასჯა ბევრ სირთულეს შეუქმნიდა სამეფო კარს.

ვახტანგ მეფემ უფრო მკვეთრი ანტიირანული, ირანელთა დამამცირებელი ღონისძიებებიც განახორციელა. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესო და ტევად ინფორმაციას მოიცავს ბიზანტიის იმპერატორისთვის ვახტანგ მეფის მიერ (როგორც ჩანს, 460

წლისთვის) გაგზავნილი წერილი. "სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა, და მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინქარან მივეც საპყრობილესა, სიკუდილისაგან გარდაიხვეწა. მან უკუე მოიყვანნა სპარსნი ქართლად... ბინქარან, ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, მოკუდა. აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯუარისანი, და მოიცალო შენ ყოველთა მტერთთა შენთაგან, ხოლო უკეთუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა გზასა შიშმატისასა" [1: 179]. ბიზანტიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ბინქარანს დაუღწევია თავი მეფის საპატიმროდან, გასულა ქართლის ფარგლებს გარეთ, შეუკრიბავს სპარსელთა გარკვეული ოდენობის სამხედრო ძალა, გაძლიერებულა და მეფე ვახტანგის წინააღმდეგ საბრძოლველად წამოსულა. წერილში მეფე დეტალურად აღწერს ქრისტიანული რწმენის დასაცავად და ცეცხლთაყვანისმცემელთა საწინააღმდეგოდ გატარებულ ღონისძიებებს, "სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა დამივსია ფსლითა, და მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა" [1: 179]. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცეცხლთაყვანისმცემელთა შორის ბევრი იქნებოდა ქართველი ეროვნებისა და რწმენის მიხედვით მათი დასჯა სამეფო ხელისუფლების მიერ – "მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა" [1: 179], ჩემი აზრით, სწორი ქმედება არ უნდა ყოფილიყო.

ქართლის საზღვართან ბინქარანი დაღუპულა, სავარაუდოა, ქართლის დამცველებთან ბრძოლაში. ვახტანგ მეფის მიერ გატარებულმა სამხედრო რეფორმამ უაღრესად სასიკეთო გავლენა მოახდინა ქართველთა შეიარაღებულ ძალებზე, რაც აისახა ქართველთა პატარ-პატარა, მაგრამ წარმატებულ ბრძოლებში. ამ ბრძოლებს ქართველთა გამარჯვებებსა და ზოგადად ქართული ჯარის სიძლიერეს ისე დაუთრგუნავს მეზობლები, რომ მათ ვერ გაბედეს მონაწილეობა მიეღოთ მომავალ ბრძოლაში, არ გაერთიანებულან სპარსთა ჯარში. მაშინ, როდესაც ირანის სამეფო კარს ამ მხრივ გარკვეული სამუშაოები ჰქონდა ჩატარებული და სწორედ ამ მეზობლებით ვარაუდობდა თავისი ჯარის შევსებას. "ჰგონებდა იგი (სპარსეთი. ვ.ღ.) განმრავლებასა სპათა მისთასა სომხითით და მეფეთაგან კავკასიანთასა, ხოლო მათ ვერ იკადრეს განრთვად მისა რამეთუ რომელთამე მათგანთა აქუნდა სასოება ჯუარცმულისა, ხოლო რომელნი იძლივნეს ეშმაკისაგან, მეფენი დარუბანდისანი გაერთნეს" [1: 179]. ამდენად, ირანის ჯარში მხოლოდ დარუბანდელები გაერთიანებულან.

ბიზანტიის კეისრისათვის გაგზავნილ წერილში, ასევე საინტერესოა ვახტანგის გაფრთხილება: "აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯუარისანი, და მოიცალო შენ ყოველთა მტერთა შენთაგან, ხოლო უკეთუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა გზასა შიმშატისასა" [1: 179]. სახელმწიფოთა შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთო-

ბის, დიპლომატიური ენის გათვალისწინებით, ვფიქრობ, მსგავსი (ჯარის გამოგზავნასთან დაკავშირებული) წერილები მეფე ვახტანგს ბიზანტიის კეისრის კარზე არაერთი გაუგზავნია და ისინი რეაგირების გარეშე რჩებოდა. ამიტომაც იგრძნობა ალბათ ამგვარი იმპერატიული ტონი: "აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი..., ხოლო უკეთუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა გზასა შიმშატისასა!" [1: 179]. მიუხედავად ასეთი ტონისა, ჯუანშერი გვაწვდის ბიზანტიის კეისრის ქმედების გასამართლებელ ცნობას: "ხოლო ვიდრე მიიწეოდეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი, წარსრულ იყო კეისარი ქუეყანით ხაზარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცალებდა მოსვლად ქართლად" [1: 179]. ისტორიოგრაფიაში ხაზარეთის ხსენებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულია შემდეგი: "ვახტანგის მოღვაწეობის დროისათვის ხაზართა ხსენება ანაქრონიზმია. ხაზარები ტექსტში გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს" [3: 154. შენიშვნა 71].

ჯუანშერის მიხედვით, ბიზანტიის კეისართან წერილის გაგზავნის პარალელურად, ვახტანგმა გააძლიერა თავდაცვითი ღონისძიებების გატარება. "მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მებრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მჭედარი და ასი ათასი ქუეთი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩაღმართ" [1: 179].

რადგან ქვეყნის სამხრეთი კარიბჭე მორღვეული იყო და ფაქტობრივად იქ ვახტანგის იურისდიქცია არ ხორციელდებოდა, ამიტომ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი რუსთავსა და თბილისს შუა გადიოდა. აქედან გამომდინარე, ვახტანგმა პირველი წინააღმდეგობა, პირველი ბრძოლები სწორედ თბილისთან, ქვეყნის შუაგულში გაუმართა მომხდურებს. შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, რომ პირველ ბრძოლებში თბილისთან, ქართველები დამარცხებულან, რამაც აიძულა ვახტანგ მეფე კიდევ უფრო უკან დაეხია და უშუალოდ მცხეთასთან გამაგრებულიყო.

ვფიქრობ: სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოთა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავიანთი ერისთავებით გამოდევნილნი რომ არ ყოფილიყვნენ ირანელთა მიერ, მეფე ვახტანგი პირველ ბრძოლებს თბილისთან კი არა, სწორედ სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოთა ტერიტორიებზე გაუმართავდა დამპყრობლებს.



მეფე ვახტანგის პერიოდის ქართლის სამეფოს რუკა [4]

2. ბრძოლა მცხეთისთვის

ციხესიმაგრეთა გამაგრების პარალელურად მეფე ვახტანგმა თავისი შეიარაღებული ძალები "ასი ათასი მჭედარი და ასი ათასი ქუეითი" განალაგა მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს დიღმიდან "ქართლის კართამდე." ტოპონიმ "ქართლის" მდებარეობას კარგად განსაზღვრავს კ. გრიგოლია: "ქართლი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მცხეთის პირდაპირ მთის ძირსაც და იქვე მდებარე ვაკის ზოლსაც რქმევია [11: 71]. მტერი კი, რომლის რაოდენობაც 300.000 შეადგენდა დაბანაკდა "ცხენის ტერფითგან ჩადმართ." "ცხენისტერფი თბილისის მიდამოებში დიდუბის ადრინდელი სახელი ყოფილა... სწორედ ამის ქვევით, მტკვრის გასწვრივ, მის მარცხენა ნაპირას ყოფილან სპარსელები დაბანაკებულნი [11: 72].

როგორც აღვნიშნე, პირველი ბრძოლები მეფე ვახტანგმა ძველი თბილისის მიდამოებში, ციხესიმაგრე კალასთან გაუმართა მომხდურს. შემდგომი მოვლენების აღწერისას მემატიანე გადმოგვცემს – "უკუდგა (ირანის ჯარი. ვ.ღ.) რუსთავად, ... რამეთუ ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოჴრებულ იყო" [1: 181]. რუსთავთან რომ ბრძოლები ყოფილიყო, რუსთავიც აოხრებული იქნებოდა. როგორც ჩანს, პირველ ბრძოლებში ვახტანგის ლაშქარი დამარცხდა, თუმცა არც ირანელებს მიუღწევიათ მნიშვნელოვანი გამარჯვებისათვის. ირანის ჯარის ნაწილებმაც უკან დაიხია "უკუდგა რუსთავად" [1: 181]. ამიტომ მეფე ვახტანგმა საბრძოლო ძალები მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს განალაგა, ქართველები იყვნენ დაბანაკებულნი "დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე" [1: 181], ხოლო სპარსელები მათ მოპირდაპირე მხარეს. მდ. მტკვრის მარ-

ცხენა სანაპიროზე ქართველთა ლაშქრის რაოდენობა 200 ათასით განისაზღვრება, სპარსელებისა 300 ათასით. სხვაობა ირანელთა სასარგებლოდ 100.000 მებრძოლს შეადგენს, რაც საკმაოდ დიდი რიცხობრივი უპირატესობა გახლავთ. მალე ვახტანგ მეფეს ჯარი კვლავ გადაუნაწილებია – "მეფე და ჯუანშერ სპასპეტი დადგეს მცხეთას, და ნასრა და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა, რომელნი დგეს არმაზით კერძო" [1: 180]. ამდენად, ნასრა და მირდატ ერისთავები თავიანთი ჯარით დაბანაკებულნი იყვნენ არმაზის მიდამოებში (მეფეს ზურგიდან იცავდნენ), ხოლო მეფე ვახტანგი და ჯუანშერ სპასპეტი მცხეთაში გახლდნენ. "რა ბრძოდიან სპარსნი არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან; და რა განვიდის ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით, ეწყუნიან არაგუსა ზედა; და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ სძლიონ და რომელსამე დღესა ამათ" [1: 180].

ბრძოლა ქართველებსა და სპარსელებს შორის უაღრესად დაძაბული იყო. მტერი უშუალოდ მცხეთის კარიბჭეს მოსდგომოდა. სპარსელები შესანიშნავად სარგებლობდნენ თავიანთი რიცხობრივი უპირატესობით და სხვადასხვა მხრიდან უტევდნენ ქართველებს. ამიტომ მეფე თავის კარგად გაწვრთნილ დამხმარე, მფრინავ რაზმებს ხან მირდატსა და ნასარ ერისთავებს აშველებდა, ხან კი თვითონ გადადიოდა შეტევაზე ჯუანშერთან ერთად. სწორედ ამიტომ "რომელსამე დღესა მათ სძლიონ და რომელსამე დღესა ამათ" [1: 180].

ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა

გრიგოლ ორბელიანი შემდეგ სტრიქონებს უძღვნის ვახტანგ მეფეს:

"მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი თვით მბრძანებელი,
მზად არს საომრად სახე შერისხვით,
ესე არს გმირი ის გორგასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ.
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწდნენ და შემუსვრიდნენ!" [53: 352].

ბებრისციხე

მცხეთასთან მიმდინარე ბრძოლების შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: "ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი. და ვითარც იხილონ ვახტანგ, თქჳან "დურ-აზ გორგასალ", რომელი არს ესე: "მირიდეთ თავსა მგლისასა". და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ" [1: 180].

"ეს სახელი (გორგასალი. ვ.ღ.) მას იმიტომ ეწოდა, რომ მის მუზარადზე მგელი – ფარნავაზიანთა საგვარეულო ემბლემა იყო გამოსახული" [19: 82].

ჯუანშერის ამ მონათხრობიდან გამომდინარე პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ვახტანგ გორგასალი და მისი მებრძოლები შემოსილნი იყვნენ მთლიანად მგლის ტყავებით. მხოლოდ მეფეს ეხურა თავზე ოქროს ჩაფხუტი, რომლის წინა მხარეზე გამოსახული იყო მგელი, ხოლო უკანა მხარეზე ლომი. სტატიის უცნობი ავტორი იმოწმებს იმ მეცნიერებს (ვ. აბაევი, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი), რომლებიც ვარაუდო-

ბენ, რომ თვით სახელწოდება – ვახტანგი მოიცავს ცნებას – მგლის სხეულის მქონეს. (ჯუანშერის მიხედვით ვახტანგი არის სამი სპარსული სახელის გაერთიანება, ვარან – ხუასრო – თანგ [1: 143]). პრესაში გამოქვეყნებული წერილის ავტორი იმოწმებს იტალიელი სწავლულის ფ. კარდინის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ მტაცებელი ცხოველის ტყავში გამოწყობილი მეომრები, თითქოსდა შინაგანად თავადაც ამ მტაცებლებად გარდაიქმნებოდნენ. სტატიის ავტორი მწუხარებას გამოთქვამს, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის – "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების შემქმნელებს ეს ფაქტი გამორჩათ და ტარიელი გამოსახული ჰყავთ არა მთლიანად მტაცებლის ტყავით შემოსილი, არამედ ვეფხის ტყავი მხოლოდ სამოსთან ერთად არის წარმოდგენილი და დეკორაციის ფუნქციას ასრულებს.

სტატიის ავტორი იმოწმებს კვლავ ფ. კარდინის მონაცემებს, რომ ევროპაში იყვნენ მთლიანად მტაცებელ ცხოველთა ტყავით შემოსილი მებრძოლები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდეგეებს. მაგ.: გერმანელები დათვის ტყავით იყვნენ შემოსილნი. ავტორი, აგრეთვე, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ "დურაზ გორგასალ," შესაძლოა არა "მირიდეთ თავსა მგლისასა" ნიშნავდეს, არამედ – მოერიდეთ მგლების მეთაურს.

მე ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი მოსაზრება არ არის უსაფუძვლო და რეალობას მოკლებული. გთავაზობთ მცირე ამონარიდს "ვეფხისტყაოსნიდან," რომელიც ერთგვარად ადასტურებს ზემოთ ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას.

"მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხისტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა" [14, 85 სტრ.].

სვანური ტრადიციის თანახმად მგელი საკრალურ არსებად ითვლებოდა. სვანები იცვამდნენ მგლის ტყავისაგან დამზადებულ ჯუბებს, "რომელთაც კუდები ხელუხლებლად ჰქონდათ დატოვებული" [16: 138]. სვანებს სწამდათ ზებუნებრივი მფარველი ძალის: მგლის კბილი ავი თვალისაგან იცავდა, ძვლების ნახარში სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა, მგლის ბეწვსა და ბრჭყალებს ასევე მაგიური ძალა ჰქონდა: მგლის ბეწვს წვავდნენ და ნამწვავის კვამლს ავადმყოფს უბოლებდნენ ეპილეფსიის შეტევის დროს: მგლის მოკვლა ტაბუირებული იყო და თუ შემთხვევით მონადირე ტაბუს დაარღვევდა, ქუდმოხდილი სვანები დაიტირებდნენ და ებოდიშებოდნენ მოკლულს" [16: 138]. "ანტიკურ ეპოქაში კი მგელი მხედრულ სიმამაცესა და თავდადებას განასახიერებდა: მგლები იყვნენ შებმულნი მარსის ეტლში; მგლის ტყავით იმოსებოდნენ მეომრები, ხოლო შუბზე დამაგრებული მგლის თავი, მათ გამარჯვების რწმენასა და სიმხნევეს მატებდა" [16: 137]. ძუ მგელი გახლდათ "რომის ლეგენდარული დამაარსებლის – რომულისა და რემის "ძიძა"; ძველ ირანელებთან, მეფე კიროსიც ლეგენდის თანახმად ასევე მგლის გამოზრდილი იყო" [16: 137].

ქართულ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

"კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი
ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი".

რაც შეეხება ლომის გამოსახულებას – "ლომის სიმბოლიკაში სწორედ მეფური, მბრძანებლური ელემენტები სჭარბობს: ღვთაებრიობა, მზის ცხოველმყოფელური ძალა, მეფური ძლევამოსილება, მხედრული სიმამაცე, შეუპოვრობა, ტრიუმფი, მაგრამ იმავდროულად, სისასტიკე და მძვინვარება... ძველ ეგვიპტეში ძუ ლომი ომის ქალღმერთის – სეხმეტის სიმბოლო გახლდათ" [16: 125].

ახალგორში, ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში დაცულია ბარელიეფი, საინვენტარო №-02537, რომელზეც გამოსახულნი არიან ერთმანეთს შეტოტებულ-შეჭიდებული ლომი და მგელი. მგელი იღრინება, კბილები უჩანს, რაც მისი გაავების ნიშანია და მნახველში შიშსა და ძრწოლას იწვევს. მგელი სხეულზე აფრინდება ლომს, ლომი კი ტორებით იგერიებს მას და სათანადო მანძილზე აკავებს. ლომის მხრები და კისერი დაძაბული არ არის, ჩანს, რომ მგლის შეკავებას ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ახერხებს, ამიტომ მშვიდად არის. ლომის მშვიდი მდგომარეობის აღქმას კიდევ უფრო აძლიერებს მისი სახის გამომეტყველება. ეს სახე ადამიანის სახეს წააგავს, მაღლა აწეული წარბებით კი ერთგვარად სიმშვიდის, მბრძანებლობის იერი იკვეთება და მორჩილებისაკენ მოუწოდებს მნახველს. ბარელიეფი მუზეუმ-ნაკრძალში ჩამოტანილია ყანჩაეთის ღვთისმშობლის (კაბენის) ეკლესიიდან. 2002 წელს გუმბათის ჩამონგრევის შემდეგ სხვა მსგავს ბარელიეფებთან ერთად, გუმბათის კედელში იყო ჩაშენებული, თარიღდება X საუკუნით და სპეციალისტების განმარტებით ანალოგი არ ეძებნება.

ლომს შეჭიდებული მგლის ბარელიეფი (X ს.)

არ გამოვრიცხავ შესაძლებლობას, რომ ვახტანგ მეფეს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ენახა მტაცებელ ცხოველთა ტყავებით შემოსილი მებრძოლები, ან ეს ჩაცმულობა ანტიკური პერიოდიდან გადმოეღო ("მგლის ტყავით იმოსებოდნენ მეომრები" [16: 137]) და თავისი შეიარაღებული ძალების რეფორმაციის დროს, ანუ 457-460-იან წლებში ამ ფორმით შეექმნა პირადი დაცვა. მგლის ტყავით შემოსილი მებრძოლები შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდეგე სპარსელ მებრძოლებს. სწორედ ამიტომ 460 წელს მცხეთის მიდამოებში მიმდინარე ბრძოლების დროს, სპარსელებმა დიდი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად ვერ სძლიეს ქართველთა კარგად გაწვრთნილსა და კარგად აღჭურვილ ჯარს. ვახტანგ გორგასალი მგლის ტყავით შემოსილი მფრინავი რაზმებით, რომელსაც პირობითად შეიძლება მეფის პირადი გვარდიაც ვუწოდოთ, სასწაულებს ახდენდა: "და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართის და მოსრის სპისა მისგან (ვახტანგის ჯარისგან. ვ.დ.) სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი" [1: 180].

ამ წინადადების კითხვის დროს გონებაში უნებლიეთ ცოცხლდება ლადო ასათიანის უკვდავი სტრიქონები:

"მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა, ფერი მათი მერანის.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ, მარად დაუზრახველნი
საქართველო იყო მათი, საყვარელი სახელი" [25: 103].

ამგვარი ბრძოლები მიმდინარეობდა ოთხი თვის განმავლობაში. "განგრძელდა მათ შორის ბრძოლა ოთხ თუე ოდენ. და მოვიდა მოციქული კესრისაგან, და მოართუა ძღუენი ვახტანგს, და მოჰგუარა სპათაგან ბერძენთასა ოთხმოცი ათასი მჭედარი, და მოუწერა ვახტანგს, ვითარმედ: "შევექეც წყობასა ხაკანისასა, და მომივლენია შენდა ოთხმოცი ათასი მჭედარი, და მომიწერია ლეონისდა: უკეთუ გიჭმდეს შენ ლაშქარი, წინაშე შენსა არს მელიტენითგან ვიდრე ლამედმდე და მოდმართ ვიდრე კარნუქალაქამდე, და მიბრძანებია ლეონისდა წინაშე შენსა იყოს.

და მოწევნილ იყო ლაშქარი ბერძენთა ჯავახეთს. ხოლო ვითარცა ცნა სპარსთა მეფემან ბერძენთა მოსვლა შუელად მათდა, იწყო ზრახვად ვახტანგისა" [1: 180-181].

3. ზავი

ირანელთა ოთხთვიანი წარუმატებელი ბრძოლის პერიოდში, როდესაც ეს ბრძოლები უშუალოდ დედაქალაქ მცხეთასთან მიმდინარეობდა, ქართველებს შეემატა დამხმარე ძალა – მაშველი ჯარი ბიზანტიისაგან. როგორც ჩანს, სწორედ ამ დამხმარე ძალის გამოჩენამ დააჩქარებინა ირანელებს გადაწყვეტილების მიღება ზავთან დაკავშირებით. მათ ვახტანგ გორგასალს ქართლისა და ირანის დაზავება შესთავაზეს. ზავით დაინტერესებულნი იყვნენ ქართველებიც და, სავარაუდოა, ბიზანტიელებიც.

შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვახტანგ გორგასალს არ შეუცვლია პოლიტიკური ორიენტაცია, ანუ ბერძნული პოლიტიკური ორიენტაციიდან არ "მიიქცა" კვლავ ირანულზე. ვახტანგი ცდილობდა (ბიზანტიელთა რჩევით) კეთილმეზობლური ურთიერთობა შეენარჩუნებინა როგორც ირანთან, ისე ბიზანტიასთან, ანუ განეხორციელებინა **თანაცხოვრების პრინციპი,** იმავდროულად, ერთგვარი შუამავლის ფუნქცია ეტვირთა ბიზანტიასა და ირანს შორის. ირანის მიერ შეთავაზებული პირობის თანახმად, ვახტანგ გორგასალს უნდა ეღიარებინა ირანის შაჰის უზენაესობა ქართლზე; ირანისთვის გადაეხადა გარკვეული გადასახადები და ირანის შეიარაღებულ ძალებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ირანის მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში.

სანაცვლოდ ირანი ვალდებული ხდებოდა აღედგინა მეფობა ვახტანგ გორგასლისათვის და არ ჩარეულიყო ქართლის სასულიერო-საეკლესიო საქმეებში.

ზავის პირობები მისაღები აღმოჩნდა ვახტანგ გორგასლისთვის. – "უკეთუ აღასრულო სიტყუა შენი და არა იყოს ცეცხლი შენდა, და იყოს ღმერთად ჩუენ და ქრისტე, მამად და უფლად გხადო შენ. დაღაცათუ ჩუენ პირმშონი ვართ, არამედ თქუენ სხდეთ საყდართა ზედა მამისა ჩუენისათა" [1: 181]. ქართლისათვის შეთავაზებული ირანელთა წინადადება ბიზანტიამაც არ უარყო. ჩემი ვარაუდით, ბიზანტიის წარმომადგენელთან – ლეონ ანთიპატთან კონსულტაციების გარეშე, ვახტანგ გორგასალი ირანელებს ვერ გასცემდა ასეთ პასუხს: "მამად და უფლად გხადო შენ" [1: 181].

როგორც კი ვახტანგის პასუხი ცნობილი გახდა ირანელთათვის "ვითარცა უთხრეს სიტყუა ვახტანგისი, შეიწყნარა და წარსცა ძღუენი გორგასალსა ძლიერად, და მის თანა გჳრგჳნი ანთრაკოანი, და ჟამი დადვეს შეკრებისა" [1: 181].

4. ვახტანგის მეორედ გამეფება ირანელთა მიერ

საზავო პირობები

როგორც აღვნიშნე, დაახლოებით 456 წელს, ბიზანტია-სპარსელთა საომარი ოპერაციების დროს, გამჟღავნდა ვახტანგის მიერ სპარსული პოლიტიკური ორიენტაციის უარყოფა და ბიზანტიურ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე გადასვლა ("მოქცევა"), რასაც მოჰყვა სპარსეთის ჯარის გათიშვა და დამარცხება. ამის გამო სპარსეთის სამეფო კარმა ვახტანგს მეფობა ჩამოართვა. 460 წელს, როდესაც სპარსელებმა ვეღარ შეძლეს ვახტანგის ძლევა იარაღით, პოლიტიკა შეცვალეს – იარაღი დიპლომატიით ჩაანაცვლეს და ვახტანგს მეგობრობა შესთავაზეს. "შეიწყნარა და წარსცა ძღუენი გორგასალსა ძლიერად, და მის თანა გჳირგჳნი ანთრაკოანი," [1: 181] ანუ ვახტანგი ირანის სამეფო კარმა კვლავ აღიარა ქართლის მეფედ, დაუთმო შინაგანი დამოუკიდებლობა და გადასცა ცეცხლისფერი, ძვირფასი თვლით შემკული სამეფო გვირგვინი.

გავიხსენოთ: პირველად ვახტანგს მეფობა 438 წელს, ირანის დიდმა მოხელემ – რანის ერისთავმა უბოძა, თუმცა უცნობია რა ატრიბუტიკით გადაეცა მაშინ ძალაუფლება ვახტანგს. 460 წელს კი ირანის სამეფო კარის მიერ ქართლის სამეფო ხელისუფლების ძირითად ინსიგნიად დასახელებულია ძვირფასი ცეცხლისფერი ქვით შემკული სამეფო გვირგვინი. ***შედარებისთვის:*** დაახლოებით 456 წელს – ვახტანგის მიერ სპარსული პოლიტიკური ორიენტაციის უარყოფისა და ბერძნულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე გადასვლის შემდგომ, ანუ ეგრისში უმეფობისას, ბიზანტიამ მეფობა უბოძა ვახტანგს – "საიდუმლოდ მოართუეს მას ჯუარი და გჳრგჳნი შუამდგომელად, და შესამოსელი ტანისა მისისა" [1: 171]. ე.ი. როდესაც ბიზანტიის კეისარმა ვახტანგი ეგრი-

სის მეფედ აღიარა, გადასცა სამეფო ატრიბუტიკა: ჯვარი, გვირგვინი და ძვირფასი სამოსი. მაშასადამე, იმ პერიოდისათვის ქართლის სამეფო ხელისუფლების ძირითადი ინსიგნიები ყოფილა – გვირგვინი და ძვირფასი ტანსაცმელი (ჯვარი ბიზანტიისაგან).

სპარსთაგან სამეფო სიმბოლოთა მიღების შემდეგ ვახტანგ გორგასალმაც გაუგზავნა ირანს მეფეთა საკადრისი საჩუქარი "უძღვნა გორგასალმან მჭევალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა ("ოქრომკედით ნაქსოვი ქსოვილი" [1: 453], სკარამანგის "ძვირფასი ნაქსოვი" [1: 152]) ხუთასი, ბიზიონი ("აბრეშუმის ქსოვილი" [1: 433]), ზუზმა ხუთასი, ჭდალი ცხენი ათი ათასი, ცხენი ბარგისა ხუთასი, ჯორი სამასი, ზროხა ოთხი ათასი, ცხვარი ათი ათასი" [1: 182]. როგორც ვახტანგ გორგასლის მიერ გაღებული საჩუქრების ჩამონათვალიდან ჩანს, ქართლის სამეფო ხაზინა საკმაოდ ძლიერი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთი უშუალოდ მცხეთის მიდამოებში ოთხი თვის განმავლობაში ებრძოდა ვახტანგს და ქვეყნის დიდი ნაწილი ოკუპირებული ჰქონდა, მოოხრებული ქართლი ეკონომიკურად მაინც საკმაოდ ძლიერი ყოფილა. დასუსტებული სამეფოს ხელისუფალი ამდენ საჩუქარს ვერ გასცემდა და არც სპარსეთი მოისურვებდა ზავის დადებას დაუძლურებულ ქვეყანასთან.

როგორც აღვნიშნე, სპარსულ-ქართული ზავის მოსურნე ბიზანტიაც იყო. ბიზანტიის წარმომადგენელი ქართლში ლეონ ანთიპატი (ანთიპატი ნიშნავს ბერძენი კეისრის ნაცვალს [1: 410]), (იქ, სადაც წერია საბერძნეთი ბიზანტია მოიაზრება. ვ.ღ.) სამშვიდობო პროცესით დიდად დაინტერესებული გახლდათ. იგი ასევე დაინტერესებული იყო სპარსეთ-ბერძენთა ზავით. საზავო პირობებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა დროს ვახტანგ გორგასალმა დარბაზობაზე დასასწრებად წაიყვანა ლეონ ანთიპატი. "თანა წარიტანა ლეონ, ანთიპატი კეისრისა, და ყვეს განზრახვა. და აზრახა ანთიპატმან გორგასალსა, რათა ყოს მშჯდობა შორის კეისრისა და ხუასროსა, რამეთუ ეშინოდა ბერძენთა – ნუ უკუ შევიდენ საბერძნეთად სპარსნი და მოაოჭრონ იგი, რამეთუ სპანი საბერძნეთისანი ყოველნი იყვნეს ხაზარეთს" [1: 182]. აქ ჯუანშერი ხსნის თუ რატომ იყო დაინტერესებული საბერძნეთი სპარსეთთან დაზავებით, "რამეთუ ეშინოდა ბერძენთა – ნუ უკუ შევიდენ საბერძნეთად სპარსნი და მოაოჭრონ იგი, რამეთუ სპანი საბერძნეთისანი ყოველნი იყვნეს ხაზარეთს" [1: 182]. ერთი სიტყვით, ბიზანტია არ იყო სპარსეთთან ომისთვის მზად, რის გამოც ბიზანტიის მეფის ნაცვალმა ლეონმა ძალ-ღონე არ დაიშურა, საზავო ხელშეკრულების გაფორმების მისაღწევად სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. აშკარაა ისიც, რომ ვახტანგ გორგასალს არ შეუცვლია ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაცია. ვახტანგ გორგასალს ირანის შაჰისგან და ბიზანტიის იმპერატორისაგან მიეცა ნაწილობრივი დამოუკიდებლობა. გორგასალი ცდილობდა ოსტატურად ლავირებას ამ ორი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, რათა თავიდან აეცილებინა მკვეთრი დაპირისპირება მათთან. ბიზანტია თანახმა იყო ქართლის ხელისუფლება, ქართლის სამხედრო ძალები გაერთიანებულიყო ირანის

შეიარაღებულ ძალებთან, თუკი ეს გაერთიანებული ჯარი არ იქნებოდა მიმართული ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საზავო მოლაპარაკების დროს ირანის შაჰმა პეროზმა, რომელსაც ჯუანშერი ზოგადი სახელით "ხუასრო" მოიხსენიებს, მიმართა ვახტანგს: "და რქუა ხუასრო გორგასალსა: "ითხოვე ჩემგან რაცა გნებავს თავისა შენისთჳს ანუ სხჳსა ვისთჳსცა გნებავს". ხოლო გორგასალმა რქუა: მნებავს რათა იყოს მშჳდობა შენ შორის და კეისრისა" რქუა ხოსრო "დამძიმდა თხოვა შენი ჩემ ზედა. რამეთუ ბერძენთა რაჟამს პოვიან ჟამი ჩუენ ზედა, არა ყვიან წყალობა. და მე ამით ვყავ სიყვარული შენ ზედა, რათა შევიდე საბერძნეთად და შური ვიძიო მათგან. და აჰა, მოციქული ხაზართა მეფისა მეათე დღე არს, რადთგან მოსრულ არს, და შენ არა უწყი მიზეზი მტერობისა ჩუენისა. ხოლო აწ მიგითხრა სილაღე მათი ჩუენ ზედა, და მერმე ვყო ნება შენი, ვინათგან აღითქუ ფიცითა ძლიერითა, ვითარმედ არა ვყო უნებელი შენი" [1: 182].

როგორც ჩანს, ირანის შაჰმა პეროზმა იცოდა, რომ ბიზანტია არ იყო მზად ირანთან ახალი ომისათვის. ამიტომ ბიზანტიელების შესახებ მის საუბარში კინინობითი ტონი იგრძნობა, ხოლო ვახტანგს აღმატებით მოიხსენიებს და უღალატო მეგობრობას ჰპირდება. "და თქუა (ირანის შაჰმა. ვ.ღ.), ვითარმედ "შენ უწყი, რამეთუ ზღუასა მოღმართ ჩუენი არს საზღვარი, განყოფილი ნოესითგან, და აწ იგი მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა და მოოჴრებულ არიან ქალაქნი, ხოლო შამი სამეფო ჩუენი არს. არამედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი არს ხუედრი, და მიუღებიეს იგი ბერძენთა, და მე ესერა შევიდოდე უკუმოღებად მისა. აწ რომელი ნაწილი მამათა შენთა არს, შენ განუყავ, შენ იცი და ბერძენთა. ხოლო სხუა ჯაზირისა მომცენ მე ბერძენთა, და რომელი ვითხოვე მე შენგან" [1: 182-183].

ჯუანშერის მიერ გადმოცემულ ირანის შაჰ პეროზის სიტყვებს იმის შესახებ, რომ შამი (სირია) და ჯაზირეთი (შუამდინარეთი) ირანის ხელისუფალთა კუთვნილება გახლდათ და გადაცემული იყო ქართლის მეფე მირიანისთვის IV საუკუნის დასაწყისში, ლეონტი მროველის მონათხრობიც ადასტურებს. როდესაც ირანის სამეფო კარზე განიხილებოდა საკითხი, თუ ვის მიაკუთვნებდნენ ირანის შაჰის სამეფო ტახტს – ქართლის მეფე მირიანსა თუ მის ნახევარძმა ბარტამს, უპირატესობა ბარტამს მიენიჭა: "მირიანს გულისადებად მისცეს ბარტამისაგან ჯაზირეთი, და შამის ნახევარი" [1: 67].

ირანის შაჰის სიტყვიდან გამომდინარე, უდავოა, რომ შაჰი შამს (სირიას) თავის სამფლობელოდ მიიჩნევდა, რაც შეეხება ჯაზირეთს – შუამდინარეთს (მის ნახევარს) ვახტანგის "მამათა" საკუთრებად თვლიდა. "ქართლის ცხოვრების" სომხურ თარგმანში ნათქვამია: "შამი და ჯაზირეთი შუამდინარეთის ქვეყნები არიან", თუმცა ქართველთა კუთვნილ ამ მიწისადმი იმხანად ბიზანტიელები ყოფილან დაპატრონებულიო. შაჰს მისი დაბრუნება ნდომია, მაგრამ, რადგან ვახტანგს ბიზანტიასთან მეგობ-

რობა სურდა, შაჰმა უთხრა ვახტანგს: შენი მამაპაპეული მიწები დაუთმე ბერძნებს, დანარჩენი მე მომეციო [3: 155].

ბიზანტიის წარმომადგენელი ლეონ ანთიპატი, ირანის შაჰის მოთხოვნას სიხარულით დათანხმდა. როგორც ჩანს, ბიზანტიის სამეფო კარს წინასწარ ჰქონდა შესწავლილი ირანის სამეფო კარის მოთხოვნები და ბიზანტიელებს უკვე შეედგინათ "წიგნი ზავისა", "ხოლო ვითარცა ესმა ესე ლეონ ანთიპატსა, განიხარა ფრიად და თაყუანის-ცა ორთავე მეფეთა, და თქუა: "ხუთნი ქალაქნი ჯაზირისანი შენდავე იყენენ, შენ-კერძნი, რამეთუ ნახევარი სიკილიისა, რომელი მოგუეღო, შენგან, უკუგცეთ და დღეთა ჩუენთა იყავნ მშჳდობა შორის შენსა და მისსა" [1: 183]. სიტყვიერი თანხმობის შემდეგ, ლეონმა ბიზანტიის იმპერატორის მიერ წინასწარ შემუშავებული წერილობითი თანხმობა წარადგინა – "წიგნი ზავისა". "იმპერატორი თანახმა იყო 363 წელს რომის იმპერიასა და ირანს შორის დადებული რომისათვის ე.წ. "სამარცხვინო ზავის" პირობებით გათვალისწინებული სასაზღვრო ხაზით დაკმაყოფილებულიყო" [3. 156]. რაც შეეხება თვით 363 წლის ზავს ... 363 წელს რომის იმპერატორმა იულიანემ ირანთან ომი წამოიწყო. იულიანეს სიმამაცის მიუხედავად, ერთ-ერთ ბრძოლაში რომაელები დამარცხდნენ. თვით იმპერატორი ბრძოლის ველზე დაიღუპა. ახალი იმპერატორი იოვანე იძულებული გახდა ზავი დაედო ირანთან. "ნიზიბინი, სინგარა და მცირე სომხეთის ოლქები ერგო ირანს, ხოლო დიდი სომხეთის მეფე არშაკი შაბურმა ტახტიდან გადააყენა, როგორც რომაელების მიერ დასმული კაცი" [6: 27] და რომაელთა პოლიტიკის განმახორციელებელი. ამდენად, ეს ზავი რომაელთათვის მძიმე პირობებს აკანონებდა.

460 წელს ირანის შაჰმა პეროზმა შეძლო საზავო ხელშეკრულების გაფორმება ირანისათვის მომგებიანი პირობებით, როგორც მეფე ვახტანგთან ისე, ბიზანტიასთან, რის შედეგადაც "მისცა გორგასალსა ნიჭი (სიმდიდრე [1: 448]: ალვა (სულნელ-საკმეველი [1: 432]), ლიტრა სამი ათასი, ამბარი (სულნელია [1: 432]) ლიტრა ხუთასი, მუშკი (მამალი მუშკის სათესლე ჯირკვლიდან მიღებული სითხე [1: 447]) ლიტრა ხუთასი, ტაიჭი (დაკოდილი ცხენი [1: 453) ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი (სიასამური [1: 460] სამი ათასი" [1: 183]. პეროზ მეფის მიერ ბოძებული საჩუქრის დიდი ნაწილი ვახტანგ გორგასალმა პატივისცემისა და მორჩილების ნიშნად ბიზანტიის კეისარს გაუგზავნა – "წარსცა ყოველი ნიჭი წინაშე კეისრისა, რომელი მიენიჭა მეფესა ხუასროს: გარნა სტავრები (სამოსელი ვ.ღ.) და ტაიჯები დაიჭირა თავისათჳს, და სხუა ყოველი წარსცა და უბრძანა არტავაზს, რათა ჯაზირას მოერთოს ლეონ ანთიპატისა თანა" [1: 186].

ვახტანგ მეფისთვის, საკუთარი მობიდანის საშუალებით, შეთვლილი პეროზის პირობები ამგვარი გახლდათ: ვინაიდან, მან – პეროზ მეფემ ვახტანგის ყველა მოთხოვნა აღასრულა, ახლა გორგასალს უნდა გაეგზავნა ნდობით აღჭურვილი პირნი და

დაებრუნებინა თავისი კუთვნილი ქალაქები. გარდა ამისა, შაჰი თხოულობდა ვახტანგისაგან, ერთ-ერთი და ცოლად მიეთხოვებინა მისთვის, თავად ვახტანგ მეფე კი ჯარის გარეშე გაჰყოლოდა შაჰს მისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად.

ირანი ამ დროს ჰეფტალიტი ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ვახტანგის მაგალითიდან – თავდაპირველად ირანს ჯარების საყოველთაო მობილიზაცია არ გამოუცხადებია. პეროზ მეფისთვის პასუხის გაცემამდე ვახტანგი ეთათბირა თავისი გუნდის წევრებს, რომელთა შორის იყო ბიზანტიის კეისრის ნაცვალი ლეონი. ლეონის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, კარგად აისახა ირანის ხელისუფალთა ჩანაფიქრი ბიზანტიასთან მიმართებაში. მის გამოსვლაში ახსნილია თუ როგორ გადააფიქრებინა ვახტანგ მეფემ ირანის შაჰ პეროზს ბიზანტიასთან დაგეგმილი ომი. ამავე დროს ლეონის აზრით, ვახტანგ მეფის წასვლა ირანის შაჰთან დიდი ჯარის გარეშე ძალზე საშიში იყო როგორც პიროვნულად ვახტანგ მეფისათვის ისე, ქართლისა და ბიზანტიისათვის. განსაკუთრებულად საეჭვო გახლდათ პეროზ შაჰის სურვილი: ვახტანგ მეფე დიდი ჯარის გარეშე გაჰყოლოდა მას. ამიტომ ლეონი იღებდა ვალდებულებას, კეისართან შეთანხმების შემდგომ შეერთებოდა ვახტანგს დიდი ჯარით.

ჯუანშერი გადმოგვცემს ლეონ ანთიპატის რჩევას: "დიდი არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა, უფროს მეფეთა მათ, რომელნი სხენან საყდართა მათთა, რამეთუ შენ დასცევ ქალაქი პონტოსა (ქალაქი სინოპი. ვ.ღ.) შემუსვრისაგან, და შენ მიანიჭე შჯდას ოთხმოცი ათასი სული, და დღეს შენ მიერ მიეცემის ჯაზირა და ფილისტიმი, რომელი მშჯდობით არა რომელსა მეფესა ბერძენთასა შეუპყრიეს. და მართალ არს ხუასრო, უკეთუ არა ჰყო მის თანა სათნოება, უჴმრად (უსარგებლოდ) შერაცხოს იგი ერმან მისმან; დაღაცათუ მან არა გითხრა, მიღმართ ვძლიოთ, რამეთუ ესე არს სრული სიყუარული; მე მიგცე ლაშქრისა ჩემისაგან ათი ათასი ჭურვილი და მე წარვჰყვე მოციქულთა შენთა თანა წინაშე კეისრისა და მუნით გამოგერთო (შეგიერთდე) ჯაზირას სპითა ძლიერითა" [1: 184-185].

პეროზ შაჰის წინადადებამ, ჯარის გარეშე წაჰყოლოდა ვახტანგ გორგასალი ირანის მტრებთან საბრძოლველად, გარკვეული ეჭვები აღძრა ქართველთა ბანაკში. ლეონ ანთიპატის ჩანაფიქრი კი – ვახტანგ მეფისათვის გაეყოლებინა 10.000 შეიარაღებული მებრძოლი ("ჭურვილი"), რომელთა ფუნქციაც ვახტანგ გორგასლის პირადი უშიშროების უზრუნველყოფა იქნებოდა, ხოლო კეისართან შეთანხმების შემდგომ კი თავად ლეონ ანთიპატიც შეუერთდებოდა ვახტანგ მეფეს "სპათა ძლიერითა," ვითომდა სპარსელთა ჯარის გასაძლიერებლად, ქართველთა ბანაკმა არსებული პრობლემის მართებულ გადაწყვეტილებად მიიჩნია.

საბოლოოდ, თათბირის მონაწილეებმა გაიზიარეს ლეონის რჩევა: "სთნდა მეფესა ვახტანგს და ყოველთა წარჩინებულთა მისთა განზრახვა მისი (ლეონის. ვ.ღ.); და მისცა სპარსთა მეფესა დაჲ მისი ვახტანგ მეფემან ცოლად, რომელსა ერქუა მირანდუხტ, რომელი წარტყუენილი იყო ოვსთაგან და გამოეკვნა ვახტანგს" [1: 185].

5. დაჩის გამეფება

ვახტანგი ირანს მიემგზავრება

პეროზ შაჰთან წასვლამდე, ვახტანგმა დაზღვევითი ღონისძიებები გაატარა. კერძოდ, "მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი. იყო ხუთისა წლისა, და დაადგა გჳრგჳნი, და დაუტევა მეფედ და დაუტევა მის თანა შჳდნი წარჩინებულნი მისნი" [1: 185]. აქ მნიშვნელოვანი ფაქტი იკვეთება: მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ მეფემ ფაქტიურად აღიარა ირანის შაჰის უზენაესობა ("მამად და უფლად გხადო შენ") ისე, რომ არ უარუყვია ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაცია, სამეფოდან გამგზავრების წინ თავისი მემკვიდრე, ხუთი წლის დაჩი აკურთხა მეფედ და ისე უბოძა უფლისწულს სამეფო გვირგვინი, რომ არც ირანის შაჰს შესთანხმებია და არც ბიზანტიის კეისარს. აშკარაა, ვახტანგს მიაჩნდა, რომ თავად გახლდათ მეფე და დამოუკიდებელი მმართველი. თავის ქვეყანას კი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებდა. ხუთი წლის ბავშვს, ბუნებრივია, მეფობა არ შეეძლო, ამიტომ სახელმწიფოს მართვისთვის შექმნა ერთგვარ რეგენტთა საბჭო შვიდი წარჩინებული დიდმოხელის შემადგენლობით. კერძოდ: "დაუტევნა მის თანა შჳდი წარჩინებულნი მისნი. პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა; და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; და გრიგოლი ერისთავი ჰერეთისა; და ნერსარან, ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამშჳლდისა; და სამნაღირი, ერისთავი შიდა ეგრისსა და სუანეთისა; და ბაკურ, ერისთავი მარგჳსა და თაკუერისა" [1: 185]. მეფე ვახტანგს, როგორც ჩანს, რეგენტთა საბჭოს ხელმძღვანელად დაუნიშნავს "ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა" [1: 185]. ჯუანშერი დანარჩენ ერისთავებთან ერთად პასუხისმგებელი გახლდათ ვახტანგის სამშობლოში არყოფნის დროს, უფლისწულის აღზრდასა და სახელმწიფოს მართვაზე ეზრუნა, მათვე დაავალა "აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა" [1: 185].

ჯუანშერი გადმოგვცემს: "წარიტანა თანა ოთხნი წარჩინებულნი მისნი არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან, ერისთავი ოძ-

რჭისა; და საურმაგ, ეჯიბი მისი დიდი; და მათ თანა ათი ათასი მჭედარი ლაშქრისა მისისა დარჩეული.

და ლეონ ანთიპატმან დაუტევა ლაშქრისა მისისაგან ათი ათასი ბერძენი, და თჳთ წარვიდა წინაშე კეისრისა" [1: 185-186]. ჯუანშერის ეს მონათხრობი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ადრინდელ მონათხრობს, ვახტანგ მეფისადმი პეროზ შაჰის მიმართვასთან დაკავშირებით: "შენ თავითა შენითა მინებ (მინდიხარ) ძალად ჩემდა, არამედ სპანი შენნი ადგილსავე იყვნენ" [1: 184] ამდენად, მაშინ ვახტანგ მეფეს აუკრძალეს ჯარის თან წაყვანა. ახლა კი, როდესაც გაცხადდა ლეონ ანთიპატის განზრახვა – ვახტანგ გორგასლის უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ვახტანგს მისცეს უფლება წასულიყო 10.000 რჩეულ ცხენოსან მებრძოლთან ერთად, გარდა ამისა, საკუთარი ესკორტისთვის 10.000 მებრძოლი ლეონ ანთიპატის ჯარიდან შეემატებინა. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ლეონ ანთიპატის გადაწყვეტილებამ ბიზანტიელთა 10.000 მხედრით უზრუნველეყო ვახტანგის უშიშროება, ხოლო კეისართან შეთანხმების შემდგომ, კიდევ მეტად გაეზარდა ვახტანგის ერთგულ მებრძოლთა რიცხვი და შეერთებოდა "სპითა ძლიერითა" შეაცვლევინა ირანელებს პირველადი განზრახვა – წაეყვანათ ვახტანგ გორგასალი ჯარის გარეშე. შეცვლილი ვითარებიდან გამომდინარე, ისინი იძულებულნი გახდნენ უფლება მიეცათ ვახტანგისთვის თან წაეყვანა ქართველთა ჯარიდან 10.000 რჩეული მხედარი და კიდევ 10.000 ბიზანტიელთა ჯარიდან, ე.ი. სულ 20.000 მებრძოლი. "წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადაგანისასა, და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაჲ მისი იერუსალემს. და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასაო. და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას" [1: 186].

ამდენად, ქართლიდან გასვლის დროს პეროზ შაჰმა თან წაიყვანა ვახტანგ მეფე, თავისი საცოლე ვახტანგის და – მირანდუხტი, ვახტანგის მეორე და – ხურანძე და ვახტანგის დედა – საგდუხტი. აზერბაიჯანში ჩასვლის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ვახტანგი, ხურანძე და საგდუხტი წავიდნენ იერუსალიმში, მოილოცეს წმინდა ადგილები, დიდი შესაწირი შესწირეს წმინდა ეკლესიებს.

შესაძლებელია ამ, ან უახლოეს პერიოდში, დაიხატა ვახტანგ მეფის სურათი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე. ტიმოთე გაბაშვილის მიხედვით "ქ. კუალად ხატია დიდი და სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლან ხოსროიანი, რომელმან დაიპყრო იერუსალიმი და პალესტინე" [47: 82]. ტ. გაბაშვილი აღწერს, რომ მონასტრის კედელზე გამოსახული ყოფილა – ხანშიშესული წვერულვაშიანი მეფე, თავზე გვირგვინით.

მეფე ვახტანგი ლაშქრობის დაწყების დროს, ე.ი. 460 წელს (460-431=29) 29 წლის იყო. ლაშქრობა დასრულდა 468 წელს, ანუ ლაშქრობის დასასრულს 37 წლის ყოფილა. ამდენად, სრულიად შესაძლებელია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე

გამოსახული ყოფილიყო ვახტანგ გორგასლის ფრესკა, რომელიც დაიხატა 460-468 წლებში.

მოგვიანებით ვახტანგ მეფე თავის არაკში იტყვის: **"აქ მოსვლითა პირველად გამომიჴსნია იერუსალიმი, წმიდა ქალაქი, სადაც დადგეს ფერჴნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, და მუნ აღასრულა ყოველივე ჴსნისთჳს სულთა ჩუენთასა"** [1: 192]. შემდეგ ვახტანგი, დედამისი – საგდუხტი, და მეფის და ხურანძე გამობრუნდნენ იერუსალიმიდან და, შეთანხმებისამებრ, ჩავიდნენ ანტიოქიაში, სადაც მათ უკვე ელოდა პეროზი, ვახტანგის მეორე და – მირანდუხტი და სხვანი. ანტიოქიიდან პეროზი, მირანდუხტი და ვახტანგ გორგასალი ამალითურთ გაემგზავრნენ ბაღდადში, ხოლო საგდუხტი და ხურანძე ანტიოქიაში დარჩნენ.

"ხოლო ლეონ, ანთიპატოსი კეისრისა, და არტავაზ, ერისთავი ვახტანგისი, მოვიდეს ოციათასითა მჴედრითა რჩეულითა, და მოართუეს ხუასროს კეისრისაგან ძღუენი მიუწდომელი და ვახტანგს ნიჭი მიუწდომელი. და მოემცნო კეისარსა მოციქულთა სიხარული და მადლობა მიცემა ღმრთისა, და ვახტანგის ქება და მადლი მიუწდომელი. და მოემცნო ვახტანგისად: "და მიბრძანებიეს ლეონისდა ესრეთ, რათა იყოს შიშსა და ბრძანებასა შენსა ქუეშე ვითარცა ჩემსა". და შეკრბა ვახტანგის საბრძანებელსა ქუეშე ბერძენი და ქართველი და სომეხი ორმოცდაათი ათასი მჴედარი რჩეული" [1: 186]. ე.ი. ლეონ ანთიპატი მივიდა ვახტანგთან, მიუტანა კეისრის მიერ გამოგზავნილი უამრავი საჩუქარი სპარსეთის შაჰისთვის და ასევე დიდძალი საჩუქარ- საბოძვარი წერილითურთ თავად ვახტანგ მეფეს მიართვა. წერილით კეისარმა შეატყობინა მეფე ვახტანგს, რომ უგზავნიდა ლეონს, რომელიც ამიერიდან ვახტანგს დაექვემდებარებოდა. ბიზანტიელები ვახტანგისადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდნენ, რაც სრულიად გასაგებია. ვახტანგ მეფემ შეძლო და ბიზანტია იხსნა ირანელთა თავდასხმისგან. ფაქტობრივად, ირან-ბიზანტიას შორის ომი, ანუ ომი, რომლისთვისაც ბიზანტია მზად არ იყო, სწორედ ვახტანგ მეფის მეცადინეობით იქნა თავიდან აცილებული. ლეონთან ერთად ვახტანგთან დაბრუნდა არტავაზ ერისთავი. "ლეონ, ანთიპატოსი კეისრისა, და არტავაზ ერისთავი ვახტანგისი, მოვიდეს ოცი ათასითა მჴედრითა რჩეულითა" [1: 186].

ის, რაც შემდეგ მოხდა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტია. ირანის სამეფო კარმა, რომელსაც სურდა ვახტანგ გორგასალი ირანში შეიარაღებული ძალების გარეშე (მცირე სამხედრო ძალით) გამოცხადებულიყო, გარემოებათა ცვლილების გამო, მიიღო ვახტანგი ძლიერი დაცვით (10.000 ბერძენი, 10.000 რჩეული ქართლელი და კიდევ 20.000 რჩეული ბერძენი, ე.ი. სულ 40.000 რჩეული მხედარი), ანუ შეცვალა თავისი თავდაპირველი მოთხოვნა – ვახტანგი შესაფერისი სამხედრო ძალის გარეშე ყოფილიყო ირანის შეიარაღებულ ლაშქარში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში, ირანს გარკვეული სირთულეები შეექმნა ჰეფტალიტ-ჰუნებთან ბრძოლების დროს. ახ-

ლა უკვე ირანის შაჰი თავად დაინტერესდა იმით, რომ ვახტანგ გორგასალი, თავისი რჩეული მხედრობით მასთან ყოფილიყო – "და შეკრბა ვახტანგის საბრძანებელსა ქუეშე ბერძენი და ქართველი და სომეხი ორმოცდაათი ათასი მჭედარი რჩეული" [1: 186]. ასე რომ, ირანში ვახტანგის დროშის ქვეშ გაერთიანდა 90.000 რჩეული მხედარი. ასეთ გამოცდილ მხედართმთავარს დაქვემდებარებული რჩეულ მხედართა ეს ოდენობა საკმაოდ მრისხანე ძალა იყო.

6. ქორწილი

გადაწყდა: გაემართათ პეროზისა და მირანდუხტის შეუღლების აღმნიშვნელი ცერემონია – ქორწილი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ (ანტიოქიიდან) ვახტანგის დედა – საგდუხტი და ვახტანგის და – ხურანძე. "აღასრულეს ქორწილი სამეფო, ექუს თვე განცხრომითა და განსუენებითა მიუწდომელითა და შემდგომად ქორწილისა მისცა ნიჭი დიდძალი დედასა და დასა ვახტანგისასა, და წარმოვიდეს ურაჰას" [1: 187].

პეროზ შაჰის გადაწყვეტილებით საგდუხტი და ხურანძე ქალაქ ურაჰში უნდა დალოდებოდნენ ვახტანგს და თუ მოისურვებდნენ, რანის გზის გავლით შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ ქართლში (ანტიოქიის, ურაჰას მდებარეობის შესახებ [3: 159-166]).

რატომ არ მოინდომეს დედოფალმა საგდუხტმა და მისმა ქალიშვილმა ხურანძემ ქართლში დაბრუნება რანის გზით და რატომ ელოდნენ ვახტანგ გორგასალს მთელი 8 წელი ბიზანტიის ქალაქ ურჰაში, უცნობია. სამაგიეროდ შემდგომში განვითარებული მოვლენები გვამცნობს, რომ 468 წელს ვახტანგ გორგასალი დედისა და დის თანხლებით სხვა გზით დაბრუნდა ქართლში [1: 196]. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ საგდუხტსა და ხურანძეს არ სურდათ შეხვედროდნენ რანის ერისთავ ვარსქენსა და მის მეუღლე შუშანიკს. ჩემი აზრით, დედოფალი საგდუხტი უარყოფითად იყო განწყობილი ვარსქენისადმი, რომელმაც იკადრა და პირველი პირი გახდა საგდუხტის მამის – ბარზაბოდისა და ძმის – ვარაზ-ბაკურის საგამგებლოში და რანის ერისთავის ტიტულიც მიიღო. პარალელურად ვარსქენის ამ ქმედებამ ცხადყო, რომ ის სამოხელეო ტერიტორიითურთ, აღარ ექვემდებარებოდა ვახტანგ გორგასალს და პიტიახში მოგვევლინა, როგორც ვახტანგ მეფის ზემდგომი პირი. ვარსქენი რანის ერისთავის თანამდებობაზე დანიშვნით არაფერს კარგავდა. პირიქით, ეს იყო ირანისადმი სეპარატისტულად განწყობილ ვახტანგ მეფეზე ზემოქმედების ახალი ბერკეტი, რომელსაც ირანი, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებლად გამოიყენებდა. ყოველივე ეს ცვლილება იერარქიაზე ამგვარად უნდა ასახულიყო: ირანის სამეფო კარი, რანის საერისთავო და ქართლის სამეფო კარი.

თავად ვახტანგ გორგასალი გაჰყვა ირანის შაჰს პეროზს "ჰინდოთა, სინდელთა, აბაშთა და ჯორჯანთა ზედა" [1: 187] საბრძოლველად. ჰინდოთა – ჩრდილო ინდოეთში არსებული მცირე ქუშანთა სახელმწიფო გახლდათ. "ჯორჯანეთი, "ჰინდოეთი" და "სინდეთი" V საუკუნეში ირანის მოსაზღვრე ქვეყნები იყო. ამ ქვეყნებში იმ ხანად ჰუნები ბატონობდნენ" [3: 177].

"ჯუანშერის მიერ დასახელებული აბაშნი ჰუნი ქუშანები არიან, აბაშეთი კი ადრე ქუშანთა იმპერიაში შემავალი სისტანის ტერიტორიაზე წარმოქმნილი "მცირე ქუშანთა სახელმწიფოა" [3: 180]. იმას, რომ განხილული მოვლენები ნამდვილად 460 წელს მიმდინარეობდა, ადასტურებს დავით კაციტაძეც. "460 წ. პეროზმა ომი დაიწყო ჰეფტალიტი ჰუნების წინააღმდეგ. ამ ომში ირანის მხარეს ვახტანგ გორგასალიც მონაწილეობდა. ეს ომი 468 წ. დამთავრდა" [6: 32-33].

როგორც უკვე აღვნიშნე, 460 წელს ირანი ჰეფტალიტი ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა. თავდაპირველად, ირანს ჯარების საყოველთაო მობილიზაცია არ გამოუცხადებია, ალბათ ამით აიხსნება ის, რომ ვარსქენ პიტიახში არ იყო გაწვეული და არ მონაწილეობდა ამ ომში.

არმაზციხის ნანგრევები

თავი V

1. პოლიტიკური ვითარება ქვემო ქართლში

ვარსქენ პიტიახში, როგორც უკვე აღვნიშნე, 456 წელს ირანის ხელისუფლებამ რანის ერისთავის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. 460 წლისთვის ვარსქენმა ირანელთა მხარდაჭერითა და ძალისხმევით მთელი ქვემო ქართლი უშუალოდ რანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გააერთიანა. იაკობ ხუცესის ნაწარმოებიდან ჩანს, რომ რანის ადმინისტრაციული ერთეულის დედაქალაქი გადატანილი იყო ბარდავიდან ცურტავში. სავარაუდოა, რომ დედაქალაქის გადატანით დაინტერესებული გახლდათ როგორც ვარსქენი ისე, ირანის სამეფო კარი. რანის დედაქალაქად ცურტავის აღიარების შემთხვევაში, ირანი ხომ უფრო ახლოს იქნებოდა ქართლთან და უფრო აქტიურად ჩაერეოდა ქართლის პოლიტიკური მართვის პროცესში. ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ირანის შეიარაღებულ ძალებთან ერთად იბრძოდა ირანის გასაძლიერებლად და ამისთვის არც საკუთარ თავს ზოგავდა და არც მებრძოლებს. ირანის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა ვახტანგის ამგვარი ვიზუალური მორჩილება, უფრო მეტს ითხოვდა. თუმცა, ამავე დროს ირანის სამეფო კარს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ვახტანგის შინაგანი მრწამსი – "არა მიქმნია მოსვლა ამას ქუეყანასა დიდებისათჳს, <u>არცა მსახურებისათვის სპარსთა მეფისა,</u> არამედ მსახურებისათჳს ღმრთისა დაუსაბამოსა, სამებასა ერთარსებისა, დამბადებლისა ყოველთასა, დიდებისათჳს მერმისა საუკუნოსა დაუსრულებელისა" [1: 192] (ხაზგასმა ჩემია. ვ.ღ.). ამიტომ ირანი მეფე ვახტანგს სამეფოშივე უქმნიდა გარკვეულ პრობლემებს. ამდენად, რანის დედაქალაქის ბარდავიდან ცურტავში გადატანა ძირითადად ირანის პოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. 466-467 წლებში ეს უკვე აღსრულებულ ფაქტად ფიქსირდება. აქ გახლდათ მმართველობითი ორგანოსათვის შესაფერისი შენობა-ნაგებობანი, სასახლე ("პალატი"), აქვე იყვნენ მსახურებიც. "ჩანს, პიტიახშს აქვს თავისი ტაძარიც ("მოვიდა მგელი იგი ტაძრად", შუშანიკი "ძალით წარიყვანეს ტაძრად"), იგია საეპისკოპოსო ცენტრიც, საეპისკოპოსო ეკლესიით. ცურტავში ვარსქენს ჰყავს სასახლის კარის ეპისკოპოსიც – "ეპისკოპოსი სახლისა თვისისაჲ" [26: 228]. ცურტავს მდინარის პირას ძლიერი დამცველი ციხე იცავს; ციხესთან მისასვლელად საჭირო იყო ხიდის გავლა. ვარსქენის ბრძანებით შუშანიკი წაიყვანეს ციხეში, რომელშიც "პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო, მცირე და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი" [27. 84]. ბატონ ლ. ჭილაშვილის დაკვირვებით, შუშანიკის წამებაში "აღნიშნული "დაბა" ეხება ცურტავის ერთ დასახლებულ ნაწილს (დაბა-ქალაქს), თვით ცურტავი კი ნამდვილად ქალაქია" [27: 84].

"შუშანიკის წამებიდან" ირკვევა, რომ ცურტავში იყვნენ ირანის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ცდილობდნენ პროცესების მართვას – "კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილითა იტყოდა: ესევითარი სახლი მშვიდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!

ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკვითი იგი ზრახვაჲ და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ" [26: 227].

უფრო მეტიც, ვარსქენი მოქმედებდა ირანელი მოხელეების მითითებით, რომელთაც ცურტავში უამრავი აგენტი ჰყავდათ. ბუნებრივია, აგენტები ყველა მიმდინარე მოვლენის საქმის კურსში იყვნენ. "მოვიდა ვარსქენ პიტიახში და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქვა:

– მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან და მე გეტყვი შენ: ნურას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს" [26: 227]. ცოტა ქვემოთ, მცველთან მოლაპარაკების შემდგომ, ნაცემ შუშანიკთან ფარულად შედის იაკობი. იაკობის ვითომდა უჩინარი შესვლა შუშანიკთან მომენტალურად ცნობილი ხდება პიტიახშისათვის, რაც იწვევს იაკობის გაკვირვებას. "ჩვენ-ღა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქვა

– იაკობ მანდა არს?

და მე ვარქვ, ვითარმედ

– რაჲ გინებს?

და მან მრქვა:

– უწესს პიტიახში.

და მე დამიკვირდა, თუ რაჲსა – მე მიწერს ამას ჟამსა" [26: 232].

დიდი მარხვის დაწყებისას შუშანიკი გადავიდა წმინდა ეკლესიის ახლოს მცირე სენაკში. "იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.

და ჰრქვა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ – ამათ წმიდათა მარხვათა ნურას ეტყვი მას" [26: 232].

ირანელი მოხელეები აქტიურად ერეოდნენ ვარსქენისა და შუშანიკის ურთიერთობაში. "მოვიდა სპარსი იგი და მხურვალედ ევედრებოდა მას (ვარსქენს. ვ.ღ.) რაჲთამცა საკჳრელთა (ბორკილი) მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკი" [26: 230]. ვარსქენი ასრულებდა სპარსი მოხელის მითითებას. ცურტავში იყვნენ მოგვებიც, რომლებიც ასევე ირანის სახელმწიფო იდეოლოგიას ახორციელებდნენ. იაკობის მიხედვით, "იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვი, "მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა" [26: 236]. იაკობ ცურტაველის მონაცემები თანხვედრილია ჯუანშერის მონაცემების. ჯუანშერი წერს, რანის ერისთავის ბარზაბოდის ბრძანებით, ქართლის ქალაქებში გამოგზავ-

ნილნი იყვნენ "ცეცხლის მსახურნი ქალაქსა თქვენსა და იყვნენ მუნა ეპისკოპოსნი მათ ზედა სჯულისა ჩუენისანი" [1: 144]. მოგვების ზემდგომნი იყვნენ მობედები და მობედან-მობედები. ფაქტიურად, ირანელებმა ვარსქენის საშუალებით, პოლიტიკურად მოწყვიტეს ქართლს ქვემო ქართლი და იქ საკუთარი მმართველობა დაამკვიდრეს.

2. ვარსქენი

ქვემო ქართლის საპიტიახშოში მიმდინარე პროცესებს ძირითადად ირანელი მოხელეები მართავდნენ.

ჩემი აზრით, ცურტავში ვარსქენის რეზიდენციასთან ახლოს, ირანის მოხელეთა წარმომადგენლობითი ცენტრი იყო, რომელიც თითქოსდა უჩინრად განაგებდა ქვემო ქართლის პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას. აქ აკონტროლებდნენ ვარსქენის ყველა მოქმედებასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რათა ირანის საწინააღმდეგო არანაირი ქმედება არ განხორციელებულიყო. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ მოხელეთა რჩევით მოახსნევინა შუშანიკისათვის ბორკილი ვარსქენმა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ვარსქენის ხელისუფლება ირანის მბრძანებელთა მიერ მართული, მარიონეტული ხელისუფლება იყო.

თუ პიტიახშის ხელისუფლებას განსხვავებული რაკურსით განვიხილავთ, ისმის კითხვა: შეეძლო კი ვარსქენს ყოფილიყო მარიონეტი? იაკობი ეუბნება შუშანიკს: "-მწარე გონებაჲ აქვს მას (ვარსქენს. ვ.ღ.). გვემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ" [26: 227].

შემდგომ "მოვიდა მგელი (ვარსქენი. ვ.ღ.) იგი ტაძრად" [26: 229].

"მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თჳსითა დასთრგუნვიდა მას (შუშანიკს ვ.ღ.). და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა და თვალი ერთი დაუბუშტა. და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოათრევდა. ვითარცა მხეცი მძვინვარეჲ ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შველად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი (ვარსქენის. ვ.ღ.) და იბრძოდეს, ვიდრემდის გვემა იგიცა. და კუბასტიცა თავს მისსა მოხეთქა. და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელთა მისთა. და ვითარცა მკვდარი იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქვეყანასა ზედა. და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოხრებლად სახელ სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერხთა მისთა" [26: 230]. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია. შუშანიკი თავისი ქმედებებით ვარსქენს არ აძლევდა საშუალებას შეესრულებინა სპარსეთის სამეფო კარისთვის აღთქმული დანაპირები. ვარსქენი შიშობდა, რომ ამის გამო დაკარგავ-

და პოლიტიკურ ძალაუფლებას. ჩემი აზრით, ვარსქენი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის მზად იყო ჩაედინა ყოველგვარი უკეთური საქციელი. იგი ამ ძალაუფლების მისთვის გადამცემის ჭეშმარიტი მარიონეტი გახლდათ.

იაკობ ხუცესი

მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ იაკობ ცურტაველი რეალისტი მწერალია [5: 35; 29:79...] დაინტერესებული მკითხველი იაკობ ცურტაველის ნაწარმოებში პოლიტიკური ვითარების ამსახველ რეალიებსაც აღმოაჩენს. ანუ, იმას, რომ საპიტიახშო, ჰერეთი და მთლიანად ქვემო ქართლი რანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გაერთიანებული იყო. კერძოდ, "ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს და წინამიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი... და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თვისი, ვითარცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვიან ცურტავი" [26: 225]. იაკობის ნაწარმოების ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ჰერეთი – თუ მთლიანად არა, ნაწილი მაინც ვარსქენის დაქვემდებარებაში გახლდათ (ამ ვერსიას იზიარებენ ივანე ჯავახიშვილი [33: 208-209], გ. მელიქიშვილი [34: 416]) – ***"ვითარცა მოიწია იგი (ვარსქენმა. ვ.ღ.) საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა".*** სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს თ. პაპუაშვილს, იგი წერს: "ჰერეთი საპიტიახშოს მოსაზღვრე ქვეყანა იყო" [35: 104]. შემდგომ გვთავაზობს ისტორიკოსთა ცნობებს IV საუკუნიდან VIII ს. ჩათვლით და გამოაქვს დასკვნა: "შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით, ჰერეთი ქვემო ქართლის საპიტიახშოს ფარგლებში ნაგულისხმევი არასოდეს არ ჩანს" [35: 105].

არ მიმაჩნია მართებულად ბატონ თ. პაპუაშვილის მსჯელობა, ლეონტი მროველის IV ს., VII ს. სომხური გეოგრაფიისა და VIII ს. – არჩილის მეფობის მონაცემთა განხილვა. ქვემო ქართლი და როგორც ჩანს, ჰერეთი (ან ჰერეთის ნაწილი) ირანმა ჩამოაჭრა ქართლს მეფე ვახტანგზე ზემოქმედების მიზნით. თუ ვახტანგ გორგასალი

პოლიტიკურ ორიენტაციას შეიცვლიდა და კვლავ პროირანულ კურსზე გადავიდოდა, მაშინ ირანი აღადგენდა ქართლის მთლიანობას, ანუ შეასრულებდა იმას, რაც შემდგომ მონღოლებმა გიორგი ბრწყინვალეს პერიოდში მოიმოქმედეს. აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმები ბატონ თ. პაპუაშვილის დასკვნას და მიმაჩნია, რომ იაკობ ცურტაველისა და ჯუანშერის მიხედვით, ჰერეთი (შესაძლოა, ჰერეთის ნაწილი) ვარსქენის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ქვემო ქართლისა და ჰერეთის ტერიტორიების მანიპულირებით, ქართლისათვის სხვადასხვა მიზეზით ტერიტორიების წართმევით, ირანის სამეფო კარი ცდილობდა ზეწოლას ვახტანგ გორგასალზე, სურდა ეიძულებინა ვახტანგ მეფე უარეყო ბიზანტიური პოლიტიკური კურსი და დაბრუნებოდა პროირანულ კურსს. ირანის ხელისუფალთა მიერ აღიარებული საზღვრის შესახებ მოგვითხრობს იაკობ ცურტაველი და ამას ნაწილობრივ ადასტურებს ჯუანშერი. აღსანიშნავია ისიც რომ, ირანელ ხელისუფალთა მიერ აღიარებულ საზღვარს ქართლის სამეფო კარი, როგორც ჩანს, არ ცნობდა. ვახტანგ მეფის მიერ უარყოფილი საზღვარი ქართლსა და ირანს შორის, ჯუანშერის მიხედვით, V საუკუნის 60-იანი წლებიდან ქალაქ რუსთავთან გადიოდა.

იაკობ ცურტაველი გადმოგვცემს, რომ წამებული შუშანიკის სანახავად მოდიოდნენ "მსგავსად მისივე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი" [26: 241]. როგორც ჩანს, რანის დედაქალაქ ცურტავში შესვლა ქვემო ქართლის დიდებულთათვის შეზღუდული არ იყო, რადგან ქვემო ქართლი ირანმა ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში – რანის საერისთავოში გააერთიანა.

3. შუშანიკი

როგორ წარმოაჩენს შუშანიკს იაკობ ცერტაველი?

ხუცესისა და დედოფლის ერთ-ერთი საუბრის დროს, "კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილითა იტყოდა:

– ესე ვითარი სახლი მშვიდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!

ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკვითი იგი ზრახვაჲ და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ" [26: 227].

ერთ-ერთი შეხვედრის დროს შუშანიკმა იაკობს აუწყა: "ხუცეს, მიუძღვანო სამკაული ესე მისი? ნუუკვე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეხმარების.

ხოლო მე ვარქვ:

– ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა" [26: 231-232].

შემდეგ – "წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკვდარი მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქვე ძეძვი დაეფინა. და თვით ფერხნი დაიდგნის ძეძვსა მას ზედა და კუბასტნი შუშანიკისნი და ხორცნი წვლილ-წვლილად დაებძარნეს ძეძვსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ, ბოროტებდა და იტყოდა:

– აჰა ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი..."...[26: 233].

იაკობი შუშანიკს წარმოგვიდგენს გონიერ, სულიერად ძლიერ პიროვნებად. უდავოა, ის მარიონეტი არ იყო. მაგრამ შუშანიკი ტრადიციების მიმდევარი, ქრისტიანული ღირებულებების ერთგული გახლდათ, რაც ქართლის სამეფო კარს დედოფლით მანიპულირების საშუალებას აძლევდა.

ნაწარმოებში ჩანს, რომ ცურტავი არ ექვემდებარებოდა ვახტანგ გორგასალს, რომ აქ უკვე სხვა რეალობაა და ეს სათაურშივე წარმოჩენილია – "წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ" [30: 133]. შემდგომ ტექსტშიც, შუშანიკი რამდენჯერმე მოიხსენიება დედოფლად. ანუ, სათაურში ჩანს, რომ შუშანიკი დედოფალია, თუმცა არ არის გამოკვეთილი – რომელი ქვეყნის. სავარაუდოა, რომ ეს ბუნდოვანება ანტონ კათოლიკოსს შეუნიშნავს და ნაწარმოების გადამუშავების შემდგომ "მარტირიკაში" ასეთი სახით წარმოუდგენია – "შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა წმიდისა დიდისა მოწამისა <u>რანთა დედოფლისა</u> სუსანნაჲსა, ზედწოდებით შუშანიკისა. ქმნილი ანტონისგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუჱლოჲსა დავითიან ბაგრატოვანისა" [29: 78] (ხაზგასმა ჩემია. ვ.ღ.). იაკობი ნაწარმოებში, ძირითადად მოიხსენიებს შუშანიკს დედოფლის სახელით: "შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩვენისა" [26: 225] "ღვაწლსა დიდსა შესვლად ხარ, დედოფალო! ეკრძალვე სარწმუნოებასა ქრისტეჲსსა" [26: 226]. მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია.

როგორც აღვნიშნეთ, ირანელები აკონტროლებდნენ ცურტავის ადმინისტრაციული მმართველობის თითქმის ყველა საფეხურს. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ შეძლეს შუშანიკის ქმედებების განსაზღვრა.

იაკობ ცურტაველის მიხედვით, როდესაც შუშანიკმა შეიტყო, რომ ვარსქენმა უარყო ქრისტიანობა და ცეცხლთაყანისმცემლობა მიიღო, პროტესტის ნიშნად სასახლიდან წავიდა – "აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა" [26: 226]. ლოცვის შემდგომ საღამო ხანს "სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობლად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა..." [26: 226]. შუშანიკის სასახლიდან წასვლის დროს, სასახლეში არ ყოფილან სასახლის ეპისკოპოსი აფოცი და დედოფლის მოძღვარი იაკობი. "ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელ-

სა სახელი ერქვა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისიმე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყვისა. და მეცა ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას" [26: 226]. როგორც ჩანს, იაკობი კარგად აცნობიერებდა დედოფალ შუშანიკის საქციელის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამიტომ ცდილობდა დაემტკიცებინა აფოც ეპისკოპოსისა და საკუთრივ მისი "უდანაშაულობა". ცურტაველი მკვეთრად განმარტავს, რომ სასახლის ეპისკოპოსი აფოცი და დედოფლის ხუცესი იაკობი დედოფლის სასახლიდან წასვლის დროს, ადგილზე არ იმყოფებოდნენ (შესაბამისად, არ შეიძლება დაბრალდეთ შუშანიკის წახალისება, რადგან ისინი ამ დროს მეტად პატივსაცემ პირთან იყვნენ – წმინდანთან "კითხვად რაჲსამე სიტყვისა" [26: 226]). ხოლო მას შემდეგ, რაც იაკობს დიაკონმა დედოფლის სასახლიდან წასვლისა და პიტიახშის ირანიდან დაბრუნების შესახებ შეატყობინა, ეპისკოპოსი და მღვდელი სასწრაფოდ დაბრუნდნენ ცურტავში. "ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდი მის თანავე და ვარქვე ნეტარსა შუშანიკსა.

– ღუაწლსა (ომსა) დიდსა შესვლად ხარ, დედოფალო! ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტეჲსასა, ნუუკვე (თორემ) მტერთან ვითარცა სრსვილმან საძოვარი პოოს შენ თანა" [26: 226]. იაკობი ცდილობდა გაერკვია, იყო თუ არა დედოფალი შინაგანად მზად წინააღმდეგობა გაეწია მეუღლისთვის, არ ედალატა ქრისტიანული სარწმუნოებისთვის და არ მიეღო ცეცხლთაყვანისმცემლობა. შუშანიკისაგან დამაკმაყოფილებელი პასუხის – "ხუცეს, და მეცა დიდ ღვაწლსა (ომსა) განმზადებული ვარ" [26: 226] მიღების შემდეგ იაკობმა გაამხნევა დედოფალი: – "ეგრეთ არს, მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ" [26: 226].

ტექსტის კითხვის დროს იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იაკობმა დაკითხა შუშანიკი, რათა გაერკვია სასახლიდან წამოსვლის გადაწყვეტილება თავად მიიღო დედოფალმა, თუ ვინმემ შეაგულიანა. შუშანიკის პასუხმა იაკობი დაარწმუნა, რომ დედოფალი განმზადებული იყო ტანჯვისთვის და არავის გაცემას (პიროვნების დასახელებას) არ აპირებდა. ამის შემდეგ ხუცესმა თითქოს შეამზადა შუშანიკი – "მწარე გონებაჲ აქვს მას (ვარსქენს. ვ.ღ.) გვემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ.

ხოლო მან მრქვა მე:

– უმჯობეჲს არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ" [26: 227].

მიუხედავად იმისა, რომ შუშანიკი არ ამბობდა, თუ ვინ პროვოცირებდა მის დაუმორჩილებლობას ქმრისადმი, ეს მაინც ცხადია. ამიტომ ვარსქენმა დაბრუნებიდან მეორე დღეს იხმო სასახლის სასულიერო პირები "და ხვალისა დღე ვითარ აღდგა პიტიახში, გვიწოდა ჩვენ, ხუცესთა, და მივედით" [26: 227].

ვარსქენმა დაავალა მათ, გავლენა მოეხდინათ შუშანიკის ცნობიერებაზე და როგორმე დაებრუნებინათ დედოფალი სასახლეში. სასულიერო პირებმა კი ვარსქე-

ნისთვის შუშანიკის მკვახე პასუხის გადაცემით, უფრო მეტად დაამძიმეს ისედაც დაძაბული ვითარება.

"მამამან შენმან აღჰმართა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყვნენ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმინდანი შემოიხვია სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ. მან ღმერთი ცათაჲ და ქვეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხგყავ. და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა" [26: 228].

შუშანიკი, წამების მთელ შემდგომ პერიოდში, საეკლესიო პირთაგან აქტიურ მხარდაჭერას გრძნობდა. "ხოლო მე მცირედ ვაიძულე (შუშანიკი. ვ.ღ.) მიღებად ჭამად, რომელი მოეძღვნა სამოელ ეპისკოპოსს და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღვწოდეს და ნუგეშინის სცემდეს" [26: 231].

როგორც უკვე აღვნიშნე, ვარსქენმა იცოდა, ვინ აგულიანებდა მის მეუღლეს. "აღდგა (ვარსქენი. ვ.ღ.) და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფუცს:

– გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან. და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქვა მას:

– უფალო, რაჲსა ეგრე იქმ და იტყვი ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი?

ხოლო მან უხეთქნა კვერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყვად" [26: 232-233] (ხაზგასმა ჩემია. ვ.ღ.).

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

დედოფალი შუშანიკი

შემდგომ "დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქვა, თუ – "მტკიცედ დეგ!" და თვალი ჰკიდა პიტიახშმან, სხვაჲ ვერდარაჲ სცალდა სიტყვად, ესთენ ოდენ ჰრქვა – მტკი... – და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით" [26: 233].

ეკლესიის მსახურთა მიერ შუშანიკის მხარდაჭერა გასცდა სასახლისა და ეკლესიის ფარგლებს და სახალხო უკმაყოფილებაში გადაიზარდა. "მოვიდოდა წმიდისა მის <u>თანა ამბოხი</u> მრავალი დედებისა და მამებისაჲ სიმრავლეჲ ურიცხვი... ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი <u>იგი და ტირილი</u> მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, <u>მხედრ მიმოდასდევნილ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა"</u> [26: 233-234] (ხაზგასმა ჩემია. ვ.ღ.). ვარსქენმა შეძლო ამბოხის ჩაქრობა.

იაკობმა მოქრთამა შუშანიკის მცველი, რათა როგორმე შეეღწია დედოფალთან "და ძლიად თავს იდვა შეტევებაჲ ჩემი და მრქვა მე:

– რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ

და ვითარ შემიყვანა მცველმან მან და ვიხილე...

ხოლო მე ვიწყე სიტყვა და განმტკიცებად მისა.

რაოდენი ღმერთმან მომცა მე სიტყვად" [26: 235].

მსგავსი ფაქტების ციტირება კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია.

შუშანიკის მხარდაჭერა იყო პროტესტი ირანული ორიენტაციის მმართველთა (ვარსქენისა და მისი მხარდამჭერების) წინააღმდეგ. ეს გახლდათ ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევის შეჩერების მცდელობა. ჩემი აზრით, ამ პროტესტის ინიციატორი ქართლის სამეფო კარი იყო. საეკლესიო მსახურნი ასრულებდნენ ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებლობის გადარჩენის სახელმწიფოებრივ მისიას. შუშანიკმა თავისი პროტესტით შეაჩერა ვარსქენი. შესაბამისად, არ მისცა საშუალება ირანის სამეფო კარის წარმომადგენლებს ქვემო ქართლში ანტიქართული სახელმწიფოებრივი ქმედებები განეხორციელებინათ.

"რასაკვირველია, ვარსქენ-შუშანიკის კონფლიქტში არც პირადული მხარეა მთლად გამოსათიში. ვარსქენის მიერ სჯულიერი ცოლის, შუშანიკის გვერდით მაზდეანური წესით მეორე ცოლის მოყვანა, შუშანიკის ოჯახიდან წასვლა და ამით ვარსქენის შეურაცხყოფა, დაძაბულ პოლიტიკურ-რელიგიურ სიტუაციასთან ერთად ქმნიდა უაღრესად რთულ მდგომარეობას" [5: 6].

შუშანიკის ამ პროტესტისთვის მზადებას, შემდგომ დედოფლის განმტკიცებასა და მხარდაჭერას ხელმძღვანელობდა იაკობი, რომელსაც, სავარაუდოდ, ქართლის სამეფო კარი აწვდიდა შესაბამის მითითებებს. ქართლის სამღვდელოების წარმომადგენლები, ირანის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ამ შემთხვევაში, საპიტიახშოს ფარგლებში, მოქმედებდნენ ქართლის სამეფო კარის ინტერესების შესაბამისად. ამავე დროს ფაქტობრივად ემორჩილებოდნენ ვარსქენ პიტიახშის ხელისუფლებას. ამდენად,

ქართლის სამღვდელოების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ რა ორმაგ დაქვემდებარებაში, თავიანთი პირდაპირი მოვალეობების პარალელურად ასრულებდნენ, როგორც ქართლის სამეფო კარის, ისე პიტიახშის საკმაოდ რთულ დავალებებს.

ამ ვარაუდის საფუძველი გახლავთ, როგორც "შუშანიკის წამების" ტექსტი ისე, შემდგომ განვითარებული მოვლენები. კერძოდ, ვახტანგ გორგასლის მიერ ვარსქენის მოკვლისთანავე, შუშანიკის პატივით გადმოსვენება ცურტავში. "გუამი წმიდისა შუშანიკისი წარმოიღეს დიდითა პატივითა, და დაფლეს ცურტავს" [1: 216]. ამის დასტურია ცურტავის ეპარქიის ეპისკოპოსად იაკობის დანიშვნა. "506 წლის დვინის კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა რიცხვში აღნიშნულია ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი" [36: 115].

შუშანიკის წამებაში აღწერილი მოვლენების ქრონოლოგიას გვთავაზობს აკად. კ.კეკელიძე – "ვარსქენი სპარსეთს წასულა პეროზის მერვე, ე.ი. 467 წელს, მობრუნებულა იქიდან, უნდა ვიფიქროთ, 468 წლის უკანასკნელ თვეებში და აპნისის ან იანვრის რვას პირველად უწამებია შუშანიკი. მეორედ უტანჯნია "შემდგომად აღვსებისა ზატიკსა, დღესა ოთხშაბათსა", ესე იგი 469 წლის აღდგომის ორშაბათს, 14 აპრილს (ვინაიდან 469 წელს აღდგომა 13 აპრილს მოდიოდა) და ციხეში ჩაუსვამს ის. ციხეში შუშანიკმა დაყო ექვსი სრული წელიწადი (469 წლის 14 აპრილიდან 475 წლის 14 აპრილამდე). ამ ხნის განმავლობაში ის დასნეულდა და, "ვითარცა მეშჯდე წელი დადგებოდა", ესე იგი იმავე 475 წლის "სთულის" თვის ჩვიდმეტს გარდაიცვალა კიდეც" [36: 118], ანუ 475 წლის ოქტომბრის 17-ს. პარასკევ დღეს. (იქვე). "შუშანიკის მარტვილობა იაკობ ცურტაველის მიერ დაწერილი უნდა იყოს 476-483 წლებში" [36: 118-119].

იაკობ ხუცესის მიერ აღწერილი ქვემო ქართლის საპიტიახშოში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ 70-იანი წლების დასაწყისიდან ირანის ხელისუფლება აქტიურად იღვწოდა ქართული სახელმწიფოს რღვევა-დაშლისთვის. სამწუხაროდ, ქართლის სამეფო კარი ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით, ქვემო ქართლში ირანის იმპერიას უმნიშვნელო წინააღმდეგობას უწევდა ეკლესიის საშუალებით. აქ მხოლოდ ეკლესია-მონასტრების ტერიტორიებზე ვრცელდებოდა ქართლის სამეფოს იურისდიქცია. შესაბამისად, ვახტანგი სასულიერო პირთა ხელშეწყობით ახორციელებდა ქართლის სამეფო კარის კანონიერ ქმედებებს (განხეთქილება ვარსქენ პიტიახშის ოჯახში, შუშანიკის თითქმის ყოველდღიური გამხნევება). მაგრამ ეს მხოლოდ დროებით აფერხებდა ქართული სახელმწიფოს რღვევის პროცესს.

ჩემი აზრით, 468 წლის ბოლოს, ეპისკოპოს სამოელის მცხეთიდან ცურტავში გადაყვანა, ვახტანგ გორგასლის ხელისუფლების მომხრე სამღვდელოების პოზიციების გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

თავი VI

1. ირანული პოლიტიკური ორიენტაციის უარყოფა

460-468 წლებში ირანის სახელმწიფო ჰეფტალიტი ჰუნების წინააღმდეგ იბრძოდა. ამ ომში, ვახტანგ გორგასალი თავისი სამხედრო ძალებით, ირანის შეიარაღებულ შენაერთში გახლდათ გაერთიანებული [6: 32-33]. ვახტანგ მეფის შეიარაღებული ძალები 90 ათასი რჩეული ჯარისკაცით განისაზღვრებოდა, რომელთა შორის 30 ათასი მეომარი ბერძენი იყო. მათ ლეონ ანთიპატი ხელმძღვანელობდა. ჰეფტალიტ ჰუნებთან საბრძოლო ოპერაციების დასრულების შემდეგ ვახტანგ მეფე თავის სამხედრო ძალებთან ერთად სამშობლოსაკენ გაემართა. მან გაიარა ბიზანტიის ქალაქ ურაჰაში, სადაც დედა – საგდუხტი და, და – ხურანძე ელოდებოდნენ. სავარაუდოა, რომ ირანის შეიარაღებული ძალების შენაერთში ყოფნის დროს, ვახტანგ გორგასალი გარკვეულ ზეწოლას განიცდიდა, როგორც ირანის ხელისუფალთა მხრიდან ისე, ბიზანტიელთაგან. უაღრესად რთული პოლიტიკური გამოწვევების მიუხედავად ვახტანგ გორგასალი ახერხებდა 460 წლიდან – 468 წლამდე ბიზანტიისა და ირანის ინტერესების ერთგვარ დაბალანსებას. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ვახტანგ მეფის გარშემო შემოკრებილნი იყვნენ ირანული პოლიტიკური ორიენტაციის ქართველი და არაქართველი პოლიტიკოსები, რომელნიც ქართლის მომავალს ირანთან მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირში მოიაზრებდნენ.

ამ, პროირანული ორიენტაციის ჯგუფს, ჩემი აზრით, აუცილებლად შესწავლილ-განხილული ექნებოდა ქართლის მეზობელ სომხეთში მიმდინარე პროცესები.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე წერს: "არსენი საფარელი კარგად აღწერს სომხური ეკლესიისა და სპარსელების ურთიერთობას V საუკუნეში – "სპარსეთმა სომხეთი დაიპყრო. მაშინ გამოძებნეს ღონე სომხებმა, შეუთანხმდნენ სპარსეთს, რომ მისი მოხარკე გახდებოდნენ, დაარწმუნეს სპარსთა მეფე დიდი ფიცით და თავისდებით, რომ კავშირს გაწყვეტდნენ ბერძნებთან და შეუერთდებოდნენ მათ. ძლიერ გაიხარა სპარსთა მეფემ და სომხებს სომხეთი დაუბრუნა საჩუქრებთან ერთად. რამდენიმე ხანს სომხები მშვიდობით ცხოვრობდნენ მართალი სარწმუნოებით, ანუ ბერძნული რჯულით" [37: 318]. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიხედვით, ეს შეთანხმება მოხდა "სომხეთის კათალიკოს საჰაკის (397-448) დროს. საჰაკი 51 წელი კათალიკოსობდა, მის დროს ეკლესიასა და ერში სიმშვიდე იყო. ეს იყო სომხეთის "ოქროს საუკუნე" [37: 318].

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ქართლის მმართველი ელიტა გააგრძელებდა ირანთან ახლო პოლიტიკურ კავშირს და დაარწმუნებდა ირანის ხელისუფლებას "დიდი ფიცითა და თავისდებით", რომ კავშირს გაწყვეტდნენ ბერძნებთან და შეუერთდებოდნენ

სპარსეთს, სპარსთა მეფე ქართლელებს დაუბრუნებდა ქართლს და ქართლელები მშვიდობით იცხოვრებდნენ "მართალი სარწმუნოებით, ანუ ბერძნული რჯულით" [37: 318].

არსენ საფარელის სიტყვების პერიფრაზის შედეგად ვიღებთ: V ს. მეორე ნახევარში, სომხებისგან განსხვავებით, ქართლელებმა საკუთარი ძალებით ვერ შეძლეს შეთანხმებოდნენ სპარსეთის ხელმძღვანელობას, ვერ დაარწმუნეს სპარსთა მეფე "დიდი ფიცითა და თავისდებით", რომ მისი მოხარკენი გახდებოდნენ, რომ გაწყვეტდნენ ბერძნებთან კავშირს და სპარსელებს შეუერთდებოდნენ. ანუ, ვახტანგ გორგასალმა ვერ გაახარა სპარსთა მეფე, შესაბამისად, სპარსთა მეფემ საჩუქრებთან ერთად ქართლელებს ქართლი არ დაუბრუნა. ანუ, ქართლელებმა ვერ მოიძიეს შინაგანი ძალა, ვერ შეძლეს ის, რაც შეძლეს სომხებმა, რასაც შედეგად ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა, მოგვიანებით კი (VI ს. 30-იან წლებში) სრული გაუქმება მოჰყვა. ***შედარებისათვის:*** ის, რაც ვერ განახორციელეს ქართლელებმა ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, დროებით აღასრულეს გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს. გიორგი ბრწყინვალეს პერიოდში, დაახლოებით 1329 წელს, ქართლის სამეფო კარმა შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და უარყო ჩრდილოური სახელმწიფოებრივი ხედვა, კვლავ სამხრეთულ საგარეო ორიენტაციას დაუბრუნდა და ამით გააერთიანა ქართლი, ოფიციოზის განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პირები კი ფიზიკურად გაანადგურეს (ცივის მთაზე).

ცხადია, ქართლელებს, ბერძნული პოლიტიკური ორიენტაცია რომ შეეცვალათ, სპარსელებისთვის დიდი ფიცის დადება არ დასჭირდებოდათ. "სპარსთა მეფე აძლევდა ვახტანგს ცოლად "თჳსთაგან მეფეთასა. ხოლო ვახტანგ რქუა: "არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მივის მე ცოლი ასული კეისრისა" [1: 196]. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ირანის სამეფო კარს არ ესიამოვნებოდა ვახტანგ მეფის მიერ მისი წინადადების უარყოფა, სწორედ ამიტომ წერს ჯუანშერი: "დაუმძიმდა ესე მეფესა ხუასროს, არამედ ვერა რქუა" [1: 196]. ასევე ბუნებრივია ვარაუდი იმისა, რომ ქართლელების ამ უარყოფას ირანი მშვიდად არ შეხვდებოდა, რადგან ირანის სამეფო სახლის ნათესავზე ქართლის მეფის დაქორწინება ქართლისა და ირანის მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს მოიაზრებდა. ამ ქორწინებაზე უარის თქმა კი ქართლის სამეფო სახლის მიერ ირანთან პოლიტიკური კავშირის უარყოფად აღიქმებოდა. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ვახტანგი თანახმა იყო დაქორწინებულიყო ირანის მოწინააღმდეგე სახელმწიფოს – ბიზანტიის კეისრის ასულზე. ე.ი. ქართლის სამეფო კარი კვლავ უარყოფდა ირანთან კავშირს – პროირანულ კურსს და სურდა პრობიზანტიური კურსის გაგრძელება. ცხადია, ქართლის ხელისუფალთა მიერ ანტიირანული ქმედებების განხორციელებას ირანის ხელისუფლება მშვიდად ვერ შეხვდებოდა და ვახტანგ მეფეს თავის სამეფოშივე შეუქმნიდა ახალ-ახალ პოლიტიკურ სირთულეებს.

პეროზ შაჰის მონეტა

2. მჭიდრო კავშირი ბიზანტიასთან

ვახტანგ მეფე ბიზანტიის საიმპერატორო კარისა და მის გარემოცვაში მყოფ ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის იმ ქართველი დიდებულების ზეწოლას განიცდიდა, რომელთაც ბიზანტიასთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის გარეშე ქართლის არსებობა ვერ წარმოედგინათ.

ვახტანგს ექვემდებარებოდნენ ბერძენი სამხედროები, ლეონ ანთიპატის ხელმძღვანელობით. ლეონ ანთიპატს კი დიდი გავლენა ჰქონდა ქართლის მეფეზე. როგორც აღვნიშნე, 468 წელს ვახტანგ გორგასალი სამშობლოსკენ გაემართა. მიუახლოვდა თუ არა მეფე სომხეთის საზღვარს, ლეონმა დატოვა ვახტანგის ბანაკი "და წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშატად. ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა, და პეტრესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა" [1: 196]. ლეონ ანთიპოტს არ სურდა, რომ მეფე ვახტანგს მოციქული მისი თანდასწრებით გაეგზავნა კონსტანტინეპოლში. როგორც ჩანს, არც ბიზანტიის სამეფო კარს და, შესაბამისად, არც ლეონს, არ უნდოდათ გამოაშკარავებულიყო მათი ქმედება – პოლიტიკურ-იდეოლოგიური ზეწოლა მეფე ვახტანგ გორგასალზე. ამიტომ ისე იმოქმედეს, რომ გორგასალმა მოციქული მაშინ გაგზავნა, როდესაც ბიზანტიის სამეფო კარის წარმომადგენელი მეფე ვახტანგთან აღარ იმყოფებოდა. ამით ბიზანტიელებმა ერთგვარად თავი დაიზღვიეს, რათა შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ ქართლის მეფემ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო.

როგორც აღვნიშნე, 456 წელს ქ. პონტოსათვის სამთვიანი ბრძოლების დროს მეფე ვახტანგი, პეტრე მღვდელი და მონაზონი სამოელი ერთმანეთს შეხვდნენ. მაშინ პეტრე მღვდელი და მონაზონი სამოელი ბიზანტიის სამეფო კარის დავალებას ასრულებდნენ. მათ მოახერხეს ირანის სამხედრო ძალების განხეთქილების პროვოცირება

და ირანის სამხედრო დაჯგუფებიდან ქართველთა შენაერთის გამოყოფა, რის შედეგადაც დასუსტებული ირანის სამხედრო დაჯგუფება ბიზანტიის ჯარმა გაანადგურა. ფაქტიურად, პეტრე მღვდლისა და მონაზონ სამოელის განსაკუთრებული უნარების წყალობით (მეფემ იხილა ჩვენება, ზეციური გამოცხადება), ვახტანგ მეფემ პროსპარსული პოლიტიკური ორიენტაცია უკუაგდო და ბიზანტიურ პოლიტიკურ ორიენტაციაზე მოიქცა. ბიზანტიის სამეფო კარს სურდა საკუთარი წარმომადგენელი ჰყოლოდა ქართლის სამეფო კარზე, რომელიც ყველაფერს იღონებდა, რათა ქართლის ხელისუფლებას აღარ შეეცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და ქართლს არ ებრძოლა სპარსელების მხარდამხარ ბიზანტიის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში.

3. საეკლესიო ცვლილებები

ბიზანტიის სამეფო კარი, ვახტანგ გორგასლის გარემოცვაში საკუთარ წარმომადგენლად, როგორც ჩანს, პეტრე მღვდელს (კათოლიკოსის რანგში და სამოელ მონაზონს ეპისკოპოსის რანგში) მოიაზრებდა. ***გავიხსენოთ:*** ქართლის სამეფოს სახელმწიფო საბჭო აანალიზებდა და წყვეტდა სამეფოს წინაშე წამოჭრილ მნიშვნელოვან პრობლემებს. მაგალითად, ქართლის სამეფო საბჭომ განიხილა ოსებზე საპასუხო თავდასხმის საკითხი. ამ საბჭოზე ეპისკოპოსი მიქაელი წარმოდგენილი იყო მეფის შემდგომ პირველი პირის, სპასპეტის თანასწორად. "ჯუანშერ სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსი დასხდეს საყდართავე" [1: 147]. "ორივე ეპისკოპოსში" იგულისხმება ქრისტიანული ეკლესიის ეპისკოპოსი მიქაელი და სპარსეთის სახელმწიფო რელიგიის – ცეცხლთაყვანისმცემლობის მიმდევართა ეპისკოპოსი ბინქარან.

ბიზანტიის სამეფო კარი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული იმით, რომ ქართლში ყოფილიყვნენ ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის, განსაკუთრებული ღვთიური უნარით, ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები, რომელთათვისაც ხელმისაწვდომი იქნებოდა მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო კათედრები და რომელთა ნებაც განაპირობებდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღება- არმიღების საკითხებს. ბიზანტიის სამეფო კარს სურდა, ვახტანგ მეფეს მოეთხოვა მთავარეპისკოპოსად – კათოლიკოსად პეტრე, ეპისკოპოსად კი სამოელი.

ვახტანგ მეფემ, როგორც ჩანს, კარგად იცოდა, რომ საეკლესიო ცვლილებები გარკვეულ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, რომ ახალგაზრდა, მზარდი საეკლესიო მიწათმფლობელნი წინააღმდეგობის გარეშე არ დათმობდნენ უკვე მოპოვებულ პრივილეგიებს და ამიტომ, პირველი რეფორმების გატარებას ჩქარობდა. ანუ, სურდა ეს რეფორმები განეხორციელებინა მანამ, სანამ ჯარს დაშლიდა. ამავე დროს

ვახტანგ მეფე მთავარეპისკოპოს მიქაელთან მიმართებაში გრძნობდა გარკვეულ უხერხულობას. მიქაელ ეპისკოპოსს დიდი ღვაწლი მიუძღოდა ვახტანგის აღზრდის საქმეში, ამიტომ სავარაუდოა, რომ მეფეს, გამომდინარე ადამიანური პოზიციებიდან, მიქაელ ეპისკოპოსის განაწყენება არ სურდა, მაგრამ ვახტანგ მეფისთვის სახელმწიფოებრივი ინტერესები ზეაღმატებული გახლდათ, როდესაც საქმე ქვეყნის კეთილდღეობას ეხებოდა ის არასდროს ემორჩილებოდა პირად გრძნობებს. ბერძნულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე "მოქცეული" მეფე იძულებული შეიქნა ეზრუნა ისეთი პიროვნება ეკურთხებინათ მთავარეპისკოპოსად, რომელიც გაუადვილებდა ბიზანტიის სამეფო კართან ურთიერთობას და რომლის მღვდელთმთავრობაც სასურველი იქნებოდა ბიზანტიის სამეფო კარისთვის. ვახტანგ გორგასალი დაინტერესებული გახლდათ ბიზანტიასთან ურთიერთობით. ეს ინტერესი პოლიტიკურად იყო მოტივირებული. არ შეიძლება ქართლის მეფეზე დიდი გავლენა არ მოეხდინა ჰეფტალიტი ჰუნების მიერ ირანის დამარცხებას, პეროზ შაჰის ტყვედ ჩაგდებასა და ბიზანტიის იმპერატორის დახმარებას ირანისათვის – პეროზ შაჰის ტყვეობიდან გამოხსნის საქმეში [6: 33]. "ბიზანტია ჰეფტალიტებს ბევრად უფრო საშიშ ძალად მიიჩნევდა" [41: 66], ვიდრე ირანს, სწორედ ამიტომ გამოისყიდა პეროზი ბიზანტიამ, პეროზს უნდა გაეგრძელებინა წინააღმდეგობის გაწევა ჰეფტალიტებისთვის.

ქართლის საზღვარზე მეფე ვახტანგს მიეგებნენ: "ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი, და მათ თანა ეპისკოპოსნი. და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან, ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა. და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად და მიუვლინა მეფესა და რქუა, ვითარმედ "შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ". ხოლო ვახტანგ მოუვლინა, ვითარმედ: "ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმართლით გამოვედ ძალითავე ქრისტესითა, და უბრალო ვარ, ღმერთმან იცის! მაგრა წარმივლენია მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა" [1: 196]. ეპისკოპოსის ბრალდება – "შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ," აშკარად უსაფუძვლოა. ვახტანგს რომ უარეყო ქრისტიანობა და ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღო, ქრისტეს სჯულის მიმდევარი ეპისკოპოსები საზღვართან არ შეეგებოდნენ. ***გავიხსენოთ:*** როდესაც გამაზდეანებული ვარსქენი ირანიდან დაბრუნდა – "ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, ქვეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო რადთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი" [26: 225]. მღვდელთმსახურები ვარსქენმა მხოლოდ მეორე დღეს მიიწვია. "და ხვალისა დღე ვითარ აღდგა პიტიახში, გვიწოდა ჩვენ, ხუცესთა, და მივედით" [26: 227] მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსმა გაიგო, რომ გორგასალი მის გადაყენებას აპირებდა დააბრალა მეფეს, რომ მან ქრისტიანობა უარყო – "და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა დაუმძიმდა მას ზედა" [1: 196]. ვახტანგის მიერ უარყოფილმა

მთავარეპისკოპოსმა მეფის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება დაიწყო. ქართლის სამღვდელოებასა და მრევლში უკმაყოფილების ტალღა აზვირთდა – "იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად" [1: 196]. ვახტანგის სამეფო ხელისუფლებისადმი პროტესტის გაღვივებას ხალხში, მრევლში სამღვდელოება პროვოცირებდა მიქაელ ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით. მეფე ვახტანგის გასამტყუნებლად სასწრაფოდ გამოიძებნა მიზეზი – "შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ". ამ გამაოგნებელ ბრალდებას გორგასალმა უპასუხა – მიუხედავად იმისა, რომ ის ირანის ჯართან ერთად იბრძოდა – "ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმართლით გამოვედ ძალითავე ქრისტესითა, და უბრალო ვარ, ღმერთმან იცის" [1: 196].

ქართლის ქრისტიანული სამღვდელოება, როგორც ჩანს, მოუმზადებელი შეხვდა მოსალოდნელ ცვლილებებს. მიქაელ ეპისკოპოსის ავტორიტეტი ქართლის სამეფო კარზე და სამღვდელოებაში ძალიან მაღალი იყო, ოფიციალურ წრეებში მას ჭეშმარიტ მორწმუნედ, ჭეშმარიტ მღვდლად მოიხსენიებდნენ. "მაშინ მოიყვანა მღვდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ, და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა" [1:145]. როგორც აღვნიშნე, მიქაელის ავტორიტეტს ისიც ამაღლებდა, რომ იგი ფაქტიურად მეფე ვახტანგის გამზრდელი გახლდათ "ვახტანგი იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა" [1: 146].

მიქაელ ეპისკოპოსის დროს ქართლის ეკლესია იერარქიულად დამოუკიდებელი გახლდათ. მიქაელი ქართლში აკურთხეს ეპისკოპოსად და ის ქართლშივე ჩამოყალიბდა ავტოკეფალური ეკლესიის დამოუკიდებელ წინამძღოლად. ბიზანტიას კი ქართლში სჭირდებოდა თავისი საიმპერატორო კარის მორჩილი მღვდელთმთავარი, რომელიც ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაიცავდა და განახორციელებდა. მიქაელ ეპისკოპოსი კი ამ მისიის აღმსრულებელი ვერასდროს გახდებოდა. ამიტომ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე არ განიხილებოდა მიქაელის კანდიდატურა ქართლის კათოლიკოსის რანგში ასაყვანად. მაგრამ, ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მიქაელისთვის ეპისკოპოსობის ჩამორთმევას თავდაპირველად არ აპირებდნენ "რქუა მას (მიქაელს. ვ.ღ.) პატრიარქმან: (კონსტანტინეპოლის. ვ.ღ.) "ვინაითგან დაითხია სისხლი შენ "მიერ ქუეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად" [1: 197]. ე.ი. მეფემ ეპისკოპოსი უკადრისი საქციელის ჩადენის გამო გადააყენა და გაგზავნა კონსტანტინეპოლის პატრიარქთან. პატრიარქმა, ვახტანგ მეფის თხოვნის საფუძველზე, მიქაელ ეპისკოპოსი დასაჯა.

გავიხსენოთ: მიქაელ ეპისკოპოსმა გაიგო თუ არა, რომ მეფის მოციქული წარგზავნილი იყო ბიზანტიაში კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის ჩამოსაყვანად, შეკრიბა თავისი მომხრეები და დაიწყო ამბოხი "ჰგონებდა, რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსლვა მათი, და კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი" [1: 196].

მას აქეთ, რაც ეპისკოპოსმა მიქაელმა დაწყევლა ვახტანგ გორგასლი და ქართლის ლაშქარი, სიტუაცია ქართლში უაღრესად დაიძაბა. ფაქტობრივად, მეფე ვახტანგ გორგასლის იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა, არა მხოლოდ ირანის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებზე, არამედ ქართლის ნაწილზეც. ეს მეტად საშიში მოვლენა გახლდათ ქართული სახელმწიფოსთვის. ქვეყანა აშკარად სამოქალაქო დაპირისპირების, სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. საჭირო იყო სამეფო ხელისუფალთა მიერ სწრაფი, ქმედითი ღონისძიებების გატარება, ცხადია მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმატში. და მეფემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. "მეფემან თქუა: დაღაცათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩუენგან. და მივიდა მეფე, და გარდაჴედა საჴედარსა, რაითამცა შეემთხვა ფერჴთა ეპისკოპოსისათა" [1: 196]. როგორც აღვნიშნე, შექმნილი დაპირისპირება სამეფო კარისთვის მიუღებელი გახლდათ, აუცილებელი იყო დაძაბულობის განმუხტვა. ამიტომ დაიმდაბლა თავი მეფემ და სახედარზე ამხედრებული ეახლა ეპისკოპოს მიქაელს, ჩამოქვეითდა, მუხლი მოიდრიკა და ეპისკოპოსის ფეხის საკოცნელად დაიხარა.

მიქაელ ეპისკოპოსი კი, რომლის "ხელისუფლება მეფის ხელისუფლებას არ ჩამოუვარდებოდა" [37: 345], რომელსაც ზურგს უმაგრებდა ბოლო დროს აღზევებულ საეკლესიო მოხელეთა დასი და ქართლის აჯანყებული მოსახლეობა (მიქაელი თავის მომხრეთა რიცხვის ყოველდღიურ ზრდას ვარაუდობდა) კონფლიქტის გამწვავებას ცდილობდა. ამბოხებულებს არ სურდათ დაპირისპირების სწრაფად დასრულება. მათი მიზანი კონფლიქტის გამწვავება და გაფართოება იყო. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდებოდა იძულებული მეფე გაეუქმებინა კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის გამოგზავნის შესახებ ბიზანტიის საიმპერატორო კარისთვის გაგზავნილი მოთხოვნა. გამწვავებული დაპირისპირების დემონსტრირებით მიქაელ ეპისკოპოსი და მისი მომხრე – ქართლის ეკლესიის მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვდნენ. "ჰგონებდა, (ეპისკოპოსი მიქაელი. ვ.ღ.), რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი და მოსვლა მათი" (პეტრე კათალიკოსის და ეპისკოპოსის. ვ.ღ.) [1: 196]. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი მოსაზრება ამ კონფლიქტის მიზეზებთან დაკავშირებით, ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებებისგან გარკვეულწილად განსხვავდება.

1. ივ. ჯავახიშვილის აზრით: "მიქაელი და მისი თანამოაზრენი ქალკედონიტები იყვნენ, ვახტანგ გორგასალი და მისი "სპა" კი – მონოფიზიტობის მიმდევარი" [33: 315-348].

2. ს. ჯანაშიას მიხედვით კი პირიქით – მეფე ვახტანგ გორგასალი და მისი სპა მტკიცე ორთოდოქსი, მიქაელ-ეპისკოპოსი კი – მონოფიზიტი გახლდათ [39: 288-296].

3. მ. ლორთქიფანიძის აზრით: "ჩვენ არ გამოვრიცხავთ მრწამსის პრობლემას ამ კონფლიქტში, და ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ვახტანგის მიერ საეკლესიო რეფორმის გატარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის პოლიტიკურ მხარეს" [5: 72].

4. დ. მუსხელიშვილის მიხედვით: "ვახტანგ გორგასალმა ორთოდოქსი დიოფიზიტი მთავარეპისკოპოსი გააძევა და მცხეთაში მღვდელთმთავრის ტახტზე დასვა "ჰენოტიკონის" მომხრე პეტრე, რომელსაც კათალიკოსის პატივი მიანიჭა" [4: 180].

5. გიორგი მამულიას მიხედვით: "სავარაუდოა, რომ ურყევი ქალკედონიტი მიქაელი, თავის ბიზანტიელ თანამოძმეთა დარად ჰენოტიკონის მიღებაზე უარს განაცხადებდა" [41: 68]. გ. მამულია აქვე ხსნის ჰენოტიკონის არსს – "482 წელს კოსტანტინეპოლის პატრიარქმა აკაკიუსმა გამოსცა ე.წ. ჰენოტიკონი, რომელიც დოგმატური დათმობების საფუძველზე ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა შერიგებას წარმოადგენდა" (იქვე, გვ. 67-68).

6. თ. მგალობლიშვილის აზრით: "უძველესი მრავალთავის საკითხავთა იდეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა და მისი ისტორიულ წყაროებთან შეჯერება, ვფიქრობ, საშუალებას იძლევა გავიზიაროთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ვახტანგ მეფესა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის მომხდარი კონფლიქტის მიზეზების შესახებ და საკათალიკოსოს დაარსება ზენონის ჰენოტიკონის განცხადების შემდეგ 482-484 წლებში ვივარაუდოთ" [38: 190].

7. ნ. ჯანაშიას მიხედვით: "კათალიკოსობის დაწესებით ვახტანგი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. პირველ ყოვლისა, ეკლესიის თვითმწყემსობა, ცხადია აძლიერებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. შემდეგ, სამეფო ხელისუფლება, უეჭველია, მეტ გავლენას იძენდა მღვდელთმთავარზე, რომლის არჩევაში მეფეს მეტი ხმა ეძლეოდა. და ბოლოს ვახტანგმა მოიცილა მთავარეპისკოპოსი, რომელიც, ეტყობა, მის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა" [22: 45].

8. კ. კეკელიძის და ზ. ალექსიძის აზრით: კონფლიქტის სარწმუნოებრივ ნიადაგზე ახსნა მიზანშეწონილი არაა – "V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში შინაქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არ ყოფილა" [40: 107], რომ კონფლიქტი მიქაელ ეპისკოპოსის მიერ საეკლესიო ქონების მითვისების გამო მოხდა (იქვე).

9. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიხედვით: მთავარეპისკოპოს მიქაელის მიერ "სიმდიდრისა და მიწების დაგროვება მეფის ნების საწინააღმდეგოდ უნდა ყოფილიყო ერთი მიზეზთაგანი წინააღმდეგობისა მეფესა და ეკლესიის მეთაურთა შორის" [37: 344]. მეორე მიზეზად მიტროპოლიტი (მკვლევარ ნ. ჯანაშიას მოსაზრებიდან გამომდინარე) ასახელებს მეფის სურვილს, "რათა მას ეკლესია დამორჩილებოდა ისევე, როგორც ბიზანტიის საპატრიარქოები ემორჩილებოდნენ იმპერატორს" (იქვე)...

10. ბ-ნ ვ.გოილაძის აზრით: პეტრე კათოლიკოსი ქართლში ჩამოიყვანეს 487-491 წლებს შორის [61: 180-185].

როგორც აღინიშნა, ჰენოტიკონი გამოიცა 482 წელს.

14 წლით ადრე, 468 წლის მიწურულს პეტრე აკურთხეს კათოლიკოსად, სამოელი ეპისკოპოსად, გარდა ამისა, 11 პირი დადგინდა ეპისკოპოსად ქართლში. აქედან

გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებისადმი ჩემი დიდი პატივისცემისდა მიუხედავად, მიმაჩნია, რომ არც ჰენოტიკონის გამოცემა, არც მრწამსისა და არც "ვერცხლის მოყვარეობა" (ამის შესახებ ქვემოთ) არ გახლდათ მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზეზი.

ამრიგად, კონფლიქტის განეიტრალების მიზნით სახედარზე ამხედრებული მეფე მიქაელ ეპისკოპოსთან შესარიგებლად მივიდა. ჩამოქვეითდა და მუხლი მოიდრიკა, რათა მიქაელ ეპისკოპოსს ფეხზე მთხვეოდა. ეპისკოპოსმა კი, რომელიც სიმდიდრისაგან და მრავალრიცხოვან მხარდამჭერთაგან ისე იყო აღგზნებული, რომ რეალობას ვეღარ აღიქვამდა "განძრა მან ფერჯი, და მიამთხჳა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი" [1: 196].

მუხლმოდრეკილ მეფეს, ეპისკოპოსმა სახეში ფეხი მიარტყა და კბილი ჩაუმტვრია. ამ მომენტისა და შემდგომ განვითარებულ მოვლენების შესახებ არსებული წყაროები მოგვითხრობს. კერძოდ, ჯუანშერ ჯუანშერიანის მიხედვით: "ხოლო მეფემან თქუა" "სილაღე ესე ამპარტავნებისა არს საცთური ეშმაკისა; უკეთუ სიმრავლემა ცოდვათა ჩემთამან აღგძრა, არა გაქუს ჴელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტყჳს სახარება, ვითარმედ: არა დაშრიტო პატრუკი მგზნებარე, არცა განსტეხო ლერწამი დაჩეჩქჳლი, ხოლო შენ ჰგონებ ვითარმცა შენითა სივერაგითა ჩუენ დაგუაცადენ სიყუარულსა ქრისტესსა. მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება, და აღეგზენ შურითა ბოროტად, ვითარცა იუდა პეტრესითა; რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, ხოლო ეკლესია ვითარცა პეტრე. ვერცხლის მოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი. აწ მიგავლინო შენ პატრიარქისა კოსტანტინეპოლედ და, ვითარცა ჯერ იყოს, განგიკითხოს" [1: 196:]

ქართლის მოქცევის, შატბერდის კრებულის მიხედვით "მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ. და მან მიამთხჳა ფერჯი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთთა და ითხოვა მეფისგან და პატრეაქისაგან კათალიკოზი, ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი" [28: 325]. ჭელიშურ ნუსხაში წერია: "მიამთხჳა ფერჯი გორგასალსა, რომლისათვის მიზეზისათვის, და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისაჲს და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამხობად ქრისტიანობისა" (ციტატა, [5: 71]).

მაშ ასე: მეფემ მუხლი მოიდრიკა და დაიხარა, რათა ფეხზე მთხვეოდა ეპისკოპოსს. ეპისკოპოსი კი საკუთარ თავს, სოციალურად მეფეზე აღმატებულად მიიჩნევდა და ხელმწიფე იმის ღირსადაც არ ჩათვალა, რომ ფეხზე კოცნის უფლება მიეცა. გამეტებით ჩაარტყა სახეში ფეხი. კბილჩამტვრეულ მეფეს პირიდან სისხლი წასკდა.

მეფისთვის ეს დარტყმა ორმაგად მტკივნეული უნდა ყოფილიყო. მას საკუთარმა აღმზრდელმა, ქართლის ქრისტიანული სჯულის პირველმა დამცველმა, "მღვდელმა

ჭეშმარიტმა" ქრისტიანული წესით ცოდვის მონანიების საშუალება არ მისცა. ამ დარტყმით უარყო ხელმწიფე, უარი უთხრა შერიგებაზე და საქვეყნოდ დაამცირა.

აქ ცალსახად იკვეთება საკითხი, კერძოდ: ჯუანშერის მიხედვით, როდესაც მიქაელ ეპისკოპოსმა გაიგო, რომ მეფემ გაგზავნა მოციქული კათოლიკოსისა და ეპისკოპოსის ჩამოსაყვანად "კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი" [1: 196], ე.ი. მეფე და "სპა" დაწყევლა. ჭელიშური ნუსხის მიხედვით კი მიქაელ ეპისკოპოსმა, მას შემდეგ, რაც მეფეს ფეხი მიარტყა სახეში – "განაძო ეკლესიისაგან". ე.ი. ჯუანშერის მონაცემებს ადასტურებს ჭელიშური ნუსხა, ანუ ცოდვათა მოსანანიებლად, შესარიგებლად მისული მეფე ვახტანგის ექსორიას ეკლესიის მიერ. ვფიქრობ: ჯუანშერი მეტი სიზუსტით უნდა გადმოგვცემდეს არსებულ ვითარებას. მიქაელმა, მეფე და სპა მოკვეთა ეკლესიიდან, მანამ, სანამ მეფე ფეხზე სამთხვევლად მივიდოდა, რაც ფაქტიურად ქართლის მოსახლეობის ნაწილის აჯანყების დაწყების საბაბი უნდა გამხდარიყო. "კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი" და "განაძო ეკლესიისაგან" [1: 196]. ანუ, მიქაელმა ქართლის ქრისტიანულ მრევლს მოუწოდა აღარ დამორჩილებოდნენ მეფე ვახტანგს და მის სამეფო კარს. ვფიქრობ, მიქაელს ამ გადაწყვეტილების მიღებაში ირანის წარმომადგენლები დაეხმარნენ.

ასეთ შემთხვევაში მეფისა და სამეფო კარის ქმედებები მყისიერი უნდა ყოფილიყო, რადგან არა მხოლოდ მეფის ავტორიტეტი შეილახა, არამედ სერიოზული საშიშროება დაემუქრა ზოგადად ქართული სახელმწიფოს არსებობას. ამიტომ მეფისა და სამეფო კარის საპასუხო ქმედება მკვეთრი გახლდათ. სასწრაფოდ დააპატიმრეს ეპისკოპოსი მიქაელი და მისი მომხრეები. ვახტანგ მეფეს ქართლის ეკლესიის გაუქმებაც კი განუზრახავს (ჭელიშური ნუსხა), მაგრამ შემდგომ აღარ განუხორციელებია – "სილაღე ესე ამპარტავნებისა არს საცთური ეშმაკისა;... ვერცხლის მოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი. აწ მიგავლინო შენ პატრიარქისა კოსტანტინეპოლედ და ვითარცა ჯერ იყოს, განგიკითხოს" [1: 196-197].

მეფისა და სამეფო კარის, ანუ სახელმწიფო ხელისუფალთა მიერ კარგად ორგანიზებულ ქმედებებს შედეგიც შესაბამისი მოჰყვა. მიქაელ ეპისკოპოსის მიერ დაწყებული "ამბოხი" და "შფოთი" ქართლში აღარ გავრცელდა, მხოლოდ ლოკალურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში შენარჩუნდა, ძირითადად იქ, სადაც სპარსელთა გავლენა დიდი იყო.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ვახტანგ მეფის ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის მართებულად არჩევასთან დაკავშირებით, მიუხედავად დიდი ადამიანური ტკივილისა, რომელიც ქართლის ხელმწიფეს წილად ხვდა, ვახტანგ მეფე მაინც ქრისტიანულ-ევროპული ფასეულობების ერთგული დარჩა.

მეფემ დაპატიმრებული მიქაელ ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლში პატრიარქთან განსაკითხავად გაგზავნა, მასვე გაუგზავნა ჩამტვრეული კბილი, როგორც მიქაელ

ეპისკოპოსის ქმედების სამხილი. გარდა ამისა, მეფემ სთხოვა პატრიარქს დაეჩქარებინა პეტრეს კათოლიკოსად, სამოელის ეპისკოპოსად და კიდევ 11 ეპისკოპოსის ქართლში გაგზავნა. აქ მნიშვნელოვანი დეტალი იკვეთება: ირანიდან დაბრუნებულმა საბერძნეთისა და სომხეთის საზღვარს მიახლოებულმა მეფე ვახტანგმა კონსტანტინეპოლში გაგზავნა მოციქული თხოვნით "პეტრესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსის" [1: 196] დასადგენად. ხოლო კონფლიქტის შემდგომ უკვე მოითხოვა: "და შეუთუალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოავლინენ" [1: 197]. ამიტომ ვფიქრობთ, თავდაპირველად მეფე ვახტანგი ფართომასშტაბიან საეკლესიო ცვლილებებს არ გეგმავდა.

უაღრესად საინტერესოა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ მიქაელ ეპისკოპოსისათვის ნათქვამი ფრაზა: "ვინათგან დაითხია სისხლი შენ მიერ ქუეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად, და კადრებისათჳს მეფისა თანაგაც შენ სიკუდილი, ვითარცა იტყჳს: "დაემორჩილენით თქუენ მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ჴრმად აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა" [1: 197]. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა დასაჯა მიქაელ ეპისკოპოსი – მეფე ვახტანგ გორგასლის ეკლესიიდან მოკვეთისათვის, ქვეყანაში პროვოცირებული შფოთისა და ამბოხისათვის, ხელმწიფის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის, რადგან მეფე ქვეყანაზე "ღმერთის მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა" [1: 197]. ამ პერიოდში მეფის ავტორიტეტი უაღრესად მაღალი გახლდათ "მსოფლიო კრებებიც კი იმპერატორის მიერ იმართებოდა ბიზანტიის იმპერიაში" [37: 343].

როგორც აღვნიშნე, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა დასაჯა მიქაელ ეპისკოპოსი მეფის შეურაცხყოფისათვის, ჩამოართვა ეპისკოპოსის წოდება და გააძევა "მღვიძარეთა" მონასტერში, ანუ იქ, სადაც დასასჯელად აგზავნიდნენ მოწინააღმდეგე იდეოლოგიური კურსის განმახორციელებელ საეკლესიო პირებს [38: 187-188]. თუმცა, ეპისკოპოსის დანაშაულის ტოლფასად მისი სიკვდილით დასჯაც კი უღიარებიათ.

468 წელს, ჯერ კიდევ ქართლში შესვლამდე, ვახტანგ გორგასალმა კონსტანტინეპოლში მოციქული გაგზავნა თხოვნით: "წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა" [1: 196].

მიქაელ ეპისკოპოსსა და მეფე ვახტანგს შორის განვითარებული კონფლიქტის შემდეგ მეფემ ისევ წარგზავნა მოციქული კონსტანტინეპოლს "და შეუთვალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი წარმოავლინენ და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად, და სხუანი ვინცა სთნდეს" [1: 197]. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ვახტანგის თხოვნას ელოდნენ და სასწრაფოდ "წარავლინეს პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას და მიუწერეს ანტიოქიისა პატრიარქსა მეფემან და პატრიარქმან კოსტანტინეპოლელმან ესრეთ, ... აწ ორნი ეს, მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი, ვინცა-ვინ შენ გენებოს, იგინი

აკურთხენ. და ჩუენდა წარმოვიდენ, რათა ჩუენ ნიჭითა და საჴმრითა ყოვლითა განუტევნეთ". და ანტიოქელმან პატრიარქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად" [1: 196-197].

როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს, მეფე ვახტანგი, მიქაელ ეპისკოპოსთან კონფლიქტამდე თხოულობდა პეტრეს – კათოლიკოსად და სამოელს – ეპისკოპოსად. ხოლო კონფლიქტის შემდეგ კი მოითხოვა – პეტრე კათოლიკოსად და 12 სასულიერო პირი – ეპისკოპოსად, რომელთა შორის სამოელიც უნდა ყოფილიყო. ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა პეტრე კათოლიკოსად და 12 სასულიერო პირი ეპისკოპოსად, მათ შორის სამოელი. ამრიგად, 11 ეპისკოპოსი მეფე ვახტანგმა კონფლიქტის შემდეგ მოითხოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიქაელ ეპისკოპოსს, ვახტანგ მეფესთან კონფლიქტის დროს მხარს უჭერდა მინიმუმ 11 ეპისკოპოსი. ანუ, არა მხოლოდ მიქაელ ეპისკოპოსმა დაწყევლა და "განაძო ეკლესიისაგან" ვახტანგ მეფე და მისი "სპა," არამედ კიდევ 11 ეპისკოპოსმა. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: "ჩვენში კათოლიკოსობის დაწესებამდე არსებობდნენ საეპისკოპოსოები და მათი საზღვრები ემთხვეოდნენ საერო-ადმინისტრაციული ოლქების საზღვრებს, ანუ საეპისკოპოსოს საზღვარი საერისთავოს საზღვარს ემთხვეოდა" [37: 340]. ე.ი. 11 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა და ქ. მცხეთის მრევლის მიერ იქნა მოკვეთილი მეფე და მისი სპა. ანუ, დედაქალაქსა და 11 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მეფე ვახტანგ გორგასლის იურისდიქცია შეწყდა. ამდენად, კონფლიქტმა მეფესა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის ქართლის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია მოიცვა.

ქართლის რა ტერიტორიებზე, რომელ ეპარქიებში გავრცელდა მიქაელ ეპისკოპოსის მიერ დაწყებული "ამბოხი" და "შფოთი"?

ქართლში ვახტანგ მეფის მეუღლე, ელენე დედოფალი, პეტრე კათოლიკოსი და 12 ეპისკოპოსი ჩავიდნენ. ჩემი აზრით, პეტრე კათოლიკოსი, 12 ეპისკოპოსთან ერთად მეფე ვახტანგ გორგასალსა და მის "სპას" უთუოდ ახსნიდა მიქაელის წყევლას და გააუქმებდა ეკლესიიდან ექსორიას. ის შეეცდებოდა დაემშვიდებინა ქართლის მრევლი. "ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა" [1: 198]. მაშასადამე: 1. თვით დედაქალაქ მცხეთაში არ ხორციელდებოდა ვახტანგ მეფის იურისდიქცია. ვფიქრობ, ის რომ, დედაქალაქის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა მიქაელ ეპისკოპოსს, განაპირობა ვახტანგ მეფის დიდი ხნით (8 წელი) არყოფნამ მცხეთასა და ზოგადად ქართლში, გარდა ამისა, 457-460 წლებში სამეფო ხელისუფლების მიერ ირანული პოლიტიკური ორიენტაციის პირთა დევნამ, მათი ფიზიკური განადგურების მცდელობამ. სპარსული ორიენტაციის მიმდევარნი კი (ინტეგრირებულნი ადგილობრივ მოსახლეობასთან) სავარაუ-

დოდ, მცხეთაში მრავლად იყვნენ. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მცხეთაში მოხდა პროირანული ძალების აღდგენა-აღზევება და ამ ძალების გააქტიურების შედეგად მცხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მრევლი დაემორჩილა მიქაელ ეპისკოპოსის მოწოდებას და გაემიჯნა ვახტანგ გორგასალს. აქედან გამომდინარე, ვახტანგ მეფემ მცხეთაში დაადგინა პეტრე კათალიკოსად და სამოელი ეპისკოპოსად. შემდგომ: 2. "დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა"; 3. "ერთი არტაანს ერუშეთს"; 4. ერთი ჯავახეთს, წუნდას; 5. "ერთი მანგლისს"; 6. "ერთი ბოლნისს"; 7. "ერთი რუსთავს"; 8. "ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა"; 9. "ერთი ჭერემს მისსავე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი-იგი მანვე აღაშენა"; 10. "ერთი ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა"; 11. "ერთი ხორნაბუჯს"; 12. "და ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანს გამართებით" [1: 198-199].

თუ გადავხედავთ საქართველოს V საუკუნის ისტორიის ამსახველ რუკას, დავინახავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საეკლესიო ეპარქიათა ტერიტორიები ქვეყნის სამხრეთის საზღვარს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებიდან შემოუყვება (კერძოდ: კლარჯეთი, შავშეთი, ქვემო ქართლი – გუგარქი, ტაშირი), ხოლო აღმოსავლეთიდან – ჰერეთი, კახეთი, კუხეთი. ამ ორ მიმართულებას მცხეთა-მანგლისი კრავს. ამდენად, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, მეფე ვახტანგის ექსორია ეკლესიიდან. "კრულ ყო მეფე (მიქაელ ეპისკოპოსმა. ვ.ღ.) "და ყოველნი სპანი მისნი" და "განძო ეკლესიისაგან". აკადემიკოს დავით მუსხელიშვილი "ეპისტოლეთა წიგნზე" დაყრდნობით, 506 წლისთვის ქართლში 33 საეპისკოპოსოს არსებობას ვარაუდობს [4: 170]. ამდენად, ვფიქრობ, რომ ქართლის (33-12=21) 21 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მიქაელ ეპისკოპოსმა ვერ შეძლო მრევლი მეფე ვახტანგ გორგასლისათვის დაეპირისპირებინა. ტერიტორიები, რომელთა ეკლესიებიდან ვახტანგ მეფე მოკვეთილად გამოცხადდა, ძირითადად ირანის მიერ გახლდათ ოკუპირებული და როგორც აღვნიშნე, იქ ქართლის სამეფო კარის იურისდიქცია არ ხორციელდებოდა. თუმც, ეს ერთეულები ემორჩილებოდა ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელისუფლებას და აქედან გამომდინარე, ქართლის სამეფო კარის იურისდიქცია ნაწილობრივ იქაც ვრცელდებოდა. ცხადია, ეკლესიიდან მოკვეთის შემდეგ ვახტანგ მეფე ამ ტერიტორიებს საერთოდ ვეღარ გააკონტროლებდა.

მეფემ ქართლის დედაქალაქ მცხეთაში პეტრე კათოლიკოსად და სამოელი ეპისკოპოსად დაადგინა. რადგან, სწორედ დედაქალაქის მრევლი გახლავთ ზოგადად საზოგადოების მოქმედების მაკოორდინირებელი, ანუ რაც უფრო სწრაფად დაემორჩილებოდა დედაქალაქის მოსახლეობა სამეფო კარს, მით უფრო სწრაფად აღდგებოდა ქართლის განდგომილ ტერიტორიებზე მეფე ვახტანგის იურისდიქცია.

ვინაიდან, განდგომილ ეპარქიათა რაოდენობა არ ემთხვეოდა ბიზანტიიდან ჩამოსულ ეპისკოპოსთა რაოდენობას, დადგინდა კიდევ ერთი ეპისკოპოსი (სავარაუდოა, მეფის ერთგულ ეპისკოპოსთა დასის ერთ-ერთი წარმომადგენელი).

დათარიღება: როგორც აღვნიშნე, 468 წელს დასრულდა ირანისა და ჰეფტალიტ ჰუნების ომი. ქართლის მეფე კი ჯართან ერთად სამშობლოსკენ გაემართა. სანამ ქართლის საზღვარს მიუახლოვდებოდა, მეფემ კონსტანტინეპოლში დესპანი გაგზავნა თხოვნით – მას სურდა ცოლი (ელენე) გამოეგზავნათ ქართლში, პეტრე ეკურთხებინათ კათოლიკოსად, სამოელი კი ეპისკოპოსად დაედგინათ. ქართლის საზღვართან დაიწყო კონფლიქტი მეფესა და მიქაელ ეპისკოპოსს შორის. მიქაელ ეპისკოპოსმა დაწყევლა ქართლის მეფე და მისი "სპა", ხოლო შემდეგ მოკვეთა ეკლესიიდან. მეფემ ახალი დესპანი აფრინა კონსტანტინეპოლს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ითხოვა სასწრაფოდ გაეგზავნათ ქართლში კათოლიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი. ქართლსა და ბიზანტიაში მიქაელ ეპისკოპოსის ეს ქმედება წარმოუდგენელ მკრეხელობად იქნა აღქმული, რადგან "ბიზანტიაში ეკლესია არსებობდა სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე იყო სპარსეთის სახელმწიფოშიც. სპარსეთს დაქვემდებარებული სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ეკლესიების მეთაურებს თვით შაჰი ნიშნავდა" [37: 343]. კონსტანტინეპოლიდან სასწრაფოდ გაიგზავნა წერილი – ბრძანება ანტიოქიაში. ანტიოქიის [49: 176] პატრიარქმა დაუყოვნებლივ აკურთხა 12 ეპისკოპოსი, კათოლიკოსად პეტრე და კონსტანტინეპოლში დააბრუნა. კონსტანტინეპოლიდან კი ქართლს გაამგზავრეს: დედოფალი ელენე, კათოლიკოსი პეტრე და 12 ეპისკოპოსი, რომელთა შორის სამოელიც იყო. თუ გავითვალისწინებთ მანძილის სიშორესა და პოლიტიკურ რეალიებს, კერძოდ: ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს, ქართლის გარკვეული ნაწილი არ ემორჩილებოდა, მეფე და მისი სპა დაწყევლილნი და ეკლესიიდან მოკვეთილნი იყვნენ, ქართლის ეკლესიის მეთაური, მთავარეპისკოპოსი მიქაელი ქართლიდან კონსტანტინეპოლს გაგზავნილი, ქვეყანა კი "შფოთითა" და "ამბოხით" (გაურკვეველი დროით) მოცული გახლდათ, ბუნებრივია, ყველა – ქართლის სამეფო კარი, ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ანტიოქიის პატრიარქი სასწრაფოდ ამოქმედდა. ყველა პოლიტიკურად მოტივირებული იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, 468 წლის მიწურულს ქართლში უნდა ჩასულიყვნენ ელენე დედოფალი, პეტრე კათოლიკოსი და 12 ეპისკოპოსი, მათ შორის სამოელიც.

ამ ჰიპოთეზას ადასტურებს იაკობ ცურტაველი.

კორნელი კეკელიძის თანახმად, "შუშანიკის ტანჯვა-წამება დაწყებულა "თთუესე აპნისისა". რვასა, დღესა ოთხშაბათსა". "აპნისი" აქ უდრის ზუსტად, უმეტესნაკლებოდ იანვარს, ხოლო რვა აპნისი – რვა იანვარს, 8 იანვარი კი ოთხშაბათ დღეს მოდიოდა 469 წელს" [36: 118]. "შუშანიკის წამებაში" კი ფიგურირებს სამოელ ეპისკოპოსი. ამდე-

ნად: 468 წლის ბოლოსთვის პეტრე კათოლიკოსი და 12 ეპისკოპოსი, რომელთა შორის იყო სამოელი, უკვე ქართლში ბრძანდებოდნენ. უფრო მეტიც, ამავე 468 წლის მიწურულს პეტრესა და სამოელს მეფე ვახტანგისათვის ახსნილი ჰქონდათ მიქაელ ეპისკოპოსის წყევლა. ვფიქრობ, ამ პერიოდში მეფე ვახტანგ გორგასალმა მადლიერების ნიშნად მცხეთის საკათალიკოსოს შესწირა "ძეგვი და ციხედიდი" [5: 18].

როგორც აღვნიშნე, ქართლის სამეფო კარმა, მეფე ვახტანგ გორგასლის ნებით სამოელ ეპისკოპოსი დაადგინა მცხეთაში – "სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე" [1: 198]. ძალიან მალე სამოელი ბოლნისში (ან ცურტავში) გადაუყვანიათ ეპისკოპოსად, როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასლის ხელისუფლების მომხრე ბოლნისის (ან ცურტავის) სამღვდელოების პოზიციების გასაძლიერებლად.

სავარაუდოა, რომ სამეფო კარი ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით, საეკლესიო პირებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ფინანსურადაც ეხმარებოდა.

მას აქეთ, რაც მეფესა და "სპას" კათოლიკოსმა პეტრემ და ეპისკოპოსმა სამოელმა წყევლა ახსნეს, დედაქალაქის მრევლსა და სამეფო კარს შორის ურთიერთობა დარეგულირდა. "ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღვნა სამოელ ეპისკოპოსსა" [26: 231] – გადმოგვცემს იაკობ ხუცესი 469 წლის იანვრის მოვლენებს. 475 წლისთვის კი იგივე იაკობი მოიხსენიებს სამოელს, როგორც "თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოელ" [26: 241]. თამილა მგალობლიშვილის განმარტებით "თავი იგი ეპისკოპოსთაჲ" სამოელი მხოლოდ და მხოლოდ საპიტიახშოს ეკლესიის მეთაურია და არა მთელი ქართლისა" [38: 198]. სხვაგვარად მსჯელობს ა. ბოგვერაძე, კერძოდ, 469 წ. დასაწყისისთვის სამოელი ამ თხზულებაში (იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამება". ვ.ღ.) მოხსენიებულია ეპისკოპოსად, ხოლო 475 წ. მახლობლად "ეპისკოპოსთა თავად" ანუ იგივე კათალიკოსად". [48: 161] სამწუხაროდ, ა. ბოგვერაძის მოსაზრებას მე ვერ გავიზიარებ.

წყაროების სიმწირის გამო, ზუსტად განსაზღვრა იმისა, ქართლის რომელი ტერიტორიები ჰქონდა ირანს ოკუპირებული, ან რომელ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს განაგებდა ირანის მარიონეტული ხელისუფლება (როგორც ვარსქენ პიტიახში), ძალიან ძნელია. თუმცა, მიახლოებითი ვარაუდი შესაძლებელია. ამიტომ კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ის ეპარქიები, ის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებშიც ვახტანგ მეფემ 468 წლისთვის ახალი ეპისკოპოსები დაადგინა:

1. დედაქალაქი მცხეთა.

წარმოუდგენელია, 468 წლისთვის ირანს ქართლის დედაქალაქი ჰქონოდა ოკუპირებული. ვფიქრობ, პროირანული ძალების რესტავრაცია მცხეთაში მეფე ვახტანგის დიდი ხნით (8 წელი) არყოფნამ გამოიწვია. ქართლში ქაოსი ძირითადად ირანიდან მართულმა პროირანულმა ძალებმა გამოიწვიეს. მეფის განკვეთის შემდგომ არეულობას ქვეყანაში ოფიციალურად ხელმძღვანელობდა მიქაელ ეპისკოპოსი. ის ირანის ინ-

ტერესების განმახორციელებელი გახლდათ, შესაბამისად, ირანიდან მართულ ქაოსს აძლიერებდა და ამკვიდრებდა. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ მეფის არყოფნამ შეუწყო ხელი მიქაელ ეპისკოპოსის გავლენის აღზევებას. სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსის რეალურმა ძალაუფლებამ გამოიწვია მოსახლეობის, მრევლის მიერ მისი ამგვარი მხარდაჭერა.

2. "დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა". 3. "ერთი არტაანს, ერუშეთს"; 4. "ერთი ჯავახეთს, წუნდას". ეს ტერიტორიები 456 წლისთვის ბიზანტიამ გუბაზ მეფის დასჯის მიზნით, წაართვა ეგრისს და დაუბრუნა ქართლს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მეფე ვახტანგმა, ბიზანტია-ირანის ომის დროს, უარყო ირანული პოლიტიკური ორიენტაცია, გაითავისა პრობიზანტიური კურსი, დატოვა ირანის საჯარისო შენაერთები, რითაც საშუალება მისცა ბიზანტიის სამხედრო ძალებს დაემარცხებინათ ირანის შეიარაღებული ძალები.

465 წლის შემდეგ ეგრისის მეფე გუბაზმა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფალთა კეთილგანწყობის დამსახურება მოახერხა [7: 168]. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობებს, ამ ტერიტორიებზე განხორციელებულიყო ვახტანგის საწინააღმდეგო აგიტაციაც და ქმედებებიც. საფიქრებელია, რომ პროპაგანდამ იმოქმედა მოსახლეობაზე და მრევლმა ადვილად დაიჯერა მიქაელ ეპისკოპოსის მიერ ვახტანგ მეფისადმი წაყენებული ბრალდება – "შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ" [1: 196]. მეფის დაწყევლასა და ეკლესიიდან მოკვეთას უნდა გამოეწვია ვახტანგ მეფის წინააღმდეგ კონფლიქტის აზვირთება მოსახლეობაში (მრევლში), რაც, სავარაუდოა, კიდევ უფრო გააძლიერეს ეგრისის მეფის, გუბაზის ემისრებმა. ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა მეფე ვახტანგმა ამ ეპარქიებში ეპისკოპოსების შეცვლა და თავისი ხელისუფლების განმტკიცება.

5. "ერთი მანგლისს". 6. "ერთი ბოლნისს. 7. "ერთი რუსთავს" – როგორც ჩანს, ეს ტერიტორიები ირანის მიერ იყო ოკუპირებული. ამას გვაფიქრებინებს, ჯუანშერის ადრეული მონაცემები, კერძოდ: 460 წელს ირანელები შეჭრილნი იყვნენ ქართლში. ქართველებსა და სპარსელებს შორის დიდი და დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობდა (იხილეთ ზემოთ). ამ პერიოდში ქართველების დასახმარებლად ბიზანტიამ მაშველი სამხედრო ძალა გაგზავნა, რაც ქართველებსა და სპარსელებს შორის ზავის დადების მაპროვოცირებული ფაქტორი გახდა. ამ დროისათვის ქართლის სამეფოსა და რანის სამეფოს შორის ადმინისტრაციული საზღვარი თბილისსა და რუსთავს შორის გადიოდა. "აიყარა მეფე სპარსთა და უკუდგა რუსთავად" [1: 181]. ის, რომ რუსთავი ირანელთა დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, მოგვიანებით, 491 წლის ეპიზოდში დასტურდება, – "აიყარა" მუნით (უჯარმის მიდამოებიდან. ვ.ღ.) სპარსთა მეფე, და ჩადგა რუსთავს" [1: 202]. 6. "ერთი ბოლნისს." ვახტანგის იურისდიქცია არ ხორციელდებოდა არც ბოლნისში. ამის შესახებ ბოლნისის სიონის წარწერა მეტყველებს ["შეწევნითა

წმიდ]ისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფ[ისა ზე ხიქმნა დაწყებაჲ ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოუთხეტ წლის[ა შემდგომად განხეშორა ვი)ნ აქა შინა თაყვანისხცეს ღ˜ე შეიწყალენ და ვინა [მის ეკლესიაჲსა დ(ავი)თ ე]პისკოპოსსა ხოულოცოს იგიცა ღ˜ნ შეიწყალენ [ამ©ნ"] [42: 3].



ბოლნისის სიონის ეკლესია

ბოლნისის სიონის ეპიგრაფიკული ძეგლი სრულ თანხმობაშია იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამებასთან – "მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში..." [26: 224]. ორივე ტექსტში დაფიქსირებულია იმ პერიოდის რეალიები, კერძოდ: 1. ბოლნისსა და ცურტავში არ ხორციელდებოდა ქართლის მეფის იურისდიქცია. 2. ეს ტერიტორიები ოკუპირებული იყო ირანის მიერ. 3.ისინი წაერთვა ქართლის სამეფოს და რანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს შეუერთდა (ქართლის მეფის – სამეფო კარის – დასჯის მიზნით). 4. აქ ხორციელდებოდა ირანის სამეფო კარის იურისდიქცია. რაც შეეხება მანგლისს, "ერთი მანგლისს" – გამომდინარე მანგლისის მდებარეობიდან (ქვემო ქართლი) ვფიქრობ, იქ ზუსტად იმგვარი ვითარება იყო, როგორიც ცურტავსა, ბოლნისსა...

მერვე ეპისკოპოსი განამწესა – "ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა" [1: 198-199]. უჯარმა გახლდათ რევიანთა სარეზიდენციო ცენტრი, რომელიც იმ პერიოდში ქართლის სამეფო კარს ექვემდებარებოდა. უჯარმის მცხოვრებთა გადაბირება მიქაელ ეპისკოპოსის მიერ, ამ პერიოდში ვახტანგ გორგასლის პოზიციების სისუსტეზე მიგვანიშნებს და სამეფო კარმა სერიოზული ღონისძიებები განახორციელა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად.

მეცხრე ეპისკოპოსი განამწესა – "ერთი ჭერემს მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი – იგი მანვე აღაშენა". სიტუ-

აცია აქაც ისეთივე იყო, როგორიც "უჯარმის კარსა". ვახტანგმა ჭერემშიც ბერძნულ-ქართული ორიენტაციის ეპისკოპოსი დაადგინა, განახორციელა სააღმშენებლო სამუშაოები, რის შედეგადაც, ბუნებრივია, მეფის გავლენა გაიზარდა.

მეათე ეპისკოპოსი დაადგინა – "ერთი ჩელეთს" და შედარებით ნაკლები მოცულობის სააღმშენებლო სამუშაოები ჩაატარა.

მეთერთმეტე და მეთორმეტე ეპისკოპოსები განამწესა: "ერთი ხორნაბუჯს", ... "ერთი აგარაკს". ქართლის სამეფო კარს ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში, არანაირი სახის სამშენებლო სამუშაოები არ უწარმოებია. მოგვიანებით კი, ჯუანშერის მიხედვით, ქართლის სამეფო კარმა დააარსა კიდევ ერთი საეპისკოპოსო ცენტრი ნიქოზში, სადაც დასაფლავებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ცოლის აღმზრდელი რაჟდენი (მამაკაცი), რომელმაც უარყო ცეცხლთაყვანისმცემლობა, მიიღო ქრისტიანობა და უაღრესად დიდმორწმუნე გახლდათ. სპარსელებმა შეიპყრეს რაჟდენი, ქრისტიანობის უარყოფას მოითხოვდნენ მისგან. რაჟდენმა არ უარყო ქრისტიანული მრწამსი, რის გამოც წამებით მოკლეს.

განვიხილოთ: რომელ ეპარქიებში, რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განახორციელა ვახტანგ მეფემ სააღმშენებლო სამუშაოები და რომელი ეპარქიების საკათედრო ეკლესიებში დაადგინა ეპისკოპოსები.

1. მცხეთა – ააშენა ეკლესია სვეტი ცხოველი და დაადგინა კათალიკოსი და ეპისკოპოსი;
2. კლარჯეთს – ახიზის ეკლესიაში დაადგინა ეპისკოპოსი;
3. არტაანს – ერუშეთის ეკლესიაში დაადგინა ეპისკოპოსი;
4. ჯავახეთს – წუნდის ეკლესიაში დაადგინა ეპისკოპოსი;
5. ნინოწმიდას – უჯარმის კარის ეკლესიაში (სუჯეთი), რომელიც ვახტანგ მეფემ ააშენა, დაადგინა ეპისკოპოსი;
6. ჭერემის – ვახტანგისავე აშენებულ ეკლესიაში (ჰერეთი), დაადგინა ეპისკოპოსი;
7. ჩელეთის – ვახტანგმა ააშენა სოფლის შუაში ეკლესია (კახეთი), დაადგინა ეპისკოპოსი;
8. აგარაკს – ხუნანი (გარდაბანი), დაადგინა ეპისკოპოსი.

რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებში, ანუ რომელ ეპარქიებში არ ჩაატარა ვახტანგ მეფემ არავითარი სამუშაოები და არ მიუთითა საკათედრო ეკლესიათა სახელები:

1. მანგლისის – ქვემო ქართლი;
2. ბოლნისის – ქვემო ქართლი;
3. რუსთავის – კუხეთი;
4. ხორნაბუჯის – კამბეჩოვანი.

ვახტანგ მეფემ არ ჩაატარა სამშენებლო სამუშაოები იმ ეპარქიებსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიც არ ემორჩილებოდა მეფის იურისდიქციას და ირანის მიერ იყო ოკუპირებული, რომელთა მოსახლეობამაც (მრევლმა) აშკარად დაუჭირა მხარი მიქაელ ეპისკოპოსს ვახტანგ გორგასლისა და მისი "სპის" ქართული ქრისტიანული ეკლესიიდან მოკვეთის დროს.

რა თქმა უნდა, არსებობდა ირანის მიერ ოკუპირებული ისეთი ეპარქიებიც, რომელთა ეპისკოპოსები და მათი მრევლი არ აჰყვა მიქაელ ეპისკოპოსის მოწოდებას, ნეიტრალური პოზიცია აირჩია და საკუთარ ტერიტორიებზე სიმშვიდე შეინარჩუნა. მათ შორის შეიძლება დასახელდეს საპიტიახშო – ქალაქ ცურტავის ცენტრით, სადაც საკუთარ მომხრეთა გასაძლიერებლად ვახტანგ გორგასალმა მოგვიანებით სამოელი დაადგინა ეპისკოპოსად, ამგვარ ეპარქიებს მიეკუთვნებოდა, აგრეთვე: სამთავისი, აწყური, წყაროსთავი, წილკანი, უფლისციხე [4: 170-171] და სხვა ეპარქიები.

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის შედეგად, ეკლესია დაემორჩილა სახელმწიფოს, ანუ ქართლშიც იგივე განმეორდა, რაც ბიზანტიასა და სპარსეთში მოხდა [37: 354].

გარდა ამისა, კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთა მოწვევა-დადგინებით, ეკლესიათა მშენებლობით, ვახტანგ მეფემ აღასრულა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნება – "შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესნენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი" [1: 167].

განვიხილოთ საკითხი განსხვავებული რაკურსით: რომელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულებიდან მოხდა მებრძოლთა მობილიზება ვახტანგ მეფის "სპაში" 460-468 წლებში. ჯუანშერ ჯუანშერიანი მოგვითხრობს: "წარიტანა თანა (ვახტანგ გორგასალმა. ვ.ღ.) ოთხნი წარჩინებულნი მისნი: არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან, ერისთავი ოძრჯისა; და საურმაგი, ეჯიბი მისი დიდი; და მათ თანა ათი ათასი მჭედარი ლაშქრისა მისისა დარჩეული" [1: 185-186]. ამ ამონარიდის ბოლო წინადადება – "ათი-ათასი მჭედარი ლაშქრისა მისისა დარჩეული" მიგვანიშნებს, რომ ეს ათი ათასი მხედარი გაწვეული არ იყო ქართლის რომელიმე გარკვეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან. მაგ. კლარჯეთის, წუნდისა და ოძრხის ერისთავები მართალია, მეფის ჯარის სამხედრო მეთაურები გახლდნენ, მაგრამ მათი მებრძოლები ამორჩეულნი ("დარჩეულნი") იყვნენ ქართლის მთლიანი ლაშქრიდან.

როგორც ჩანს, ქართლში მიღებული იყო ამგვარი წესი: როდესაც ქართლის მეფეს სხვათა ომში საბრძოლველად იწვევდნენ, მებრძოლების მობილიზაცია მთელი ქართლის მასშტაბით ხდებოდა. მხოლოდ საყოველთაო მობილიზაციის შემდეგ უქვემდებარებდნენ მებრძოლებს (გარკვეული პერიოდით) სხვადასხვა ერისთავს – სამხედრო მეთაურს.

მოგვიანებით ქართლში კვლავ ცხადდება სამხედრო მობილიზაცია – "შეკრბა ვახტანგის საბრძანებელსა ქუეშე ბერძენი და ქართველი და სომეხი ორმოცდაათიათასი მჴედარი რჩეული" [1: 186].

ვახტანგ გორგასლის ფრესკა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან, დღეს წაშლილია

ამრიგად, ირანსა და ჰეფტალიტი ჰუნების ბრძოლების დროს, ვახტანგ მეფის დროშის ქვეშ გაერთიანებულნი და კონკრეტული ერისთავების – სამხედრო მეთაურების დაქვემდებარებაში იყვნენ, არა მხოლოდ ამა თუ იმ ადმინისტრაციული ერთეულიდან მობილიზებული, არამედ მთელი ქართლიდან შეკრებილი "დარჩეული" მებრძოლები.

4. აღმშენებლობა

საეკლესიო ცვლილებების შემდეგ, ვახტანგ გორგასალს რადიკალური რეფორმები აღარ გაუტარებია. ქართლში გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშვიდმა, სტაბილურმა ვითარებამ დაისადგურა. "და ესხნეს ვახტანგს ბერძნისა ცოლისაგან სამი ძე და ორი ასული" [1: 199]. როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიელი კეისრის ასული ელენე ქართლში 468 წელს უნდა ჩასულიყო. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ

დაახლოებით 469-476 წლებში გაუჩინა ვახტანგს კეისრის ასულმა ხუთი შვილი. თუმცა არ არის გამორიცხული ამ მოვლენის განსხვავებულად დათარიღებაც: მაგალითად, ვახტანგის მამას – მირდატს პირველი შვილის შეძენის "შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა და შვა ძე... შემდგომად ამისსა მეექუსესა წელსა, შუა საგდუხტ ასული სხუა [1: 143] და სხვ.

"ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით. და თჳთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა. და დაჲ მისი ხუარანძე მისცა ბაკურს ცოლად, პიტიახშსა სომხითისასა" [1: 199]. ძნელია ზუსტი დასკვნის გამოტანა, მაგრამ არსებული რეალიები და ჯუანშერის გადმოცემა – "თჳთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აშენებდა იგი ნაშენებითა უზომოთა" – ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მცხეთის მოსახლეობაზე გულაცრუებულ მეფეს, დედაქალაქის გადატანა უჯარმაში სურდა. "დაჯდა უჯარმოს, და აშენებდა იგი ნაშენებითა უზომოთი" [1: 199].

აქ გასათვალისწინებელია ლეონტი მროველის ცნობაც, მირიან მეფემ "მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისა, და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას" [1: 70-71].

უჯარმის აშენება ვახტანგმა დაახლოებით 460 წელს დაიწყო [1: 185]. "უჯარმის ნაგებობათა შექმნა დიდი შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დახელოვნებული ოსტატების საქმიანობასთან და დიდ ფინანსურ დანახარჯებთან... უჯარმის ნაგებობების მშენებლობაში უპირველეს ყოვლისა იქცევს ყურადღებას სამშენებლო მასალის გულმოდგინე დამუშავება, ქვის ჭრა, გათლა სწორკუთხა კვადრებად და შენება" [46: 38].

"შესაძლებელია ნაგებობების სახით საქმე გვქონდეს სასახლესთან.

შიდაციხის ტერიტორიაზე სასახლის გარდა შემორჩენილი სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობებიდან განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას "ჯვარპატიოსნად" სახელდებული ეკლესია" [46: 37].

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ მეფემ კათოლიკოს პეტრეს უთხრა: "დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებიეს; და ვეჭუ, ვითარმედ ყოველნი ქალაქნი გარემოს უჯარმოსა იძლივნენ, რამეთუ მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენით" [1: 201-202].

ჩემი ვარაუდით, შესაძლოა, მცხეთის მოსახლეობაზე გულაცრუებულ ვახტანგს სურდა დედაქალაქის უჯარმაში გადატანა (სანამ ირანის მარზპანი, სამხედრო შეიარაღებულ ძალებთან ერთად, თბილისში იყო). ირანელი მოხელის თბილისიდან წასვლის შემდგომ, როგორც ჩანს ვახტანგმა დაიწყო ფიქრი და საფუძველი ჩაუყარა დედაქალაქის თბილისში გადატანის პროცესს.

ბატონი ლ. ჭილაშვილი აღნიშნავს: "ვახტანგ გორგასლის მიერ უჯარმის (ციხე-ქალაქის) აშენება ძირითადად ერთ მიზანს ემსახურებოდა, პოლიტიკური ბატონობის გავრცელებას აღმოსავლეთის პროვინციებზე" [46: 41].

"გადმოცემით, ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული ყოფილა მყინვარის ძირში, გერგეტის მთაზე, ახლანდელ სადგურ ყაზბეგის გასწვრივ ეკლესია, შემდგომში გუმბათიანად გადაკეთებული" [59:76] და სხვა ეკლესიები [იქვე, გვ. 77]. თუმცა, ამჟამად იქ არსებული გუმბათიანი ტაძარი – გერგეტის სამება, XIV საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება [60: 103].

ბოლნისის სიონის კაპიტელი [65]

ბოლნისის სიონის სააღმშენებლო წარწერის მიხედვით, პეროზ შაჰის (459-484წწ.) გამეფების მეოცე წელს ქვემო ქართლი კვლავ ირანელებს ჰქონდათ ოკუპირებული. სწორედ ირანელების გადაწყვეტილებით დაწყებულა 479 წელს, ბოლნისში სიონის დიდი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. სამუშაოები თხუთმეტი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (479+15=494). სამონასტრო კომპლექსის აგება ირანელებს 494 წლისთვის დაუსრულებიათ.

"ბოლნისის სიონის კაპიტელების დეკორატიული მორთულობა გვაგონებს სასანური ხელოვნების ძეგლებს... ხელოვნების ისტორიაში ბოლნისის სიონის კაპიტელების დეკორს არ მოეპოვება უშუალო პარალელები. ცოტად თუ მეტად შორეულ პარალელებს ვპოულობთ სასანური ხელოვნების წრეში" – წერს აკად. შ. ამირანაშვილი [45: 108-109]. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სპარსეთში სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებდა ქრისტიანულ ეკლესიას. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, "სპარსეთს დაქვემდებარებული სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ეკლესიების მეთაურებს, თვით შაჰი ნიშნავდა" [37: 343]. შ. ამირანაშვილის თეზისს ერთგვარად ადასტურებს თ. საყვარელიძეც: "ცხოველთა ფიგურები და ზოგიერთი მცენარეული სახეები, რომელნიც თემატიკურადაც თავისი სტილითაც წინა აზიის ადრექრისტიანული და სასანური ხელოვნების წრეში ექცევა – აშკარად მოწმობს, რომ ეს ჯერ კიდევ შემოქმედებითი განვითარების დასაწყისია მხოლოდ" [50: 16].



ბოლნისის სიონის საადმშენებლო წარწერა

თავი VII

I. ანტიირანული აჯანყებები

ირანში პოლიტიკური ვითარება ძალზედ არასახარბიელო შეიქნა. პეროზსა და ჰეფტალიტებს შორის ურთიერთობა კვლავ დაძაბული იყო. "პეროზმა ჰეფტალიტებთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, მათ მეფეს ცოლად შესთავაზა თავისი ასული, მაგრამ გაუგზავნა სხვა ქალიშვილი, რომელმაც სინამდვილე გაამჟღავნა. განრისხებულმა ჰეფტალიტების მეფემ პეროზს სთხოვა სარდლების გაგზავნა თითქოს ჯარის ინსტრუქტაჟისათვის. როდესაც სარდლები მივიდნენ ჰეფტალიტებთან, მეფემ მათი ნაწილი დაახოცინა, ნაწილი დაასახიჩრა და გაუგზავნა პეროზს, იმის შესატყობინებლად, რომ ეს მისი შურისძიებაა. ომი განახლდა" [6: 33].

ამიერკავკასიის ქვეყნებში, როგორც ჩანს, ყველაფერი იცოდნენ ირანში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ.

"V ს-ის 80-იანი წლებისათვის პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიაში კიდევ უფრო დაიძაბა. დაიწყო აჯანყება ალვანეთში. ირანელებმა, რომელთაც სამხედრო კონტიგენტი რეგიონში, ჩანს მცირე ჰყოლიათ, სომხები აიძულეს აჯანყებულთა წინააღმდეგ წასულიყვნენ და სწორედ ასეთ გართულებულ ვითარებაში, როგორც ... ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს: "ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი, მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს ანუ 482 წ." [4: 174-175], ვინაიდან 482 წ. პეროზის გამეფების ოცდამესამე წელი გახლდათ, ამიტომ მკვლევარი ნ. ჯანაშია წერს: "ლაზარ ფარპეცს აქ შეცდომა მოსვლია. სინამდვილეში ვარსქენი მოუკლავთ 482 წელს" [22: 48], ანუ პეროზის გამეფების ოცდამესამე წელს.

ამდენად, 482 წელს ალვანეთში ანტიირანული აჯანყება დაიწყო. ირანელებმა (რადგან მათი სამხედრო კონტიგენტი ალვანეთში მცირე იყო) სომხეთში გამოაცხადეს მობილიზაცია და აჯანყებულ ალვანელებს სომხები დაუპირისპირეს.

ქართლის სამეფო კარი, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული ირანში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, თავისი შეიარაღებული სამხედრო ძალებით ფარულად გადავიდა ირანის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, დაამარცხა "დე ფაქტო" ხელისუფლება და მოაკვლევინა რანის ერისთავი ვარსქენი. "მაშინ ბაკურ – აქ, ბაკური, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია გამოთქმული მოსაზრება, გადამწერის მექანიკური შეცდომაა. უნდა იყოს ვახტანგი – მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველთა ერისთავთა მისთა და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად და წარემართა ვასქენს ზედა პარვით რამეთუ ვასქენ ველსა გარე დგა კიდესა მტკურისასა, სადა მიერთვის მდინარე ანაკერტისა მტკუარსა, დაესხა და შეიპყრა ვარსქენ. დაჭრეს წურილად და ასონი მისნი დამოჰკიდეს ხესა" [1: 216]. ამით ფაქტობრივად ვახტანგმა საკუთარი იუ-

რისდიქცია ქართლის მთელ ტერიტორიაზე აღადგინა. ვახტანგ მეფემ იცოდა, რომ ამ ფაქტს ირანი უყურადღებოდ არ დატოვებდა და ცდილობდა დიპლომატიის საშუალებით შეერბილებინა თავისი ქმედება. "ამან ბაკურ (ვახტანგი. ვ.ღ.) მეფემან წარგზავნა მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, აუწყა ესე ყოველი, და ითხოვა მისგან შენდობა. მაშინ სპარსთა მეფემან განიზრახა გონებასა თჳსსა, და თქუა: "უკეთუ შევრისხე ქართველთა, განერთნენ იგინი ბერძენთა". და შენდობა აღირჩია: გამოგზავნა მოციქული ბაკურისა (ვახტანგისა. ვ.ღ.) პასუხითა კეთილითა; რამეთუ ყოველი გმობა და ბრალობა ვარსქენ მოკლულისა უბრძანა, და ამართლა ბაკურ (ვახტანგი. ვ.ღ.) სიკუდილისა მისსა. და წარმოგზავნა რანსა და მოვაკანს სხუა ერისთავი, რომელსა ერქუა დარელ და უბრძანა, რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა" [1: 216-217].

ჯუანშერის ეს მონათხრობი თანხვედრაშია სომეხი მემატიანის ლაზარ ფარპეცის მონათხრობთან – "ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბდეშხი ვაზგენი". ამდენად, 482 წელს ვახტანგმა მოაკვლევინა ვარსქენი და ქვემო ქართლში თავისი იურისდიქცია აღადგინა. ირანი (უაღრესად რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე) იძულებული გახდა გარკვეულ დრომდე უარი ეთქვა ქვემო ქართლზე ბატონობის პოლიტიკურ ამბიციებზე.

ამდენად, ვახტანგ გორგასალმა კვლავ შემოიერთა ქვემო ქართლი. ("აჯანყების პირველ წელს ვახტანგს, ეტყობა მოუხერხებია ირანელების ქართლიდან განდევნა" [22: 49]).

სავარაუდოა, რომ ირანის წინააღმდეგ შეიარაღებული ქმედებების დაწყებამდე ვახტანგს სამხედრო დახმარებას ჰუნები დაჰპირდნენ. ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს: "აჯანყების წინ ვახტანგს განუცხადებია, მე ბრძოლას არავის დავანახვებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგენო" [22: 47-48]. როგორც ჩანს, ირანის სამეფო კარის წარმომადგენლობას საკუთარმა აგენტებმა (რომლებიც უხვად იყვნენ ვახტანგ გორგასლის გარემოცვაში) გადასცეს მეფის მუქარა და ირანმაც მიიღო შესაბამისი ზომები. "შემდეგში ვახტანგი, მართლაც ელოდა ჰუნთა ჯარს, მაგრამ პირობა რატომღაც არ შესრულდა" [22: 48]. მე კი ვფიქრობ, რომ, ჰუნებს ირანელებმა გადააფიქრებინეს ვახტანგ მეფის დახმარება, სწორედ ირანელების ძალისხმევის შედეგად "პირობა... არ შესრულდა."

ვარსქენის სიკვდილის შემდეგ, ირანის სამეფო კარმა ქართლს რანისა და მოვაკანის ახალი ერისთავი – დარელი წარგზავნა. სავარაუდოა, რომ რანისა და მოვაკანის ახალმა ერისთავმა, ადმინისტრაციული ერთეულის დედაქალაქი კვლავ ბარდავში გადაიტანა.

მემატიანეები არაფერს გვიამბობენ ვარსქენის ოჯახის წევრების შესახებ.

ჩემი აზრით, აქ მსგავსი შემთხვევების ტიპური ფაქტი განხორციელდა, ანუ ვარსქენის ოჯახის წევრებმა მოახერხეს ქართლიდან წასვლა.

რაც შეეხება საპიტიახშოში ხელისუფალთა ჩანაცვლებას, ვფიქრობ, ვახტანგ მეფემ საპიტიახშოს რეალური ხელისუფლება გადასცა სიძეს, დის – ხურანძეს მეუღლე ბაკურს, რომელიც სომხითის პიტიახში გახლდათ. ("დაჲ მისი ხუარანძე მისცა ბაკურს ცოლად, პიტიახშსა სომხითისასა" [1: 199]. საპიტიახშოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების შესახებ იაკობ ცურტაველი გვაუწყებს, რომ აქ (ვარსქენის ოჯახის წევრების გარდა) სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებული საზოგადოება არსებობდა. "მსგავსად მისივე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი..." [26: 241]. ვფიქრობ, გარკვეული რიტუალის ჩატარების (ფიცის დადება) შემდეგ, ვახტანგ მეფემ ამ საზოგადოებას არ წაართვა პრივილეგიები, დაუტოვა სახელისუფლებო თანამდებობები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანელთა წინააღმდეგ ამ აჯანყებაში სომხების მონაწილეობას. ამიტომ ქართლის მეფე უთუოდ გაამხნევებდა სომხებს და, შეძლებისდაგვარად მიაშველებდა დამხმარე სამხედრო ძალას. ლაზარ ფარპეცის მიხედვით, 482 წლის მიწურულს ვახტანგ გორგასალმა ჰუნთა სამასკაციანი რაზმი გაუგზავნა სომხებს დასახმარებლად. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ჰუნთა სხვა სამხედრო დამხმარე ძალის გადმოყვანა ქართლის სამეფო კარმა ვერ მოახერხა. მალე ქვემო ქართლში კვლავ შეიცვალა ვითარება. ვფიქრობ, ვარსქენ პიტიახშის ახლობლებმა ირანის ხელისუფლების წაქეზებითა და დაფინანსებით დაიწყეს აჯანყება ვახტანგ გორგასლის წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასალი იძულებული შეიქნა უკან გამოეთხოვა სომხეთიდან ჰუნების სამასკაციანი რაზმი. ისტორიკოს ლაზარ ფარპეცის სიტყვებს ნათლად განგვიმარტავს აკად. დ. მუსხელიშვილი.

"483 წლის გაზაფხულზე სპარსელებმა ორი დიდი ლაშქარი გამოგზავნეს: ქართლში – მიჰრანის, სომხეთში კი – ატრნერსეს მეთაურობით. ვახტანგ გორგასალმა დაინახა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა დიდძალ სპარსელებს და თავი ქართლისა და სომხეთის საზღვარზე მთებს შეაფარა, თან სომხებს დესპანი გაუგზავნა, რომ დახმარებოდნენ. ამასობაში სომხებს ერთ-ერთ ბრძოლაში კვლავ სასტიკად დაემარცხებინათ სპარსელები და წალკოტის გავარში ისვენებდნენ. როდესაც ვახტანგის ამბავი მიუვიდათ, ვაჰან მამიკონიანი სომეხთა მთელი ჯარით მისკენ გაეშურა და კანგარის მთებში ქართლის სამხრეთ საზღვარზე დაბანაკდა" [4: 175-176]. ეს კი ნიშნავს, რომ: 1. ვახტანგ გორგასალი მოუმზადებელი დახვდა სპარსელთა შემოსევას. როგორც ჩანს, ვახტანგი ენდო სპარსეთის შაჰის ოფიციალურ განცხადებას – "წარმოგზავნა რანსა და მოვაკანსა სხუა ერისთავი, რომელსა ერქუა დარელ და უბრძანა, რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა" [1: 217].

სავარაუდოა, ვახტანგმა თვითონაც დაიჯერა და სხვებიც დააჯერა, რომ სპარსეთის სამეფო კარი ადვილად შეეგუებოდა ქართლის დაკარგვას.

ამრიგად: 1. ქართლის სამეფო კარს აღარ ჰყავდა ფარული აგენტები ირანის სამეფო კარზე, ე.ი. შაჰის საიდუმლო სამსახურმა ქართლის სამეფო კარის ემისრების

მხილება და დაპატიმრება მოახერხა. 2. აქედან გამომდინარე, სპარსეთის ჯარი მიჰრანის ხელმძღვანელობით, ისე შევიდა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, რომ ქართველებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. 3. სპარსელებმა გაიგეს ვახტანგის ადგილსამყოფელი და ისიც, რომ მას მცირერიცხოვანი ჯარი ახლდა. ისინი ცდილობდნენ ალყაში მოექციათ ქართველები. 4. ვახტანგ გორგასალმა გააცნობიერა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა სპარსელთა დიდძალ ჯარს და ქართლისა და სომხეთის საზღვარზე მდებარე მთებს შეაფარა თავი. 5. ირანელებმა ვახტანგს ქართლისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს, ამიტომ ვახტანგი სამხრეთით აღმართულ მთებში ავიდა. ირანელებმა ვერ გაბედეს მთებში აჰყოლოდნენ მეფეს და იქვე ბარში დაბანაკდნენ. ისინი ბარიდან აკონტროლებდნენ ქართლისაკენ მიმავალ ყველა გზას. 6. რადგან ქართლის გზა გადაკეტილი იყო და ქართლიდან ჯარს არ ელოდა, ვახტანგ მეფემ დახმარება სომხებს სთხოვა. 8. სომხების ჯარი, ვაჰან მამიკონიანის ხელმძღვანელობით წამოვიდა ვახტანგ გორგასლის დასახმარებლად და დაბანაკდნენ კანგარის მთებში სომხეთ-ქართლის საზღვართან, ვახტანგის ბანაკის სიახლოვეს.

"ვახტანგს, ჩანს, უნდოდა სასწრაფოდ შებმოდა სპარსელებს, ჰუნთა დახმარების გარეშე და ამიტომ ცდილობდა დაეთანხმებინა სომხები ჩასულიყვნენ ბარად, რომ იქ ერთად შებმოდნენ მტერს. სომხები კი ჰუნთა მოსვლამდე შებმას სპარსელებთან ერიდებიან მათი მრავალრიცხოვანების გამო. როგორც ისტორიკოსი გადმოგვცემს, ვაჰანს ამავე დროს ადარდებდა "სომეხთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგვოდა მხნეობა, დაუძლურებულიყო", ამიტომ სომხები არ თანხმდებოდნენ" [4:176]. ეს კი რეალურად ამგვარად გვესახება:

1. მეფე ვახტანგის ხელმძღვანელობით სომხეთ-ქართლის საზღვართან, მთებს შეფარებული ქართველთა სამხედრო რაზმი შეჭირვებული გახლდათ, სავარაუდოდ, საბრძოლო იარაღისა (მაგ. ისრის პირები, ხმლები...) და საკვები პროდუქტების მწვავე უკმარისობამ იჩინა თავი.

2. მეფეს არ სურდა ქართველთა შეჭირვებული მდგომარეობის შესახებ გაეჟონა ინფორმაციას, ამიტომ ვახტანგი ჩქარობდა რომ, სასწრაფოდ შეერთებოდნენ სომხები, და ერთიანი ძალით შებრძოლებოდნენ სპარსელებს, რათა, როგორმე თავი დაეღწია ამ ხაფანგისგან.

3. სომხეთის სარდლები, მთელი შეიარაღებული ძალები ფრთხილობდნენ. მათი პოზიცია ამგვარი იყო: ქართველთა დასახმარებლად ბრძოლაში იმ შემთხვევაში მიიღებდნენ მონაწილეობას, თუკი გამარჯვების მყარი გარანტია ექნებოდათ. გამარჯვების გარანტია ჯარის მრავალრიცხოვნობა გახლდათ. ჯერჯერობით კი უფრო მრავალრიცხოვანნი და უფრო ძლიერნი სპარსელები იყვნენ.

4. გარდა ამისა, სომხები თხოულობდნენ, ვახტანგ მეფეს შეესრულებინა თავისი პირობა – ჰუნთა დაქირავებული რაზმები საკუთარ ჯარში გაეერთიანებინა.

5. ვახტანგ მეფეს ამ პირობის შესრულება არ შეეძლო. ის სპარსელების ალყის მძევალი იყო, მაგრამ ამ ფაქტის გამჟღავნება წარმოუდგენელი გახლდათ – ეს რომ გაეგოთ სომხებს, აღარ დაეხმარებოდნენ ქართლელებს, აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ქართლელები უთუოდ დამარცხდებოდნენ და განადგურდებოდნენ. ამიტომ ვახტანგ გორგასალი სხვადასხვა ხერხით ცდილობდა სომხების დარწმუნებას იმაში, რომ ვითომდა ჰუნები უკვე მასთან იყვნენ.

6. სომეხთა ჯარში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გაავრცელეს ხმები სპარსელთა ძლიერებისა და მრავალრიცხოვნობის, ხოლო სომეხთა და ქართველთა ჯარის სისუსტის შესახებ. ერთი სიტყვით, სომეხთა უმოქმედო ჯარი ყოველდღიურად იხრწნებოდა.

შემდგომ მოვლენები ამგვარად განვითარდა: ვახტანგ მეფემ დაითანხმა სომეხთა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა დახმარებოდა მას. სომეხთა და ქართველთა ჯარები მტკვრის ნაპირას გარდაბანში, ჭარმანაინის ველზე დაბანაკდნენ. "რადგანაც შეფიცულნი იყვნენ სახარებითა და ჯვრით ქართველთა მეფე ვახტანგთან, სომეხთა მთელი ჯარი დაუყოვნებლივ მივიდა ქართველთა მეფესთან" [21: 249]. ამავე მიდამოებში, მტკვრის მეორე ნაპირზე დაბანაკდა სპარსელთა ჯარიც. ბრძოლის წინა სამზადისი, ფაქტობრივად, დასრულდა. ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქარი ამგვარად განლაგდა: ცენტრსა და მარჯვენა ფრთაზე განაწილდნენ სომხები, ქართველებმა (გამომდინარე მცირერიცხოვნობიდან) მხოლოდ მარცხენა ფრთა დაიკავეს. ირანელები გადმოვიდნენ მტკვრის მეორე ნაპირზე და ემზადებოდნენ ქართველ-სომეხთა ლაშქარზე თავდასასხმელად. ვაჰან მამიკონიანი აღარ დაელოდა ირანელთა შემოჭრას და თვითონ გადავიდა შეტევაზე. შეტევა წარმატებული გახლდათ, სპარსელებმა უკან დაიხიეს, ბევრი მათგანი მტკვრით გადავიდა მეორე ნაპირზე. ქართველ-სომეხთა წარმატება, თითქოსდა უტყუარი გახლდათ. მაგრამ, სწორედ ამ პერიოდში სომეხთა ჯარიდან მასიურად გადავიდნენ სპარსელთა მხარეზე მოღალატეები, რასაც მებრძოლთა რიგების არევ-დარევა მოჰყვა. პანიკა მთელ ჯარს მოედო და მალე სომეხ-ქართველთა ლაშქარმა უსისტემოდ დაიხია უკან, გაიქცა. "სომეხთა მთელი ჯარი და მასთან ერთად ქართველთა გამოუსადეგარი ჯარი თავის მეფე ვახტანგთან ერთად დაიშალა და დაიფანტა" [21: 263]. სპარსელები დაედევნენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ სომეხ-ქართველთა ლაშქარს და მუსრი გაავლეს. ქართველ-სომეხთა ლაშქრის მხოლოდ გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა ბრძოლის ველიდან გასვლა. ლაზარ ფარპეცის მიხედვით, ვაჰან მამიკონიანი სამხრეთ-დასავლეთით გადაადგილდა და ტაოში გამაგრდა. სავარაუდოა, რომ ამ დროს ვახტანგ გორგასალი ქართლში იყო და ჯარს კრებდა.

მალე ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა უკან გაეწვია მხედართმთავარი მიჰრანი და მისი ჯარი. ბრძოლები დროებით შეწყდა. "ბიზანტიამ არავითარი დახმა-

რება არ აღმოუჩინა ამიერკავკასიის ქვეყნებს ირანის წინააღმდეგ 482 წ. დაწყებული აჯანყების მსვლელობაში" [52: 124].

484 წლის გაზაფხულზე ირანმა ახალი ლაშქარი (ზარმიჰრ ჰაზარავუხტის ხელმძღვანელობით) დაძრა. სპარსელები სომხეთში შევიდნენ. სომხებს არ ჰქონდათ საშუალება ერთიანი ძალით გაეწიათ წინააღმდეგობა სპარსელებისთვის და პარტიზანულად შეებრძოლნენ. მალე ირანელთა სარდალმა ახალი ბრძანება მიიღო – "ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრო, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა" [21: 263]. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ირანის ჯარების სარდალი ზარმიჰრ ჰაზარავუხტი ქართლში უნდა გადასულიყო ვახტანგ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა მეფე ვახტანგი ან შეეპყრო, ან მოეკლა, ან კი საერთოდ განედევნა ქართლიდან. ირანელთა მიზანი ქართლის დაპყრობა არ ყოფილა. ირანის სამხედრო ძალები ქვემო ქართლში გადავიდა, სადაც შეკრიბა ადგილობრივი დიდებულები, რომლებიც თავიდანვე მხარს არ უჭერდნენ ვახტანგს. მათ შეუერთდნენ ისინიც, ვინც გორგასალს შემდგომში განუდგნენ. ჰაზარავუხტმა დიდი წყალობა აღუთქვა ყველას და მათგან რაზმიც კი შეადგინა. ქვემო ქართლის დიდებულები, რომელნიც წლების განმავლობაში არ ემორჩილებოდნენ ქართლის სამეფო კარის იურისდიქციას, ადვილად გაერთიანდნენ ირანის ჯარში ვახტანგ გორგასლის წინააღმდეგ საბრძოლველად. მალე ეს ანტიქართული ძალები კიდევ უფრო გაძლიერდა და "ვახტანგმა თავი შეაფარა ეგრისს" [22: 52].

როგორც ჩანს, ქართლში ამ პერიოდში, გორგასლის მოწინააღმდეგე ძალები იმდენად გაძლიერდა, რომ ვახტანგ მეფემ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დატოვა ქართლი და ეგრისში გადავიდა. აკადემიკოს დ. მუსხელიშვილის მონაცემებით, ეგრისი ამ დროს ვახტანგ გორგასალს ექვემდებარებოდა [57:213].

შედარებისათვის: 460 წელს, ვახტანგ მეფემ ქართლში შემოსულ ირანელთა ურდოებს პირველი ბრძოლები თბილისთან გაუმართა. "მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მჴედარი და ასი ათასი ქუეითი იპყრა მის თანა და დაუბანაკა მათ დიღმით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩაღმართ" [1: 179]. მტრის რიცხობრივი ოდენობა 300.000 შეადგენდა. ქართლელი მებრძოლებისა კი 200.000. სხვაობა თვალში საცემია – ირანელები 100.000 მებრძოლით ჭარბობდნენ ქართლელებს. მაგრამ ვახტანგ გორგასალი გამეტებით იბრძოდა, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ირანელებს, რათა ქართლის დედაქალაქ მცხეთაში არ შეეშვა მტერი.

484 წლისთვის კი ვახტანგ გორგასალმა თითქმის უბრძოლველად დატოვა ქართლი (ბუნებრივია, დედაქალაქი მცხეთაც) და ეგრისს შეაფარა თავი. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ირანის სახელმწიფო სტრატეგია არ ითვალისწინებდა ქართლის დაპყრობას, რაც, როგორც ჩანს, კარგად იცოდა ვახტანგ გორგასალმა, ქართლის მეფემ იცოდა ისიც, რომ ამ პერიოდში ირანს ქართლის დაპყრობის რესურსი არ გააჩნდა.

ვითარება მოულოდნელად შეიცვალა "ირანიდან მოვიდა პეროზისა და ირანელთა ჯარის დაღუპვის ამბავი. შეშინებულმა ჰაზარავუხტმა ქართლში დარჩენა ვეღარ გაბედა და სასწრაფოდ ირანში გაბრუნდა" [22: 52]. როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალი ირანის ჯარის გასვლის შემდეგ ძალიან მალე დაბრუნდა ქართლში. სავარაუდოა, რომ ქართლში დაბრუნებულმა ვახტანგმა ხელისუფლების მოღალატე წარმომადგენლები დასაჯა.

ამრიგად, როგორც ჩანს, ვახტანგი კარგად გრძნობდა ეგრისში გადასვლის საჭიროების დროებითობას და მტერს არ დაანგრევინა, არ გააპარტახებინა ქართლი.

პეროზ შაჰის დაღუპვის შემდეგ ირანის სამეფო ტახტზე მისი ძმა ვალაში ავიდა (484-488 წწ.). ვალაში ბუნებით მშვიდი და დამთმობი ყოფილა. ვალაშის ტახტზე ასვლის პერიოდში ირანი ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ხაზინა ცარიელი ყოფილა და ირანელები ჯარის შენახვას ვერ ახერხებდნენ [6: 34]. ამის გამო ირანი იძულებული გახდა მრავალი რამ დაეთმო. კერძოდ: სომეხთა მოთხოვნით, ირანელებმა პირობა დადეს შეეწყვიტათ ქრისტიანების დევნა, არ დაერღვიათ ადგილობრივი ტრადიციები და მნიშვნელოვანი საქმეები თავად შაჰს განეხილა. ირანელებმა გამოაცხადეს, რომ ისინი არ ადანაშაულებდნენ აჯანყებულებს, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ აჯანყება თვით პეროზის ძალმომრეობამ გამოიწვია. ირანელებს ბევრი რამ ალბანელებისთვისაც დაუთმიათ, კერძოდ – ალბანეთში მეფობა აღუდგენიათ [22: 52]. ისტორიული წყაროები არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკური პროცესები განვითარდა ამ პერიოდის ქართლში. ჩვენ, მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ირანის მიერ ოკუპირებული ქართლის ტერიტორიები, მაგ. საპიტიახშო, კვლავ ქართლის იურისდიქციას დაემორჩილა. როგორც ჩანს, ქართლიდან გავიდა ირანის მარზპანი, თავისი შეიარაღებული ძალებითურთ; ირანის წარმომადგენლობითი ცენტრები გაუქმდა ცურტავში, თბილისსა და მცხეთაში (შესაძლებელია სხვა რეგიონებშიც), ვახტანგ გორგასლის იურისდიქცია მთელ ქართლში აღდგა. ყოველივე ამან შექმნა ისეთი პოლიტიკური ვითარება, რომ მეფემ შეძლო დაეწყო მზადება დედაქალაქის თბილისში გადასატანად. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდგომ განვითარებული მოვლენები. 488 წელს ირანში პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. შაჰ ვალაშის ნაცვლად სამეფო ტახტზე პეროზის ვაჟი კავადი ავიდა. გამეფებიდან რამდენიმე ხანში კავადმა მაცნე გაუგზავნა ვახტანგ მეფეს ქართლში და მოუწოდა ირანელებთან ერთად ებრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ. "ვითარცა მოვიდა მოციქული წინაშე ვახტანგ მეფისა, და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა" [1: 200]. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ვახტანგ გორგასალმა მთელ ქართლში აღადგინა საკუთარი იურისდიქცია და მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადასატანად მზადება 484-488 წლებში დაიწყო.

სამხრეთ ამიერკავკასიის ქვეყნებმა 482-484 წლების აჯანყების შედეგად ვერ შეძლეს ირანისაგან სრულად გათავისუფლება. მათ მხოლოდ მცირე დროით აიძულეს ირანი მნიშვნელოვან დათმობებს შეგუებოდა. ირანის ამგვარი მდგომარეობა 488 წლამდე გრძელდებოდა. ეს პერიოდი ვახტანგ გორგასალმა წარმატებით გამოიყენა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და სააღმშენებლო სამუშაოებისათვის. "ვახ-ტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა" [1: 200].

კავად შაჰის მონეტა

ირანის სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალებების შემდგომ – "V-VI სს. მიჯ-ნაზე ირანი შეძრა დიდმა სახალხო მოძრაობამ, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვა-ნი ცვლილებები ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობაში. ფართო მასების მოძრაობა გან-საკუთრებით გაძლიერდა V ს-ის ბოლოსათვის. სტიქიურმა უბედურებამ, გვალვამ, მო-უსავლიანობამ ამ აჯანყებას ბიძგი მისცა 491 წელს" [6: 41-43]. ამას დაერთო საგარეო გართულებები. კერძოდ, სომხეთში დაიწყო ანტიირანული აჯანყება. აჯანყებულებმა დაამარცხეს ირანელი მარზპანი [3: 80] და გამარჯვება იზეიმეს. ირანის სამეფო კარი, როგორც ჩანს, კარგად აცნობიერებდა, რომ სომხეთის აჯანყება ქართლის მიერ საგა-რეო პოლიტიკური ორიენტაციის ცვლასთან იყო დაკავშირებული. საპიტიახშოში ვახ-ტანგ გორგასლის იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, ირანის ხელისუფლებას აღარ ეპყრა ხელთ ქართლის ხელისუფლებაზე ზემოქმედების ბერკეტები. ქართლის ხელი-სუფლება ხარკს აღარ უხდიდა ირანს ("უწყოდე, ეუბნება მეფე ვახტანგი კათალიკოს პეტრეს, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათჳს გუბრძვანან" [1:201]) და არც პოლიტიკუ-რად აღიარებდა ირანის უზენაესობას. ქართლის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლისთვის მზადება დაიწყო სომხეთ-მა. პროცესი აშკარად შეუქცევადი და ირანისთვის საშიში ხდებოდა. მის შესაჩერებ-ლად ირანის ხელისუფალთ მკვეთრი ადმინისტრაციული ქმედებები უნდა განეხორცი-ელებინა.

ზოგადად, ქვეყნის შიგნით არსებული ვნებათაღელვის ჩასაქრობად ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი, ხალხის მასების ყურადღების საშინაო საკითხებიდან საგარეო პრობლემებზე გადატანა გახლავთ. და ირანმაც ამ ხერხს მიმართა.

2. აჯანყებულთა მარცხი

491 წლის [3: 197-201] გაზაფხულზე ირანის შაჰმა კავადიმ ბიზანტიაში ელჩობა გაგზავნა და კავკასიის უღელტეხილის დასაცავად ფული მოითხოვა. ირანელი ელჩები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, როდესაც ბიზანტიის იმპერატორის ზენონის გარდაცვალების (491 წლის 9 აპრილი) ამბავი შეიტყვეს [3: 79]. ბიზანტიის იმპერატორის ტიტული ანასტასიონ II-ეს ერგო. ირანის ელჩებმა, კავადის ბრძანების შესაბამისად, გააგრძელეს გზა. მათი მოთხოვნა იყო – ბიზანტიის იმპერიას, შეთანხმებისამებრ, კავკასიის უღელტეხილის დასაცავად გაეღო ოქრო (ფული) და იმ შემთხვევაში თუ ფულს არ გადაიხდიდა, ირანთან საომრად მომზადებულიყო. ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, როგორც ჩანს, განიხილეს ეს წინადადება და გადაწყვიტეს არ მიეცათ ირანისათვის ოქრო, რადგან უღელტეხილს ქართლის სამეფო აკონტროლებდა, ხოლო ქართლის მეფე ვახტანგი კი ბიზანტიის სტრატეგიული მოკავშირე გახლდათ. ბიზანტიაში, ფიქრობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე მათი მოკავშირე გახდა, ბიზანტიას ირანისთვის ოქრო აღარ უნდა მიეცა. და ბიზანტიის საიმპერატორო კარმა, ირანის ელჩებს უარი უთხრა ოქროს გაღებაზე. ირანის შაჰის კარზე, სწორად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია და ქართლში ელჩობა გაგზავნეს, ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მოთხოვნით.

ამრიგად: 1. 491 წელს ირანის სამეფო კარმა ქართლის მეფეს გაუგზავნა მოციქული და დიპლომატიური ეთიკის ნორმების ფარგლებში მოითხოვა, ქართლის ხელისუფლება ჯარით დახმარებოდა ირანის ხელისუფლებას ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. "შენ წარმიძღუე ჩუენ, მეფეო, წინამძღურად ჩუენდა შესლვასა ამას ჩუენსა საბერძნეთად" [1: 200].

2. პოლიტიკური კავშირის განმტკიცების მიზნით, ირანმა ვახტანგ გორგასალს შესთავაზა ქალიშვილი მიეთხოვებინა ირანის შაჰისთვის. "მომცე ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა შენთაგანი" [1: 200].

ირანის სამეფო კარზე, სავარაუდოდ, ფიქრობდნენ, რომ თუ ირანის ჯარი ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით შეიჭრებოდა ბიზანტიის ტერიტორიაზე, შესაძლებელი იყო ბიზანტიას ომის განუახლებლად გადაეხადა ოქრო ირანისთვის.

მოგვიანებით ვახტანგ მეფემ, პეტრე კათოლიკოსთან საუბარში გაამჟღავნა (იხილეთ ზემოთ) ირანელთა თავდასხმის კიდევ ორი მიზეზი: "არა ხარკისა მიცემისათჳს გუბრძვანან" [1: 201], ე.ი. ხარკის გადაუხდელობა არ ყოფილა მთავარი საბაბი, "არამედ (გვებრძვიან) ქრისტეს დატეობისათჳს" [1: 201]. ანუ, ქართლის ხელისუფლებას უნდა შეეცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი და კვლავ დაბრუნებოდა ირანულ პოლიტიკურ ორიენტაციას. ამით ირანელები ზეგავლენას მოახდენდნენ ბიზანტიაზე და აიძულებდნენ ბიზანტიას გადაეხადა ოქრო.

"მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა" [1: 200], ე.ი. ეს მოხდა (431+60 = 491) 491 წელს.

სავარაუდოა, რომ ირანის ხელისუფალთა ამ მოთხოვნებს, ქართლის ხელისუფალზე ზემოქმედებისთვის, მოჰყვებოდა რანის საერისთავოში ჯარის მობილიზაციის დაწყება.

როგორც ჩანს, ირანის მოთხოვნა ქართლის სამეფო კარმა სახელმწიფო საბჭოზე განიხილა. ***გავიხსენოთ:*** 441 წელს, ჩრდილოეთ კავკასიაში ჰუნ-ოსებზე საპასუხო ლაშქრობის წინ მოწვეულ იქნა სახელმწიფო საბჭო. ასევე, 460 წელს, მცხეთის ბრძოლების შემდგომ, სახელმწიფო საბჭო შეიკრიბა. ანუ, ვახტანგი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს სახელმწიფო საბჭოსთან ერთად განიხილავდა. სავარაუდოა, რომ სახელმწიფო საბჭოზე ირანის მოთხოვნის გაანალიზების შემდეგ წარმოთქვა მეფემ ჯუანშერის მიერ დაფიქსირებული წინადადება: "უთხარით მეფესა ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად, რამეთუ ძალნი რომელნი იქმნნეს ყოველნი ძალითა ჯუარისათა იქმნნეს, აწ ცხოვრება ჩუენი იყავნ სასოებითა ჯუარცმულისათა" [1: 200].

ამდენად, 491 წელს ირანელთა ქართლში შეჭრის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ბიზანტიელების მიერ ირანელებისთვის კავკასიის უღელტეხილის გასამაგრებლად გასაღები თანხის გადაუხდელობა იყო. ირანის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ თუ ქართლის მეფე უარს იტყოდა ბიზანტიასთან ურთიერთობაზე და თავისი ჯარით ირანის ლაშქრობას დაექვემდებარებოდა, ირანი ბიზანტიაზე ზემოქმედებას შეძლებდა, რის შედეგადაც ფულს მიიღებდა.

ქართლის სამეფო კარმა უარყო ირანის შაჰის წინადადება. ირანის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ელოდა ქართლის ხელისუფალთა ასეთ პასუხს და აქტიური მოქმედებაც დაწყებული ჰქონდა. კერძოდ, ქვემო ქართლის – საპიტიახშოს ტერიტორიაზე, ჯარი შეიყვანა. ქართლის სამეფოს მმართველები მოუმზადებელნი დახვდნენ საომარი მოქმედებების დაწყებას – "და წარავლინა ქადაგი, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი, და შეივლტოდიან კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა მიერ" [1: 200].

როგორც აღვნიშნე, სავარაუდოა, რომ 460 წლამდე ქვემო ქართლიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოიდევნა (იხ. ზემოთ). 482 წლიდან, როდესაც ვახტანგ გორგასალმა ქვემო ქართლში სამეფო ხელისუფლება აღადგინა, იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ძველ საცხოვრებელ ადგილებს უნდა დაბრუნებოდა. ანუ, მათ კვლავ დაემუქრა სიცოცხლისთვის საშიში საფრთხე.

ქართლის სამეფო კარმა სწორი და მარტივი გადაწყვეტილება მიიღო. ქვემო ქართლში გაგზავნა მოქადაგენი, მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებების ტერიტორიებიდან და მათი მიმდებარე დაუცველი სოფლებიდან, მოსახლეობის ევაკუირებისა და შედარებით უსაფრთხო ადგილებზე გადასაყვანად. "და შეივლტოდიან კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა მიერ" [1: 200].

დაუცველი ტერიტორიებიდან მოსახლეობის გაყვანის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა მათ დასაცავად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. მაგ: უფლისწულ დაჩის, რომელიც ხშირად მეფის ფუნქციასაც ასრულებდა, ჩააბარა კახეთში ლოპოტის ხევი, სადაც უამრავი ადამიანი იყო თავშეფარებული. თავად ვახტანგ გორგასალის მეუღლე და შვილები გადავიდნენ "უჯარმის ჭევსა. წინარა ციხესა თჳთ შედგა, და თანა ჯუანშერ და ადარნასე. ხოლო მცხეთას დემეტრე და ნერსე და ბივრიტიანი დაუტევა" [1:200]. ამდენად, მტერმა ისე სწრაფად გადაკვეთა ქართლის საზღვრები, რომ ქართლის სამეფო კარმა ერთიანი ჯარის შეკრებაც ვერ მოასწრო და გაიცა ბრძანება, რათა მოსახლეობა ცალკეულ გამაგრებულ ტერიტორიებზე გაეყვანათ, ხოლო სამხედრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს ეს ადგილები დაეცვათ. განსხვავებული მოსაზრება აქვს ი. შაიშმელაშვილს: "გორგასალმა იცოდა სპარსთა საომარი სამზადისის შესახებ და ლაშქარიც დროზე შეყარა" [56: 49], რასაც მე ვერ გავიზიარებ.

3. ბრძოლა იორზე, უჯარმის მიდამოებში

491 წ. გაზაფხულზე სპარსეთის ჯარი [3: 73-82] ჰერეთის გავლით შევიდა ქართლში. ირანის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდა ვახტანგ მეფე ოჯახითურთ და უჯარმისაკენ გაემართნენ. გზად ირანელებმა ვახტანგ მეფეს დაქვემდებარებული გამაგრებული ქალაქი ხორნაბუჯი (ქალაქი კამბეჩუანი) სწრაფი იერიშით აიღეს და გაანადგურეს. შემდეგ თავს დაესხნენ ჭერემის ციხესა და ველისციხეს. მემატიანე არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვის დაავალა ვახტანგმა ქ. ხორნაბუჯის, ჭერემისა და ველისციხის დაცვის ხელმძღვანელობა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს ტერიტორიები მეფეს დაჩისთვის გადაუცია. "ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და

ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელი არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით" [1: 199]. ასევე ცნობილია, რომ ირანელთა შემოჭრის დროს უფლისწული დაჩი უშუალოდ არ მონაწილეობდა ხორნაბუჯის, ჭერემისა და ველისციხის თავდაცვით ომებში. იგი გაგზავნილი იყო ლოპოტის ხევში. "ხოლო დაჩი მეფე და დისწული მისი გარდავიდეს კახეთად, და შედგეს ჭევსა ლოპოტისასა "ქუეყანასა მას კლდითა მოზღუდვილსა (და იყვნენ სოფლისა მის კაცნი ცეცხლისა და წყლისა მსახურ, და სავსე იყო ჭევი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნოსრამდე)" [1:200].

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ირანის შეიარაღებულ ძალებს ხორნაბუჯის, ჭერემისა და ველისციხის აღებისთვის, მათი შემუსვრისთვის გარკვეული დრო დასჭირდებოდა. სწორედ ამ დროის განმავლობაში მოახერხა ვახტანგ გორგასალმა ჯარების მობილიზება და ციხე-ქალაქ უჯარმის წინ დაბანაკება. "სპანი ვახტანგისანი დადგეს ველსა ზედა, გარემოს ციხე ქალაქსა, სადა ჰქვიან დარფაკი" [1: 201]. ირანის ჯარი ოდნავ მოშორებით, "იორსა ზედა" განლაგებულიყო. ქართლის სამეფო კარი ცდილობდა, მარტო არ აღმოჩენილიყო ირანის ჯარის პირისპირ და დახმარების სათხოვნელად მოციქული გაგზავნა ბიზანტიაში "წარავლინა მოციქული და მიუმცნო კეისარსა" [1: 200].



უჯარმა. ციხის რეკონსტრუქცია. ი. ციციშვილის მიხედვით

ვინაიდან, მეფე ვახტანგი არ ელოდა ბიზანტიიდან ჯარის სწრაფად შემოშველებას და კარგად იცნობდა ამ ადგილების ლანდშაფტს, თავად დაესხა თავს მდ. იორის სანაპიროზე განლაგებულ ირანელთა ბანაკს. ბრძოლა სამი დღის განმავლობაში

გრძელდებოდა. "შეიბნეს იორსა ზედა და სამ დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხჳ" [1: 201].

ჯუანშერი გადმოგვცემს ვახტანგ მეფისა და პეტრე კათოლიკოსის საუბარს იორზე სამდღიანი ბრძოლების შემდეგ. ამ საუბრიდან ჩანს, რომ ირანელებს კვლავ უცდიათ მშვიდობიან შეთანხმებასთან დაკავშირებით ვახტანგ გორგასალთან მოლაპარაკება. "უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისთჳს. გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათჳს. აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვრებასა ჩემსა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა, რათა სასუფეველი გუაქუნდეს, აღთქმული მათ თანა, რომელთა ეტყჳს: "რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი" [1: 201].

ირანელების ახალი ულტიმატუმი ერთგვარად შერბილებული გახლდათ. ისინი აღარ ითხოვდნენ ხარკის გადახდას "უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათჳს გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათჳს". "ქრისტეს დატეობისთჳს" – ანუ, ვახტანგ გორგასალმა არ მიიღო ირანის შაჰის წინადადება, ბიზანტიასთან პოლიტიკური კავშირის გაწყვეტასთან და ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციიდან კვლავ ირანულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ განახლდა სისხლისმღვრელი ომი ირანსა და ქართლს შორის.

"ქრისტეს დატეობა" არ ნიშნავდა ქრისტიანობის უარყოფას. 484 წლიდან ირანში ქრისტიანები აღარ იდევნებოდნენ [6: 41]. ამ პერიოდში ირანის სახელმწიფოში უამრავი ქრისტიანი ცხოვრობდა. მაგ. სირიისა (მესოპოტამია) და ამიერკავკასიის ქვეყნებში, ქრისტიანებად ინათლებოდნენ, "ქრისტიანულ თემებში შედიოდნენ თვით ირანულენოვანი ხალხების წარმომადგენლები" [6: 41].

უჯარმის ციხის ნანგრევები

ქრისტიანი ვახტანგ გორგასალი, ირანის შაჰების კარზე, ბიზანტიის პოტენციურ მოკავშირედ მოიაზრებოდა. ამიტომ "ქრისტეს დატეობაში" საგულისხმოა, ირანელთა მისწრაფება, როგორმე ეიძულებინათ ვახტანგ მეფე უარი ეთქვა ბიზანტიასთან კავშირზე და ქართლი კვლავ ირანის პოლიტიკური მოკავშირე გამხდარიყო.

ვფიქრობ: საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის პარალელურად დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოებით, ვახტანგი იგებდა დროს და ადუნებდა მომხდურის ყურადღებას. იმავდროულად, მეფე აზუსტებდა სპარსთა სამხედრო ბანაკის წყობას; ანუ, ჯარის რომელი სახეობა სად იდგა, სად იყო მტრის მთავარი შტაბი და სხვ. ამ ფაქტის უტყუარობაზე მეტყველებს ის, რომ ვახტანგი თავს დაესხა ზუსტად ირანელთა ბანაკის ცენტრს – "ცისკარი რა აღეღებოდა, დაესხა და შევლო ვიდრე პალატამდე მეფისა" [1: 202].

პეტრე კათოლიკოსმა მოიწონა მეფე ვახტანგის გადაწყვეტილება ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის შენარჩუნებასთან დაკავშირებით და გაამხნევა – "იყავ შენ, ვითარცა გაზრახოს ღმერთმან" [1: 201]. კათოლიკოსის მიერ გამხნევებულმა მეფემ საბრძოლო მოქმედებების განახლება გადაწყვიტა. მან კვლავ დაიწყო ჯარების მობილიზაცია, მათი გადაადგილება და სხვა საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება.

მეფის გადაწყვეტილების მოწონებით კათოლიკოსმა პეტრემ ბიზანტიის საიმპერატორო კარის დავალება შეასრულა. ანუ, აღასრულა ის, რაზეც თავის დროზე უარს ამბობდა მთავარეპისკოპოსი მიქაელი. კათოლიკოსმა გაამხნევა ქართლის მეფე ვახტანგი და ურჩია ებრძოლა ირანელთა უზარმაზარი ლაშქრის წინააღმდეგ. ეს რჩევა, როგორც აღვნიშნე, ბიზანტიის იმპერიის კეთილდღეობას ემსახურებოდა და არა ქართლის სახელმწიფოს ინტერესებს.

შეგახსენებთ: ირანის შაჰის კარის მიზანი იყო ეიძულებინა ბიზანტია გადაეხადა მისთვის კავკასიის უღელტეხილის დაცვისთვის შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა, რათა მომთაბარეებს ჩრდილოეთ კავკასიიდან არ შესძლებოდათ ირანისა და ბიზანტიის იმპერიათა საზღვრების დარღვევა და ტერიტორიების დარბევა.

ამ პერიოდისათვის, 491 წელს, ირანის შაჰის კარი არ გეგმავდა ქართლის დაპყრობას. ირანს სურდა, ქართლის მეფე ვახტანგი თავისი ლაშქრითურთ ირანის ლაშქარში გაერთიანებულიყო, რათა ბიზანტიას გაეღო დაპირებული ოქრო.

"და იყო ლაშქარი ვახტანგისი ორას ორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა – შჳდას ორმოცი ათასი. და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად: და კლდით კერძო მოავლინა ქუეითი; და ერთ-კერძო მოავლინნა პიტიახშნი და სპასპეტი, – და სადაც სპარსთა მეფე იყო, მუნით თჳთ მივიდა ვახტანგ ვითარ ასი ათასითა სპითა" [1: 202].

ვახტანგ გორგასლის ლაშქარი, იორზე სამდღიანი ბრძოლის შემდეგ 240.000 მებრძოლისგან შედგებოდა, ხოლო ირანელთა ლაშქარში 740.000 მეომარი იყო. ირანელთა რიცხობრივი უპირატესობა ძალზედ დიდი გახლდათ. მათი ჯარი 500.000 მეომრით

აღემატებოდა ქართლის ჯარს. ცხადია, ბრძოლების დაწყებამდე ორივე ქვეყნის ჯარის მებრძოლთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა [56. 20]. მიუხედავად ამისა, ვახტანგ მეფე მზად იყო გაემართა გენერალური ბრძოლა მდ. ივრის მიდამოებთან, რისთვისაც ლაშქარი სამ ნაწილად დაყო. **ერთი ნაწილი** – ფეხოსნები გაგზავნა ირანის სამხედრო ბანაკის ზურგში. როგორც ჩანს, ირანელებს სამხედრო ბანაკი ისე გაემართათ, რომ ბანაკის ოთხი მხრიდან ერთ-ერთი ბუნებრივი კლდით იყო დაცული. ამიტომ ირანელები ამ მხრიდან ქართველთა თავდასხმას არ ელოდნენ. საჭირო იყო ფეხოსნები კლდოვან ფლატეზე ჩასულიყვნენ და გარიჟრაჟზე, უხმაუროდ, განეხორციელებინათ იერიში. მეფემ **მეორე ნაწილში** გააერთიანა სამხედრო ხელმძღვანელნი – პიტიახშნი და სპასპეტი მებრძოლებითურთ, რომლებიც, როგორც ჩანს, სხვადასხვა ფლანგიდან დაესხმებოდნენ თავს მტერს. ხოლო **მესამე ნაწილი,** უშუალოდ მეფემ დაიქვემდებარა. ვახტანგის საჯარისო ქვეგანაყოფი 100.000 მებრძოლისგან შედგებოდა. ეს მესამე ნაწილი უნდა დაპირისპირებოდა ირანელთა ცენტრს, სადაც სპარსთა მეფე იმყოფებოდა.

ბრძოლის წინ, მეფე ვახტანგმა გამამხნევებელი სიტყვით მიმართა ქართველ მეომრებს – ომის მოტივაცია აუხსნა, ბრძოლის ჟინი გაუმძაფრა და მოუწოდა მათ არ დაენდოთ მტერი: – "ყოველი კაცი, რომელი დარჩეს სიკუდილისაგან და მტერთა ჩუენთაგანისა თავი ანუ ჭელი არა გამოიტანოს, ჩუენ მიერ მოკუედენ იგი" [1: 202].

ბრძოლა გამთენიისას დაუწყიათ ქართველებს. პირველი იერიში სამივე ნაწილს მტრის ბანაკზე, თითქმის ერთდროულად მიუტანია და მოწინააღმდეგისთვის ჯარის გაშლის საშუალება არ მიუციათ. საშინელი სისასტიკით დაუჩეხავთ სპარსი მებრძოლები. ეს გახლდათ გააფთრებულ ქართველთა თავგანწირული, თავზეხელაღებული ბრძოლა გამარჯვება-გადარჩენისათვის. ქართველებს ბრძოლის დაწყებისთანავე უნდა მოეხერხებინათ ირანელთა დაჯგუფების ცხენოსანი ნაწილის გაუვნებელყოფა და მათ მოსხლიტეს ირანელებს 100.000 ცხენი. ცხენების გარეშე დარჩენილ ირანელებს კი ჯარის გაშლის საშუალება არ მიეცათ. ამდენად, თუ ადრე ირანელთა მრავალრიცხოვნობა მათი წარმატების საწინდარი იყო, ახლა ერთად შეგროვილნი მხოლოდ ხელს უშლიდნენ ერთმანეთს. ანუ, მრავალრიცხოვნობა ირანელთა დამარცხების წინაპირობად იქცა.

სანამ ირანელი მებრძოლები გამოფხიზლდებოდნენ და გაიაზრებდნენ რეალობას, ქართველთა საჯარისო ნაწილი ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით უკვე მტრის ცენტრში იყო. მეფე ვახტანგი "შევიდა კარავსა შინა მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკვეთა თავი მისი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე. სძლო ვახტანგ სპარსთა მათ, და მოკლა მათგანი ვითარ ას ოცდაათი ათასი, ხო-

ლო სპათაგან ვახტანგისთა მოკუდა ვითარ ოცდარვა ათასი და წარმოიღეს ნატყუენა-ვი ცხენი ვითარ ასი ათასი, და სრულიად ვერ იოტნეს სიმრავლისაგან" [1: 202].

ვახტანგ გორგასლის დაჭრასთან დაკავშირებით საინტერესო დეტალს გვამ-ცნობს XII საუკუნეში მოღვაწე არსენ ბერი. "ვახტანგ... მოიკლა იგი სპარსთა ბრძო-ლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვსაი ღლიასა ქუ-ეშე და აღიპყრა რაი ჴრმალი თჳსი, რაითა სცეს კაცსა სპარსთა განსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოკუდა" [ციტატა მოტანილია 4: 186].

როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, ვახტანგ მეფეს დიდ-ხანს არ გაუმხელია, რომ დაჭრილი იყო. ამდენად, ქართველებმა ვახტანგ გორგას-ლის ხელმძღვანელობით სპარსელებთან გენერალურ ბრძოლაში მდ. იორთან უჯარ-მის მიდამოებში, ირანელთა დიდი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ბრწყინ-ვალე გამარჯვება მოიპოვეს. ბრძოლა დაწყებულა გარიჟრაჟზე, შუადღისთვის კი უკ-ვე დამთავრებულა. მტრის ლაშქარი, ბრძოლის დაწყების დროს ითვლიდა 740.000 მე-ომარს, ქართველთა ლაშქარი – 240.000. ქართველებმა 130.000 სპარსი მეომარი მოკ-ლეს. დაიღუპა 28.000 ქართველი მებრძოლი. ქართველებს დარჩათ ირანელთა დიდი ალაფი და 100.000 საბრძოლო ცხენი. მიუხედავად სპარსეთის ჯარის დამარცხებისა (რიცხოვნობიდან გამომდინარე 740.000 – 130.000 = 610.000), იგი კვლავ ბრძოლისუნა-რიან საშიშ ძალად რჩებოდა.

სპარსელებს ბრძოლა აღარ განუახლებიათ. აიყარნენ და რუსთავში დადგნენ. რო-გორც აღვნიშნე, ადმინისტრაციული საზღვარი, რომელიც ირანელების მიერ ქართლის ოკუპირებულ (ქვემო ქართლი) ნაწილსა და არაოკუპირებულ ტერიტორიას ერთმანეთის-გან მიჯნავდა, რუსთავსა და თბილისს შორის მდებარეობდა. ირანელები რუსთავში გა-მაგრდნენ და ამით ფაქტობრივად გააუქმეს გაერთიანებული ქართლი – 482-484 წლების ანტიირანული აჯანყების მონაპოვარი. 491 წლისთვის ირანელებმა კვლავ დაიქვემდება-რეს ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, საპიტიახშო და ზოგადად ქართლის სამხრეთ-აღმო-სავლეთ მხარე. დაჭრილი ვახტანგი და ქართლის სამეფო კარი იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ რეალობას, ანუ იმას, რომ სპარსელებმა ქვემო ქართლის ტერიტორია კვლავ დაიპყრეს და მეფე ვახტანგმა გასცა ბრძანება: "სპასალართა ქართლისათა, რათა ადგილსავე დგენ" [1: 202]. ვ. გოილაძე წერს "491 წლის ზაფხულიდან ირანელთა ბატო-ნობა ქართლში ძველი ფორმით აღდგა" [3: 80], რასაც მეც სრულად ვეთანხმები.

ამდენად, 482 წლის აჯანყების შემდეგ მხოლოდ მცირე დროით მოხერხდა ირა-ნის მიერ ოკუპირებული ქვემო ქართლის ტერიტორიების გათავისუფლება. რაც შეე-ხება ქვემო ქართლის პიტიახშის, ვარსქენის სიკვდილით დასჯას, ქვეყნისთვის მნიშ-ვნელოვანი პოზიტიური შედეგი არ მოუტანია, რადგან ერთი დასჯილი სეპარატისტის ნაცვლად ირანის ხელისუფლებამ სხვა წახალისებული სეპარატისტი დაადგინა ქვემო ქართლის მმართველად.

ვახტანგის მდგომარეობა კი უფრო და უფრო მძიმდებოდა. "დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს, და უბრძანა სპასალართა ქართლისათა, რათა ადგილსავე დგენ" [1: 202].

უჯარმა ამ დროს მტკიცედ ნაშენი ციხე-ქალაქი იყო სამეფო ადმინისტრაციისთვის დამახასიათებელი სასახლით, ეკლესიით, რაბატითა და გალავნით. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით "რაბატი ("ციხე-ქალაქის სამოსახლო ნაწილი") "რაბატსა შინა უჯარმოსასა" [1: 450].

უჯარმასთან დაკავშირებით ვახტანგ გორგასალმა პეტრე კათოლიკოსს უთხრა: "დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებიეს: და ვეჭუ, ვითარმედ ყოველნი ქალაქნი გარემოს უჯარმისა იძლივნენ, რამეთუ მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენით" [1: 201-202]. ამდენად, უჯარმა საიმედოდ ნაშენი და კარგად გამაგრებული ქალაქი გახლდათ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მეფე ვახტანგმა უჯარმაში წასვლა და მკურნალობა. მეფის მკურნალობა კი უფრო და უფრო რთულდებოდა. მძიმდებოდა ვახტანგის მდგომარეობა. ირანელებმა თავიანთი მრავალრიცხოვანი აგენტების საშუალებით კარგად იცოდნენ ქართლის სამეფო კარზე არსებული სიტუაცია, ისიც იცოდნენ, რომ ვახტანგ მეფე მძიმედ იყო ავად და "მოაოჭრეს ტფილისი და არმაზ ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო მოაოჭრეს, რომელი – იგი მუხნარით და არაგუსა ხერთვისსა იყო" [1: 202].

ამდენად, მართალია ვახტანგ გორგასალმა დაამარცხა ირანელები იორზე გამართულ გენერალურ ბრძოლაში, მაგრამ ის სასიკვდილოდ დაჭრეს და მოგებული ბრძოლის შედეგიც გაქარწყლდა. ირანელებმა ტაქტიკა შეცვალეს და ახლა უშუალოდ უჯარმას (სადაც ვახტანგი მკურნალობდა) კი არ დაესხნენ თავს, არამედ მთელ ქართლზე მიიტანეს იერიში. აიღეს და ააოხრეს თბილისი, შემდგომ უფრო ღრმად შეიჭრნენ ქართლში, ააოხრეს არმაზი, მცხეთის მიმდებარე ტერიტორიები, ვერ აიღეს მცხეთა, დედაქალაქი ძლიერმა გალავანმა და მებრძოლების თავგანწირვამ გადაარჩინა.

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ დაგვიანებით, მაგრამ მაინც გადაწყვიტა დახმარებოდა თავის სტრატეგიულ მოკავშირეს – ქართლს და დიდძალი ჯარი გაგზავნა ქართლელთა დასახმარებლად. ბიზანტიელებს გზაში შეუტყვიათ ვახტანგ მეფის დაჭრისა და მძიმე ავადმყოფობის ამბავი, გაჩერებულან "დადგრა კარნუ-ქალაქსა" [1: 203]. აქვე გამართულა დიდი ბრძოლა ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის. ამ ბრძოლაში ორივე მხარეს უამრავი მეომარი დაუკარგავს. რეალური გამარჯვება კი ვერც ერთს მოუპოვებია.

ვახტანგის მდგომარეობა კი კიდევ უფრო დამძიმებულა. უგრძნია მეფეს სიკვდილის მოახლოება და მიუწვევია კათოლიკოსი, მეუღლე, ვაჟიშვილები და დიდებულები, მიუმართავს მათთვის – მე მივდივარ უფალთან და თქვენ მოგმართავთ, რათა

მტკიცედ იდგეთ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. წარმავალი დიდების მოსაპოვებლად ბრძოლას, გერჩიოთ ქრისტესთვის სიკვდილი. "და სიყვარულ საბერძენთსა ნუ დაუტეობთ" [1: 103]. ანუ, ვახტანგმა შვილებს უანდერძა არ შეეცვალათ ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაცია.

"რქუა ძესა თჳსსა დაჩის: "შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითგან და წუნდითგან, ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლასურასა შუა, იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეთ მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა" [1: 203-204].

ვახტანგმა ანდერძით მეფედ დაასახელა უფროსი ვაჟი დაჩი და სამეფო გვირგვინიც გადასცა. ამავე დროს უყურადღებოდ არ დაუტოვებია მეორე ცოლის მიერ შობილი ვაჟები, მათ ერისთავობა უბოძა და მოუწოდა, დამორჩილებოდნენ უფროს ძმას – მეფე დაჩის.

ვახტანგ მეფემ არ აღიარა ირანელთა მიერ ოკუპირებული, მიტაცებული ტერიტორიები. ის კვლავ ერთიან საზღვრებში მოიაზრებდა ქართლს. სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული მეფე ცდილობდა მიენიშნებინა ჭირისუფალთათვის, რომ ქართლის სამეფო კარს (მომავალში) არ უნდა შეეცვალა ბიზანტიის სამეფო კართან სტრატეგიული ურთიერთობა და ბიზანტიის დახმარებით დაებრუნებინა ირანის მიერ წართმეული, ოკუპირებული ტერიტორიები.

"და მოუწოდა ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, და არტავაზს, ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრჴისასა, და მათ მიათუალა ცოლი თჳსი ელენე და შვილნი მისნი, რომელთა ერქუა ლეონ და მირდატ, და შეავედრნა მათ სამთავე ერისთავთა ცრემლითა და შეხედვებითა ღმრთისათა" [1: 204].

კათოლიკოსისა და ჭირისუფლების დამოძღვრის შემდეგ, მეფე ვახტანგი მალე გარდაიცვალა. მისი სიკვდილი საერთო სახალხო მწუხარებად ქცეულა. დაუსაფლავებიათ მცხეთაში.

დასკვნა

ვახტანგ გორგასალმა ვერ შეძლო, ძალისმიერი მეთოდებით, დაებრუნებინა ქვემო ქართლის საპიტიახშო, რომელიც ირანმა წაართვა ქართლს მას შემდეგ, რაც მეფე ვახტანგმა შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და პროირანული კურსი პრობიზანტიურით ჩაანაცვლა.

ვახტანგის მიერ ქართლის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლის შემდგომ, ირანმა ქართლზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით წაახალისა სეპარატისტული მოძრაობა. ქვემო ქართლის საპიტიახშოს მმართველის ვარსქენის რანის საერისთავოს ერისთავად დანიშვნით, ირანმა ქართლს ქვემო ქართლის საპიტიახშო წაართვა და რანის საერისთავოს მიუერთა. ამით ფაქტობრივად შექმნა ილუზია იმისა, რომ ვარსქენი ვითომდა დამოუკიდებლად მოქმედებდა. ვახტანგ გორგასალმა არ უარყო პრობიზანტიური კურსი და ქართლის სახელმწიფოს არ დაუბრუნა პროირანული ორიენტაციის მმართველობის ფორმატი.

ბიზანტიის იმპერიამ სტრატეგიული მოკავშირის – ქართული სახელმწიფოს ინტერესები ჯეროვნად არ დაიცვა.

ირანში დიდხანს არ გაგრძელებულა სახელმწიფოებრივი რღვევის პროცესი, აქედან გამომდინარე, ქართლის სამეფო კარმა, მხოლოდ მცირე ხნით გაათავისუფლა ქვემო ქართლის საპიტიახშოს ტერიტორია. თუმცა, ძალიან მალე, ანუ, როგორც კი ირანმა შეძლო სახელმწიფოებრივი დაშლის პროცესის შეჩერება, კვლავ დაიპყრო ქვემო ქართლი.

სიკვდილის წინ მეფე ვახტანგმა ანდერძით ქართლის მეფედ უფროსი შვილი დაჩი აღიარა. "რქუა ძესა თჳსსა დაჩის: "შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთის რომელი მოცემული არს ეგრის-წყალსა და კლასურასა შუა, იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა" [1: 203-204].

სამეფოს ტერიტორიის ამგვარი განაწილებით, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული მეფე ვახტანგი თითქოსდა ცდილობდა შეერბილებინა ქართლის სამეფო კარის მწვავე ურთიერთობა ირანის ხელისუფლებასთან, რასაც ქართლისთვის შემდგომში კიდევ უფრო მძიმე პერიოდი მოჰყვა. მემატიანე ჯუანშერის მიხედვით, ქართლის მეფის ფარსმანის ზეობის დროს კვლავ მწვავედ დადგა ქართლის საგარეო პოლიტიკური კურსის საკითხი. მეფე ფარსმანმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ირანს და ვერც ბიზანტიამ შეძლო დახმარებოდა ქართლს. არსებული რეალიებიდან გამომდინარე, ქართლის სამეფო კარმა კვლავ შეცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი.

მეფე "ფარსმანმა დაუწერა მას (სპარსეთის შაჰს. ვ.ღ.) მორჩილება და მსახურება და წარვიდა სპარსთა მეფე.

მიერითგან განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ შვილი დაჩისნი ჰმორჩილებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დადგრეს მორჩილებასა ბერძენთათა" [1: 206-607].

ამრიგად, ზესახელმწიფოები, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარე ქართლის პატარა ქვეყანას არ აძლევდნენ დამოუკიდებლად განვითარების სახელმწიფოებრივი გზის არჩევა-შენარჩუნების საშუალებას.

მხოლოდ უზარმაზარი ძალისხმევის, ეროვნული კონსოლიდაციის შედეგად აღწევდა ქართლის ხელისუფლება გარკვეულ პოლიტიკურ წარმატებებს და ისიც მეზობელ ზესახელმწიფოთა დაშლის პროცესში, როგორც ეს მოხდა ირანის სახელმწიფოში შექმნილი კრიზისის დროს, 482-488 წლებში, როდესაც ვახტანგ მეფემ შეძლო ქვემო ქართლის საპიტიახშოს დაბრუნება.

საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების შეცვლისა და მეზობელი ზესახელმწიფოს მიერ შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სირთულეების დაძლევის შემდგომ, ქართლის სახელმწიფო კვლავ და კვლავ ხდებოდა მეზობელი ზესახელმწიფოს ახალი აგრესიული შეტევის ობიექტი.

მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

VAKHTANG GORGASALI

Political Orientation and Separatism

Abstract

Vakhtang Gorgasali ascended the throne of Kartli at the age of 7 in 438. Naturally, Vakhtang in his minority couldn't reign. Thereupon, royal authority mainly was in the hands of his mother, Queen Sagdukht.

Vakhtang was brought up by Saurmag Spaspet, Mikael Archbishop and others.

The followers of the Greek political orientation of the court of Kartli acquainted Vakhtang with the Georgian-Greek culture.

The Huns, which included the Alans in their army, attacked Kartli to the North Caucasus in 441. They destroyed important portion of Kartli, captured Vakhtang's 3 years old sister – Mirandukht and returned to the South Caucasus through Darubandi.

In response of the Hun-Alans, the Georgians under the leadership of Vakhtang campaigned in the South Caucasus in 447. The campaign ended with the victory of Georgians, after of which king Vaktang closed the paths running from the North Caucasus and placed them under the control of Kartli Kingdom. After the successful campaign in the North Caucasus, King Vaktang went to West Georgia. Battles between Byzantine and Persia took place in that period. As it seems, Persia was eager to open a second front to the Byzantines in West Georgia and used army of Kartli headed by Vakhtang with this purpose. During 3 years, in 447-450, Vaktang placed almost the whole West Georgia (except Tsikhe-Goji) under his command and returned peacefully to Mtskheta.

Iran's armed forces, one of the members of which was Vakhtang, set against the military forces of Byzantine by 453. In 455-456, Vakhtang confronted the heads of Iran's military forces. In this period, Byzantine started the secret negotiations with King Vakhtang. At the side of Byzantine, Priest Petre and Samuel Monk headed the negotiations. Soon, as a result of negotiations, King Vakhtang changed his political orientation. He rejected Iranian political vector and adopted Byzantine political orientation. Caesar of Byzantine gave the kingship of Egrisi to Vakhtang and crowned him. As a result of the agreement with Byzantine, Vaktang left the coalition army of Iran. After weakening military forces of Iran, Byzantines started a campaign against Iran and defeated the Iranians. As it seems, Iranians realized Vakhtangs' actions, accused him in betrayal and confiscated his kingship of Kartli.

King Vakhtang was aware of the fact that Iran would not accept both losing control of Kartli and the change of political orientation by royal authority of Kartli. The king was convinced that Iran would try to subdue Kartly by force. Thereupon, he started preparations in advance.

As soon as Vakhtang returned to Mtsketa, he began active preparations (repairment and equipment of fortresses, provision them with food, equipment of combats, production new weapons, training of combats, etc) for the future campaign against Iran.

In 460, Iran's armed forces invaded Kartli. In this period, pitiakhsh of Lower Kartli –Varsken was the head of Rani. Varsken (accordingly Lower Kartli) did not obey the jurisdiction of Kartli. Actually, Iranians had reached Tbilisi without battles. As a result of the first battles near Tbilisi, Georgians were defeated and retreated to the vicinity of Mtskheta. King Vakhtang wore a gold helmet on the front part of which a wolf and on the back part a lion was depicted. As soon as Vakhtang would appear on the battle field, the Iranians would shout: "beware of the wolf-headed!". Thereupon, Vakhtang was named as Gorgasal (wolf-headed). The battles at the vicinity of Mtsketa lasted 4 months. In this period, the information about sending a rescue army by Byzantine to the Georgians was disseminated. Appearance of Byzantine army accelerated the process of decision making about making peace with Georgia. By that time, Vakhtang hadn't rejected the Greek orientation and hadn't adopted the pro-Iranian line. According to the advice of Byzantines, Vakhtang established good-neighbor relations with the Persians on the base of the principle of co-existence. Persia gave the kingship of Kartli again to Vakhtang and promised that Persia wouldn't interfere in the affairs of the church of Kartli. Besides, in order to strengthen political relations, Iran asked that Vakhtang's sister married Iranian shah.

"The Martyrdom of the Holy Queen Shushanik" reveals that Iranian officials, who were responsible for controlling everyone and everything, were in Tsurtavi. Factually, with the help of Varsken the Iranians politically separated Lower Kartli from Kartli and established their own rule. Iran tried to punish royal court of Kartli by manipulating the territories of Lower Kartli and Hereti and seizing the territories of Kartli for different reasons. Iran tried to force King Vakhtang to reject Byzantine political course and return to pro-Iranian orientation. It is worth stating, that the royal court of Kartli did not recognize the borders, which had been recognized by the authorities of Iran. As it seems, the border, which was unrecognized by Vakhtang, ran at Rustavi town since 60s of 5th c. The Iranians controlled almost every stage of Tsurtavi's administrative authority, though they could not predict Shushanik's actions.

In 460-468, the state Hephthalites of Iran fought against the Huns. Vakhtang Gorgasali and his military forces were incorporated into an armed unit of Iran in this war. In this period, Vakhtang was pressured both by Iranian authorities and Byzantines. Despite the rather difficult political challenges, royal court of Kartli managed (from 460-468) to balance interests of Iran and Byzantine.

The new political phase had begun since the second half of 468. Kartli rejected again the pro-Iranian course and showed intensive interest in Byzantine. According to the advice of Byzantines, he sent a message to the royal court of Byzantine, in order to consecrate Petre as a catholicos and Samuel as a bishop and send them to Kartli along with the daughter of Caesar, who was recognized as a wife of Vakhtang.

At a solemn meeting, Mikael Bishop found out that Vakhtang demanded to bring the catholicos and the bishop to Kartli from Byzantines. Fearing to lose his post, Mikael cursed and excommunicated Vakhtang and his whole army. When King Vakhtang approached him for reconciliation, he kicked

him in the mouth and broke several of his teeth. Intensive confrontation between the king and clergy began. Mikael was supported by 12 bishops, which meant that parishioners of 12 administrative-territorial units were on his side and that these units were not under the jurisdiction of royal court of Kartli. Vkhtang urgently had to take measures. Mikael Bishop was imprisoned and a new request was sent to Byzantine. Vaktang demanded to consecrate Petre as a catholicos as soon as possible and to send him to Kartli along with 12 bishops.

Those, who were withdrawn from Byzantine, were at Mtskheta by the end of the 468. They unbound curse from the king and his army. Afterwards, in order to strengthen religious figures, who had supported Vakhtang, Samoel became a bishop.

Along with the reforms of church Vakhtang has been credited with foundation of several church-monasteries, fortresses and towns. He had built Svetitskhoveli in Mtskheta, a fortress in Ujarma with a palace, a church and a gate. He had also built a church in Cheleti. Later he began building works, in order to move the capital into Tbilisi.

In 80s of 5th c, there was an extremely tense political situation in Iran. Vakhtang Gorgasal took advantage of this situation. He secretly went to the territory of Lower Kartli and put to death Varsken. The Georgians turned to be unprepared for the new invasion of the Persians. The small army of Georgians was defeated in the very first battle against the Persians.

Byzantine did not help the Transcaucasian countries in rebellion against Iran.

Iran sent a new army Kartli in 484. Vakhtang Gorgasal had to exile in Egrisi. According to the commend, Iranian army had to arrest Vakhtang Gorgasal. In that period, Iran did not have enough resources for invasion of Georgia. Soon, Iranian army went back.

In 488, the phase of political changes had begun in Iran. In the spring of 491, Iranian shah, Kavadh sent the ambassadors to Byzantine and demanded money for protection of the pass of the Caucasus. Royal court of Byzantine refused to pay money to Iran.

In 491, Iranian royal court sent an intermediary to the king of Kartli and demanded to send his army in the battle against Byzantine. Royal court of Kartli rejected proposal of Iran. Iranian army entered the territory of Kvemo Kartli. Thus, royal court of Kartli transferred the populations of Kvemo Kartli to the safer place.

The second part of the Persian army went to Kartli through Hereti. They invaded Khornabuji town (Kambechovani) and went to Ujarma, where the King Vakhtang with his family resided. The army invaded fortresses of Cherami and Veli on its way. King Vakhtang carried out the first intelligence battles at the vicinity of the Iori River.

The Georgians started general battle at the daybreak and chopped up the enemy. Before the enemies realized the situation, Georgian troop headed by Vakhtang was already in the centre of their camp. The bloody battle ended by the midnight with the glorious victory of the Georgians. In this battle, the King Vakhtang was fatally wounded. He kept this fact secret as long as he could.

The Persians did not renovate the battle. They left vicinity of the Iori and went to Rustavi. An administrative border of Rani Principality and Kartli was running between Rustavi and Tbilisi. Factually, achievement of anti-Iranian rebellion of 482-484 – unification of Lower Kartli with Kartli was lost. In 491, Iranians again subordinated the big portion of Lower Kartli. Wounded Vakhtang was forced to face reality.

According to Vakhtang's will, his eldest son, Dachi succeeded as a king. At the same time, Vakhtang did not forget his sons from the second marriage. He gave them duchy and advised to obey their elder brother.

King Vakhtang did not recognize territories, which were occupied by the Iranians. He still considered Kartli within its old borders. He thought that the royal court of Kartli had to preserve strategic relations with Byzantine with the help of which it could return territories, which were occupied by Iran.

In 491, Vakhtang Gorgasli died at the age of 60. He was buried in Mtskheta with great honor.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. 1955
2. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973
3. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ., 1991
4. მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003
5. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1979
6. კაციტაძე დ., ირანის ისტორია III-XVIII სს. თბ., 2009
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II. თბ., 1973
8. ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ., 1974
9. ჩხარტიშვილი მ., "მოქცევაი ქართლისაის" ერთი ანაქრონიზმის შესახებ. ჟურნალ-ში, მნათობი, 1990 წ. №9. გვ. 145-149
10. მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია. 1958
11. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება. 1954
12. მამუკელაშვილი ვ., თათარაშვილი გ., მცხეთა და მისი შემოგარენი, 1984
13. Молодёжная газета южной осетии – Алании "Республика," июнь 2011 г., август 2011 г. и сентябрь 2011 г. №57-58
14. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 1937
15. ნასიბოვი ი. V საუკუნის 40-იანი წლების ამიერკავკასიაში სასანური ირანის მმარ-თველობის საკითხისათვის, კრებულში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. 1982, გვ. 152-157
16. აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. ა-მ. 2006
17. ჩხეიძე თ., აღზრდის ინსტიტუტი სასანურ ირანში. 1979
18. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები IX. 1979
19. ბერაძე თ., სანაძე მ., საქართველოს ისტორია, წიგნი I. (ანტიკური ხანა და შუა-საუკუნეები) თბ., 2003
20. ლომური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში. თბ., 1989
21. ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962
22. ჯანაშია ნ., ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები. თბ., 1986
23. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი, ნაკვეთი I), თბ., 1979
24. ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003

25. ასათიანი ლ., ერთტომეული. თბ., 1979
26. ქართული მწერლობა, I. 1987
27. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში I. 1968
28. შატბერდის კრებული, X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბ., 1979
29. ჯანაშია ნ., "შუშანიკის წამების" ანტონისეული რედაქცია, კრებულში მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი IV, 1975, გვ. 73-99
30. იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტომი I, ნაწილი I, ტექსტები და ლექსიკონი. თბ., 1982
31. პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.). 1982
32. ალიბეგაშვილი გ., იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამება" წიგნში - მურღულია გ., ალიბეგაშვილი გ., მაღლაფერიძე ვ., საუბრები ქართულ ლიტერატურაზე. 1992 წ. გვ. 36-63
33. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I
34. Меликишвили Г., К истории древней Грузии.Тб. 1959
35. პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები. 1970
36. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980
37. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, უძველესი დროიდან VI საუკუნემდე. ტომი I, 2012
38. კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა. 1991
39. ჯანაშია ს., შრომები I, 1949
40. ალექსიძე ზ., ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო. კრებულში, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, 1976, გვ. 99-107
41. მამულია გ., ვახტანგ გორგასლის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ ჟურნალში მაცნე, ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1990, №1, გვ. 61-73
42. მაჭავარიანი ელ., ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა. 1985
43. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. 1961
44. გოილაძე ვ. ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია, მნათობი, 1985 №4. გვ. 161-166.
45. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, 1961
46. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, 1970

47. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, 1965
48. ბოგვერაძე ა., ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, 1985
49. აბაშიძე ზ. ქართლის ეკლესიის იერარქიული მდგომარეობის საკითხისათვის IV-V საუკუნეებში. კრებულში: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები 349. 2003, გვ. 171-172
50. საყვარელიძე თ., ბოლნისის სიონი. 1983
51. ჭაბაშვილი გ., შემდგენელი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1964
52. ლომური ნ., ბოლნისის სიონის საკითხისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №3. 1984
53. გრიგოლ ორბელიანი, სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ლხინი ერევნის სიახლოვეს. ქართული პოემა, წიგნი II, 1984
54. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. 1997
55. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე), სტალინირი 1958
56. შაიშმელაშვილი ი., უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები, თბილისი 1978
57. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები I, თბ., 1977
58. ხოფერია ნ., კატაფრაქტები იბერიაში, ვახტანგ გორგასლის არმიის მძიმე კავალერია, ჟურნალში: ისტორიანი, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №4 (28; 2013 წ., გვ. 32-39)
59. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი. 1959
60. სანიკიძე თ., გერგეტი. 1975
61. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან. 1991
62. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია. 2007
63. არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ. 1980
64. ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, 1988
65. Амиранашвили Ш. История грузинского искусства. Москва 1963

სარჩევი

წინათქმა 3

თავი I

1. ვახტანგის გამეფება 6
2. ვახტანგის აღზრდა 8
3. ჰუნ-ოსთა თავდასხმა და საპასუხო ლაშქრობა 11

თავი II

1. ირანელებთან ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ 15
2. დაპირისპირება 16
3. საუბრები პეტრესთან, გამოცხადება 17
4. პოლიტიკური ორიენტაციის ცვლა; კეისარმა ვახტანგს სამეფო გვირგვინი უბოძა 20

თავი III

1. ირანელების მიერ ვახტანგის დასჯა 22
2. ირანელთა მარცხი 22
3. ბიზანტიელთა მარცხი 23
4. ქართლის მეფისა და ბიზანტიის კეისრის შეხვედრა 25
5. დაბრუნება 29

თავი IV

1. თავდაცვითი ღონისძიებები 33
2. ბრძოლა მცხეთისთვის 39
3. ზავი 45
4. ვახტანგის მეორედ გამეფება ირანელთა მიერ; საზავო პირობები 46
5. დაჩის გამეფება; ვახტანგი ირანს მიემგზავრება 51
6. ქორწილი 54

თავი V

1. პოლიტიკური ვითარება ქვემო ქართლში 56
2. ვარსქენი 58
3. შუშანიკი 60

თავი VI

1. ირანული პოლიტიკური ორიენტაციის უარყოფა 66
2. მჭიდრო კავშირი ბიზანტიასთან 68
3. საეკლესიო ცვლილებები 69
4. აღმშენებლობა 85

თავი VII

1. ანტიირანული აჯანყებები 88
2. აჯანყებულთა მარცხი 96
3. ბრძოლა იორზე, უჯარმის მიდამოებში 99
4. დასკვნა 107
5. რეზიუმე ინგლისურ ენაზე 109
6. დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა 113

ISBN 978-9941-0-5925-4